იგი ნივის იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნილია ჟურნალ-გაზეთების მოწოდებასთან დაკავშირებით საქართველოს სააგენტოს საგანმანათლებლო სამსახური გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ესოდენ ძვირფასი და მნიშვნელოვანი ჟურნალი "კომუნისტური განათლება" არარეკლამარულად და თანაც დაგვიანებით მოდის რუსეთიდან საქართველოში, რომ არაფერი ითქვას სხვა ჟურნალ-გაზეთებზე და სხვა სახის ლიტერატურაზე. როგორებიცაა "კლუბის მუშაკის თანამგზავი", "ოქტომბრის ზეიმობა კლუბში", სახელმძღვანელოები უფროსების სკოლებისათვის და სხვ (კულტურა საკლუბო მუშაობაზე დაიყვანეს - ავტ)

შემდეგ საუბარია ავტორიში ერილობის ნატარებაზე, რომელზეც ხაბაჟურიძე დიდი სიამაყით საუბრობს. ერილობისათვის ცკ-საც დიდი ეურადღება მიუქცევია, მონაწილეობაც მიუღია. პროგრამის მიხედვით, განხილული ყოფილა სხვადასხვა საკითხები, რომლებიც ამ ორგანიზაციის მუშაობას და გვემებს ეხება.

№65 პროლეტარული, გლეხური და კომკავშირული წარმოშობის მწერლების დახმარებისათვის მიღებული რეზოლუცია რკპ(ბ) ცკ ბეკვდითი განყოფილების სხდომაზე, 1924 წლის 9 მაისს

1. სხდომამ მიიხნია, რომ მომავალი მკმური და გლეხური მწერლები მკშთა და გლეხთა შემოქმედი ნაწილისაგან წარმოიქმნება ხაბკოთა კაქშირის ფართო მასების კულტურული ამაღლების პროცესში და პარტიის ძირითადი მუშაობაც მხატვრული ლიტერატურის დარგში აქეთ უნდა იქნას მიმართული, რადგან მუშკორები და გლეხკორები ახალ საზოგადოებრივ ძაღას წარმოადგენენ, აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მშენებლობაში, ისინი განხილული პკეთ როგორც რეზერვი; 2 საჭიროდ მიიხნევენ კაქიდან და დაზვიდან მწერლობაში მისული პროლეტარ და გლეხ

მწერალთა მატერიალურ დახმარებას, იმ ინტელიგენციისა, რომელიც ოქტომბრის და სამხედრო კომუნიზმის დღეებში შევიდა რკპ-ში განსაკუთრებულად ითხოვენ კომკავშირის რიგებიდან გამოსული მწერლების დახმარებას, რომლების მშფოთიერე ახალგაზრდა მუშათა ნაწილს წარმოადგენენ; 3 ხსლომა აუცილებლად თელის პარტიის იგივე გულის გააგრძელებას კვ თანამგზავრებთან მიმართებაში არ მისწინს მათ მიმართ მათრახისებური კრიტიკის მეთოდის გამოყენება და მისინა, რომ კომუნისტური აღზრდის, ამხანაგური თანამშრომლობის საშუალებით შეიძლება მათ შორის ყველაზე ნიკიერების გადმობრება; 4. არანორმალურად მიინიგს ურთიერთდამოკიდებულება არსებულ მწერალთა სხვადასხვა ჯგუფებს, დაჯგუფებებს, კავშირებსა და გაერთიანებებს შორის. 5 კრიტიკის და ბიბლიოგრაფიის ხაკითხი ძალიან ცუდად გადაწყვეტილად სათუაღეს, როგორც პერიოდულ, ისე არაპერიოდულ გამომცემლობაში. კრიტიკა ხშირად ზედადამსობრივი და ხელმძღვანელი (ცენტრალური) პრესის ყურცლებზე არ ეთმობა სათანადო ადგილი. ხაკიროდ მიინიგენ ამ ხაკითხის ხასწრაფოდ გადაწყვეტას და ხასურველად თელიან, რომ უფრო პარტიულად გაშუქდეს მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები საბკოთა პრესის ყურცლებზე. 6. "ეთთაღისწინებთ რა, რომ არც ერთ ლიტერატურულ მიმდინარეობას, სკოლას თუ ჯგუფს არ შეუძლია და არ უნდა გამოეღდეს პარტიის ხახელით, ხსლომას ხასურველად მიანნია მწერლებისა და კომუნისტ-კრიტიკოსების რეგულარული შეკრებები რკპ ცკ-ის განყოფილებასთან, მუშაობის უფრო ხისტემატური ხელმძღვანელობა პარტიის წევრების და პარტიული ბეკბდითი ორგანოსი მხატვრული ლიტერატურის დარგში."

№ 75. რკპ(ბ) ცკ 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუცია პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში.

1 აღნიშნულია, რომ რეეოლუციამ მოახდინა ტკინებში გაღატრიაღლება, მახობრივი აქტიურობის გაღდიერება, თეაღსაწერის ვიგანტური განვითარება და ა.შ., რამაც გამოიწვია კხარმაზარი კულტურული მოთხოვნილებანი და მოხმარება. "ამრიგად, ნეენ შეეღდით კულტურული რეეოლუციის ზიღში, რომელიც წარმოადგენს წინაპირობას სამომავლო მოძრაობის კომუნისტური ხასოგადობისაკენ". 2. ამ მახობრივი კულტურული აღმაკვლობის ნაწილს წარმოადგენს ახალი ლიტერატურის ზრდაც, პირველ რიგში პროლეტარულის და გლეხურის, დაწებული უმარტივესიდან, რომელსაც გამოხატვის დღემღე არ

არსებული ფართო ფორმები აქვს (მუშკორები, გლეხკორები, კელის გაზეუები და სხვ) და დამთავრებული იდუოლოგურად გათუთცნობეერბული ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმი. ხელისუფლება ხატიოდ მისნეეს ხელის შეწეობას და დახმარებას ხალისის წიადიან გამოსულ შემოქმედა დახმარებლად, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ახლი ხაწოგადეობის აშენებაში

კურნალ "პარტიულ მშენებლობაში" (Партийное строительство, № 9, М., 1932) გამოქვეყნდა 1932 წლის 23 აპრილის რკპ(ბ) ცკ დადგენილება "ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების მოწეობის შესახებ". "ცკ ახდენს კონტატირებას, რომ უქანასკნელი წლების განმავლობაში სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვანი წარმატებების ხაფეუქველზე მიღწეული დიდი, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ზრდა ლიტერატურის და ხელოენების

რამდენიმე წლის წინ, როდესაც ლიტერატურაზე ჯერ კიდევ შეიმწნეოდა მნიშვნელოვანი გაუღენა უცხო ელემენტების, და განსაკუთრებით ნების პირველ წლებში, პროლეტარიატის კადრები კი ჯერ კიდევ სუსტი იყო, პარტია ეხმარებოდა შექმნას და გაძლიერებას განსაკუთრებული პროლეტარული ორგანიზაციებისა, როგორც ლიტერატურის ისე [სხვა ხახის] ხელოენების სფეროებში, რათა გაძლიერდეს პროლეტარული მწერლების და ხელოენების მუშაკების პოზიციის განსამტკიცებლად [და ხელს უწეობდა პროლეტარული მწერლების და მხატვრების კადრების ზრდას]".

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ დროისათვის, როდესაც მოესწრო პროლეტარული ლიტერატურის და ხელოენების კადრების აღზრდა და გაზრდა, ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან, კოლმეურნეობებიდან გამომწნდნენ ახალი მწერლები და მხატვრები არსებული პროლეტარული ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების წარმოებში (ვოაპი, რაპი, რამი და სხვ), რომლებიც უკვე ხდებიან შესღელეღნი და ამუხრუქებენ [ლიტერატურული და] მხატვრული შემოქმელების ხერიოსულ წინსვლას. ეს გარემოება ქმნიდა ხაშიშროებას, რომ საბჭოთა მწერლების და მხატვრების ეს ორგანიზაციები გადაიქცეოდა მეტნაკლები მობილიზაციის [ნამდვილ] საშეაღებიდან წრეობრივი კარნაქტილობის გარღეევის საშეაღებად. აქედან გამომდინარე, აუცილებლად ნაითფალა ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნა და მათი მუშაობის ბაზის გაფართოება

სკპ (ბ) ცკ-მ დაადგინა

1. "ლიკვიდირებულ იქნას პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია (ეოაპპ, რაპპ),
2. ექველა მწერალი, რომელიც დგას საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე [ემხრომა საბჭოთა პოლიტიკას] და იღვეს მონაწილეობა მთელს სოციალისტურ მშენებლობაში, გაერთიანდეს კომუნისტურ ფრაქციად მწერალთა საკავშირო ერთიან კავშირში,
3. გატარდეს ანალოგიური ცვლილებები ხელოვნების სხვა სახეობების ხაზით (მუსიკოსების, კომპოზიტორების, მხატვრების, არქიტექტორების და ა.შ. გაერთიანებათა ორგანიზაციები).

ამ გადაწყვეტილების ცხიერებაში გატარებისათვის, ხაორგანიზაციო ბიუროს დაევალოს შეიმუშაოს პრაქტიკული "სომეხი."

1934 წლის 16 მაისის სხრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკპ(ბ) ცკ დადგენილება საბჭოთა კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ როგორც დადგენილებიდან ორკვევა, სხრ კავშირის სახკომსაბჭო და სკპ (ბ) ცკ უკმაყოფილოა ქვეყანაში ისტორიის სწავლების, მისი სახელმძღვანელოების მდგომარეობით. "ნაცვლად იმისა, რომ სამოქალაქო ისტორია გადასცენ ცოცხალი, მიმსიდეველი ფორმით, გააშუქონ უმნიშვნელოვანესი ამბები და ფაქტები მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ისტორიულ მიღვაწეთა დახასიათებით, მოსწავლეებს აწვდიან სასოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების აბსტრაქტულ განმარტებებს, სცვლიან რა ამრიგად სამოქალაქო ისტორიის თანმიმდევარ გაშუქებას განეყნებული სოცოლოგიური სქემებით.

მოსწავლეების მიერ ისტორიის კურსის მტკიცედ შეთვისების გადამწვერტ პირობას წარმოადგენს ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა ისტორიული ამბების გადმოცემაში, ამასთან, აუცილებელია აღბეჭდვა მოსწავლის მეხსიერებაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების, ისტორიული მოღვაწეების, ქრონოლოგიური თარიღებისა, ისტორიის მხოლოდ ახეთ კურსის შეუქვლია უზრუნველეთ ისტორიული მასალის მოსწავლისათვის აუცილებელი მისაწვდომობა, თვალსაჩინოება და კონკრეტულობა, რის საფუძველზეც მხოლოდ შესაძლებელია ისტორიული ამბების სწორი განხილვა და სწორი განსოგადოება, რაც მთიყვანს მოსწავლეს ისტორიის მარქსისტულ გაბეზამდე

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს. 1) მიმზადდეს 1935 წლის

ენისისათვის ისტორიის შემდეგი სახელმძღვანელოები: ა) ძველი დროის ისტორია, ბ) საშუალო საუკუნეების ისტორია, გ) ახალი ისტორია, დ) საბჭოთა კავშირის ისტორია, ე) დამოუკიდებელი და კოლონიური ქვეყნების ახალი ისტორია”, რომლებსაც შეადგენს შესაბამისი კომისიები ისტორიის დარგში კვალიფიციური კადრების მოხამსადებლად ავლგენილ იქნა ისტორიის ფაკულტეტები მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტებში⁶.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის ძალისხმევა მიმართული იყო იქით, რომ თავის ხელში მოექცია განათლებისა და შემოქმედებითი სფეროები, დაექვემდებარებინა ისინი სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის კონკრეტული მისიისათვის

ლიტერატურის მიმოხილვა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ 1921-1941 წლების ქართული კულტურის ისტორიის, მისი საზოგადოებისა და განვითარების თავისებურებები საბჭოთა პერიოდშივე გახდა მეცნიერული კვლევა-ძიების ინტერესის საგანი. ამ პერიოდისადმი ხაინტურეთო და მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვთ მიძღვნილი ქართველ მკვლევარ ისტორიკოსებს საბჭოთა პერიოდში გამოყვებული იდეოლოგიურ-პოლიტიკური ცენზურის პირობებში მათ შემდეგ, ხაინტურეთო და მრავალმხრივი კუთხით გაეშუქებინათ ზოგადად ქართული და კონკრეტულად კი საბჭოთა კულტურის ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდი მარქსისტულ-ლენინური პრინციპებით შესრულებული მეცნიერული შრომები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ხსენებული პერიოდის კულტურული პროცესების შესახებ

ერცველი მონოგრაფია მიუძღვნა ცკალანდაძემ⁷ საქართველოში კულტურული რევოლუციის განხორციელების პროცესებს იგი საქართველოში კულტურული რევოლუციის ისტორიას ორ ეტაპად ჰყოფს მისი აზრით, პირველი ეტაპი მოიცავს 1921-1958 წლებს, მეორე ეტაპი კი – 1959 წლიდან კომუნისმის მშენებლობის პერიოდს. ცკ. კალანდაძე პირველ ეტაპში გამოაკოფს ორ პერიოდს. I საქართველოში კულტურული რევოლუციის საწყისი პერიოდი – 1921 წლიდან პირველი ხოვწელის დასწებამდე, და მეორე – კულტურული რევოლუციის გადამწყვეტ წარმატებათა პერიოდი 30-იანი წლებიდან 1941 წლამდე. ამასთან ერთად, იგი იძლევა თითოეული პერიოდის ძირითად ამოცანათა დაახსიათებებს და გადამოხცქმსათი განხორციელების პროცესს

⁶ ქურნ კომუნისტური აღზრდისათვის, №6-8, 1934, გვ. 2

⁷ Каландадзе Ц. Культурная революция в Советской Грузии Тб., 1969

გახული საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით კი ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ქართული ინტელიგენციის როლი განმსაზღვრელი იყო საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ქართული ინტელიგენცია იყო ერის გონებრივი და სულიერი მასაზრდელები, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის სელისნამდგმელი და აენგარდი. ინტელიგენციის ასეთი ძალა კარგად ესმოდათ ბოლშევიკებსაც და ამიტომაც განახორციელეს მის მიმართ განსაკუთრებული "სომეხი, ძველი ქართული ინტელიგენციის მოხაზობის, ე.წ. გადაბირებისა და მისი დეგრადირებისათვის ხელთ ახალი, საბჭოთა, კომუნისტური იდეოლოგიით გამსჭვალული ინტელიგენციის შესაქმნელად გაატარეს მოქმედი რიგი ღონისძიებები, რომლებიც გარკვეული თანმიმდევრობით განახორციელეს

ამ საკითხებს არაერთი გამოკვლევა მიემდებნა, მათ შორისაა კრებული "სოციალისტური კულტურისა და ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევები", რომელიც პერიოდულად გამოიცემოდა ი. კაჭარავას⁸ მიერ განხილულია კულტურის შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრინციპები, სოციალისტური კულტურის წარმოშობის საწყისები და მისი შემკვიდრება; ინტელიგენციის – ბურჟუაზიულის და სოციალისტურის – არსი იგი ქართულ ინტელიგენციას რამდენიმე ჯგუფად აყოფს: მასწავლებლები, მწერლები, ხელოვნების და მეცნიერების მიღვაწენი მასვე ნამოთვლილი აქვს სოციალისტური კულტურის ხუთი ძირითადი ნიშანი: 1. კომუნისტური იდეოლოგია, 2. ხალხურობა და პროლეტარული კომანიზმი, 3. საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კარმონიული შერწყმა, 4. ყველა დროისა და ხალხთა პროგრესულ კულტურულ მონაპოვართა შემკვიდრებითობა, მონაცემლობა; 5. ფორმა ნაციონალური და შინაარსი სოციალისტური.

სახალხო განათლების საკითხების შესახებ არამარტო ინფორმაციული, არამედ საკითხისადმი მიდგომის თვალსაზრისით საინტერესო შრომები აქვთ შესრულებული ი. ჭანტურისა – "სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში (1921-1956წწ)", თბ., 1956, ე. ობოლაძის – "სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში", მ. სიმონიას – "პედაგოგიური განათლება საქართველოში 1921-1941 წლებში", თბ., 1957

⁸ ი. კაჭარავა ი. ლენინი სოციალისტური კულტურის შესახებ, ქართული ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური პრობლემა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში – კრებ. სოციალისტური კულტურისა და ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, თბ., 1976

ნელი საყვიის ნაშრომ⁹ ეძღვნება საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხებთან ერთად ქართველების მიერ შექანილ წყლის ერთიანი საბჭოთა კულტურის შექმნის საქმეში მითხრობილია ქართული საბჭოთა ინტელექტუალური წინადადებების ისტორია, კულტურული რევოლუციის განხორციელების საქმეში საქართველოს კომპარტიის დეპუტი აღწერილია ქართველი და სხვა საბჭოთა ერების კულტურულ მონაპოვართა შორის დაახლოების, ერთიეროვანებისა და გამდიდრების პროცესები.

კულტურის სხვადასხვა დარგისა და მილიანად ქვეყანაში მიმდინარე გარდამტეხი ცვლილებების შესახებ აქვთ მიღწენილი ნაშრომები გ. ზაქარიაძეს – “სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებათა პირველი ნაბიჯები საბჭოთა საქართველოში” (ერებ: “საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები,” თბ., 1967), დავით მაისურაძეს – “საბჭოთა საქართველოს კულტურა”, თბ., 1956 (გამოცემულია რუსულ ენაზე), საურ ბაბუნაშვილს. ამ უკანასკნელის ერთ-ერთ ნაშრომში – “საქართველოს კომპარტია ქართული საბჭოთა კულტურის შექმნისათვის ბრძოლაში (1921-1931 წწ.)” – განხილულია საქართველოს კომპარტიის მიერ გაწეული მუშაობა სახალხო განათლების ხეყროში, ხელისუფლების ბრძოლა პოლიტსაგანმანათლებლო ფრონტზე და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმიანობა. ავტორი საუბრობს ქართული საბჭოთა პრესის წამოყალიბებაზე და მის განვითარებაზე, ერთიან საბჭოთა ოჯახში ქართული საბჭოთა მეცნიერების მიღწევებზე, უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ქსელის შექმნასა და მის გაფართოებაზე, ქართულ საბჭოთა ხელოვნებაზე და მისი ცალკეული დარგების აღმავლობაზე იმავე ავტორის წიგნში “ქართული საბჭოთა კულტურა ნახევარი საუკუნის მანძილზე”¹⁰ შემოთავაზებულია მოკლე ისტორიული ექსკურსი უძველესი დროიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე წყნეთის საინტერესო პერიოდი და თემატიკა წარმოდგენილია თავში “ქართული კულტურა სოციალისტური მშენებლობის პერიოდში”, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად განხილულია საბჭოთა სასკოლო სისტემის შექმნა და ბრძოლა უწიგნურობის ლიკვიდაციისათვის, სხვადასხვა საგნის სწავლების მდგომარეობა, მასწავლებელთა კადრების პროფესიული დონე, ნაციონალური სკოლების

⁹ ქართული და მომე ერთეულ კულტურათა დაახლოებისა და ერთიეროვანების ისტორიის პრობლემები (1921-1958) თბ., 1982

¹⁰ ბაბუნაშვილი ს. საქართველოს კომპარტია ქართული საბჭოთა კულტურის შექმნისათვის ბრძოლაში (1921-1931 წწ.) თბ., 1960, მისივე ქართული საბჭოთა კულტურა ნახევარი საუკუნის მანძილზე თბ., 1972.

საკითხი, სკოლამდელი და დაწყებითი სკოლების ქსელის გაფართოება, მოცემულია სტატისტიკური მონაცემები, კომპარაციის ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსახლეობა, ხალაქ თითქმის მყორდება ხელთ დასახელებული ნაშრომი; აღწერილია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზაცია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის ჩამოყალიბება, მისი გაფართოება და მნიშვნელობა. განხილულია საკლუბო, საბიბლიოთეკო დაწესებულებები, აგრეთვე სამუზეუმო და ხაარკიუო საქმე, მიღწევები სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობაში, უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო დაწესებულებების ქსელის ზრდა, საუბარია სახელმწიფო უნივერსიტეტზე, მუშაკების როლზე, ამერიკეკაცის კომუნიტურ უნივერსიტეტზე, სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბებაზე; ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაზე საუბრისას აერთი ეხება ქართულ დრამატულ, ხოპერო და საბალეტო დახებს, მხატვრულ ლიტერატურას, დრამატურგიას, მთარგმნელობით საქმიანობას შემდეგი თაეები სამშელო ომისა და შემდგომი პერიოდის ქართულ კულტურას ეხება და წყნის საკლდევი თემის პერიოდს ხცილდება

აბელ კიკიძე წიგნში “საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეები”, მესამე ნაწილში¹¹ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიასთან ერთად განიხილავს ქართული საბჭოთა კულტურის ჩასახვისა და განვითარების ისტორიას, რომელსაც ეტაპებად კეფიხს. ა) საბჭოთა საქართველოს კულტურა აღდგენით პერიოდში (1921-1927 წწ). იგი საუბარს იწეებს სახალხო განათლების ხეეროში მიმდინარე პროცესებზე, სკოლამდელი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხეეროს განვითარებაზე, მოსწავლეეთა და მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე განხილული აქვს სამეცნიერო საქმე და მიღწევები საუბრობს ხელოვნების ცალკეულ დარგებზე და მთ მიღწევებზე. ბ) განათლება და კულტურა სახალხო მუერნეობის რეკონსტრუქციის ხანაში (1927-1935 წწ) – ისეე და ისეე საბჭოთა სკოლის წარმატებებს აღნიშნავს, საუბრობს უმაღლესი განათლების შესახებ, განახაკუთრებული სიამაეთათა გამსკვედეული 1930 წელს დაარსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის გამო ეხება თეატრსა და ლიტერატურას. გ) გამბრვეებული სოციალისმის ქვეყნის კულტურა (1936-1941) – საუბარს იწეებს საქართველოს მეცნიერებათა აკედემიის გახსნითა და მისი მნიშვნელობით;

¹¹ კიკიძე ა. საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეები, ნაწილი III, თბ., 1967

მსჯელობს ზოგადად ქართული მეცნიერების მიღწევებზე, განსაკუთრებით კუმანიტარულ დარგში, ქართულ მწერლობაზე, თეატრზე, მხატვრობაზე, განსაკუთრებით მოსკოვში გამართულ ქართული კულტურის დეკადაზე

უნდა აღინიშნოს მენშევიკური ხელისუფლების საქმიანობის მისეული შეფასება, თეი ერთერთია (თუ არა ერთადერთი) საბჭოთა პერიოდის მკვლევართაგან, ვისც მათ დამსახურებას აღნიშნავს. „. მენშევიკების დროს, მართალია, მოხდა ცვლილებები, იმატა საწავლო-აღმსრულებლობის დაწესებულებებმა და მოსწავლეთა რაოდენობამ, რაც მთავარია, სწავლება წარმოებდა მშობლიურ ენაზე.“¹² (ხახავასა ლენია - აუტ) ზღმშევიკები თავის დამსახურებად თვლიდნენ სკოლის გაეროვნულებას და არაეინ არაფერს ამბობდა პირველი რესუბლიკის დამსახურებაზე

ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიას ეხება ე გუნდუშვილის ნაშრომი¹³, რომელც თემატურადაა დაყოფილი პირველ თავში - თეატრი და რეჟოლუცია - საუბარია რეჟოლუციის მნიშვნელობაზე და რაღზე ქართველი და არა მარტო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რეჟოლუციის დამსახურებაზე ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში მოკლე ისტორიული ექსკურსის ფონზე შემოთავაზებულია საქართველოში რეჟოლუციის შემდგომი პერიოდის თეატრალური ცხოვრება, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად განხილულია სპექტაკლები ავტორი საუბრობს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების მნიშვნელობაზე მხატვრული შემოქმედების სფეროში.

კატეგორიის მონოგრაფია¹⁴ ეძღვნება ქართული კინემატოგრაფიის ისტორიას. შექმნილია სრული სურათი 1921-1941 წლებში ქართული კინემატოგრაფიის ისტორიის შესახებ საუბრობს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებზე კინემატოგრაფიის განვითარებისათვის. განხილული აქვს ამ პერიოდში შექმნილი ფილმები თავისი მხატვრული, სოციალური და პოლიტიკური ღირებულებებით. მოთხრობილია ქართული კინემატოგრაფიის სამოქალაქების ისტორია რეჟოლუციამდელ პერიოდში, შემდეგ საუბრობს ქართული საბჭოთა კინოს ნახახისა და განვითარების პერიოდზე, რომელსაც ქრონოლოგიურად 1921-1931 წლებში ათავსებს, ხოლო ქართული საბჭოთა კინოს აღმავლობის პერიოდად 1931-1941 წლებს მიიჩნევს

¹² კაკიძე ა საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეები, ნაწილი III, თბ., 1967

¹³ გუნდუშვილი ე ქართული საბჭოთა თეატრი თბ., 1971

¹⁴ გოგუაძე კ ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან თბ., 1950

დღიასამიძის ნაშრომში¹⁵ განხილულია კულტურული რევილუციის ღუნინური იდეა, ზოგადად განმარტებულია კულტურული რევილუციის არხი. I თავში განხილულია სოციალისტური კულტურის წარმოშობა და მისი განვითარების გზები. გაკრიტიკებული ძეგვს ბოგდანაიუ და პროფესორ კულტი დღიასამიძე საუბრობს აკარაში წერა-კითხვის შესწავლის მიმდინარეობას, სასკოლო ქსელის გაფართოებას, შიხარხით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის დადებით მხარეებს და მის მნიშვნელობას II თავში საუბრობს აკარის პარტორგანიზაციის მიერ ხატარებულ ღონისძიებებს, რომელიც მან განახორციელა სასკოლო სისტემის რეფორმის, საბჭოთა სკოლის დანერგვის საქმეში ავტორი განიხილავს საბჭოთა აკარის თეატრალურ და კინოსტუდიებს, მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებებს. ფართოდ აქვს გაშუქებული კულტურულ-საგანმანათლებლო – საკლებო, საგასკოლო, ავტორთა სკოლა, საბიბლიოთეკო ქსელის მოღვაწეობა აღნიშნავს ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ კულტურულ განსხვავებას საუბრობს იდეოლოგიური ფრინტის და საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეობა, შარათისა და მუყუთობის, მედრესხების, ქალის მდგომარეობის შესახებ ხელისუფლების მიერ წარმოებულ ბრძოლას პოზიციების გასამკარებლად

(ვალკე უნდა დაეახახელოთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების VII ტომი, ხდაც კველასე კარგადაა წარმოდგენილი საბჭოთა პერიოდის ქართული კულტურის ისტორია.

რა თქმა უნდა, ამ ავტორთა შრომები ხოლიდურ საყვექველს ქმნის შესასწავლი პერიოდის კულტურისათვის, მაგრამ ფაქტია, რომ რიგი საკითხების ხელახალ გაახრებას მოითხოვს.

საკითხის ამგვარი გაახრების საჭიროებას, შემოთაღნიშნული მიხეხის გარდა, ისიც განაპირობებს, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა და მათი კვლევის დროს გახენილმა ახალმა სამეცნიერო მიმართულებებმა თე მოდგომებმა სხვა კუთხით დაგვანახა ისტორიული თე თანამედროვე რეალობის მრავალი საკითხი და ახალი მოთხენების წინაშეც დაგვკენა მარქსისტულსაგან განსხვავებული მეთოდოლოგიით, დიადექტიკური მატერიალისმისა და სოციალისტური რეალისმის დოგმათა დაცვის გარეშე XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული კულტურის, მისი ძირითადი მახასიათებლების შესწავლა, მით უფრო, კულტურულ-ისტორიულ კრილში

¹⁵ დიასამიძე დ. აკარის პარტიული ორგანიზაცია კულტურული რევილუციის ღუნინური იდეის განხორციელებისათვის ბრძოლაში (1921-1937) თბ., 1964

საგანგებო კვლევის საგანი ჯერჯერობით არ ყოფილა, თუ არ ნათელი კულტურის სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილ ცალკეულ ავტორთა¹⁶ (გ. ნიკარაძის, დ. ზურაბიშვილის, ა. ჯოხაძის და სხვთა) სტატიებსა და პუბლიკაციებს, რომლებშიც მოცემულია დასახელებული პერიოდის ქართული კულტურის გააზრების (ვინაიდან კულტუროლოგიის თანამედროვე მეთოდებით) გათვალისწინებით (საბჭოთა კულტურა როგორც ფენომენი; "საბჭოთა ინტელიგენციის" ცნება; კულტურა და იდეოლოგია; სოციალური ცვლილებები და მათი მიმართება კულტურასთან და სხვ.). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ავტორები უფრო საკითხის (ხშირად ორიგინალური) დასმით იყარგლებიან და მათი ნააზრევი უთუოდ მითხვეს ისტორიული მასალით უზრუნველყოფას.

¹⁶ ზურაბიშვილი დ. ქართული ინტელიგენციის ბრწყინებულება და სიღატაკე კრებ. ჰეგია ვაისაგან. თბ., 1994 გვ.1-19, ჯოხაძე ა. 800-წლოვანი ბატონყმობის მარწუხებში, იქვე გვ. 20-40, ნიკარაძე გ. პოლემიკური შენიშვნები ქართული კულტურის ზოგიერთი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტის თაობაზე, იქვე გვ. 41-82, ნიკარაძე გ. კომუნისტური რეჟიმი და ქართული ბუნება (სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზის ცდა), ჟურნ. კრიტიკა, № 1, 1992, გვ.122-140 ნიკარაძე გ. ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური ბუნება, გაზ. ერი, №5-8, 1991 კაციაძე კ. ისტორიული გამოწვევის არსი, კრებ. საზოგადოება და პოლიტიკა (სოციალური და პოლიტიკური კვლევების აღმინახი), 1, 1996, გვ. 45-68 ნოდია გ. ფ. ფუკუიამა, შ. ავინერი, პოლემიკის გაკვეთილი? იქვე გვ.221-265.

თავი I. ტერმინებისა და ცნებების დეფინიციისათვის

§ 1. კულტურის ცნების დეფინიციისათვის

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ კულტურა, სხვა მეცნიერებებთან ერთად, კულტუროლოგიის კვლევის ობიექტია მისი ცნების განსაზღვრას გაერდს ვერ აუკლის ვერც ერთი ნაშრომი კულტუროლოგიაში, თავად ნაშრომის მეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარე

I თავში წყნე შემოგთავისებთ იმ ცნებებისა და ტერმინების ელ. სამუშაო დეფინიციებს, რომელთაც გამოვიყენებთ წყნეი ნაშრომის მისნების შესაბამისად პირველ რიგში, კულტურის ცნების შესახებ გვექნება საუბარი.

კულტურის ფენომენის მრავალმხრიობიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ 1952 და 1963 წლებში ამერიკელი სოციოლოგების აკრიბებისა და კ კლაკონის¹⁷ მიერ სარებულ გამოკვლევებს, შორს ჯავიყენადა მისი ცნების განსაზღვრებათა სრული ჩამოთვლა, რაც საერთოდ არ შედის წყნეი ნაშრომის მისნებში, მხოლოდ წყნეთის უფრო საინტერესო და საკითრო დეფინიციებით შემოვიფარგლებით

დღეს კულტურის სფეროს კვლევა განსაკორებთ აქტუალურია კულტურის ფენომენი სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის ობიექტია და თითოეულმა მათგანმა ამ ფენომენისადმი თავისებური მიდგომით მოგვცა სხვადასხვა დეფინიცია საისტორიო მეცნიერებაშიც ჩამოყალიბებულია განსხვავებული მიდგომები, იმის მიხედვით, თუ კულტურის რომელი მხარე, ფორმა, გამოვლენის საშუალება ექცევა ყურადღების ცენტრში. მიუხედავად ახრთა სხვადასხვაობისა და მრავალფეროვნებისა, დღეს საყოველთაოდ მიღებულია, რომ კულტურას შეადგენს ენა, სიმბოლოები, ცოდნა, რწმენა-წარმოდგენები, ხელოვნება, ზნეობა, კანონები, ადათ-წესები, სამართალი, აღმინისტრაციული და პოლიტიკური სისტემა, მეტალობა, რომლებიც თაბიდან თაობას გადაეცემა და რომლებთანაც დაკავშირებულია გარკვეული დირებულებანი, კულტურას გაინია თავისი „საბიჯისი“, კულტურის ელემენტები ქმნიან ადამიანის, სასოგადოების მოფლმხედველობას, კულტურა – ესაა ინდივიდის/სასოგადოების/მოთელი ერთობის მიერ გარკვეულ დროსა და სიერცეში ჩამოყალიბებული სამყაროს აღქმა, რომელიც გადაეცემა სოციალური

¹⁷ კულტუროლოგია, თბ., 2003, გვ 20

მემკვიდრეობის გზით, კულტურას აქვს დინამიური და სტატიკური მხარეები, რომლებიც გამომდინარეობს გარკვეული ბუნებრივი, გეოგრაფიული და სოციალური გარემოდან, კულტურა ქმნის გარკვეულ სოცოემს და პირიქით, თავად იქმნება სოცოემის მიერ.

კულტურა, პირველ რიგში, ადამიანური მოღვაწეობის ფორმების ბიოლოგიურზე (ე.ი. ბუნებრივზე) ამაღლების პროცესია ანუ კულტურა შეგვიძლია დაეახასიათოთ, როგორც ადამიანთა ორგანიზაციისა და ადამიანის მოღვაწეობის სპეციფიკური ფორმა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ცხოველების ბიოლოგიური ფორმებისაგან კულტურის ცნება შეიძლება მიუხედავად როგორც ცალკე ადამიანის, ასევე მთელი საზოგადოების საქმიანობას. ცალკე ადამიანის შემთხვევაში, კულტურის ცნება ესადაგება ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობას ნებისმიერ ხვეროში და განსაზღვრავს მის ადგილს სოცოემში რაც შეეხება საზოგადოებას, შეიძლება ითქვას, რომ კულტურა – ესაა მოღიანი ისტორიული ფენომენი, რომელიც აღმოცენდა გარკვეულ ტერიტორიულ, ეთნიკურ, ენობრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გავრთიანებაში¹⁸ აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ეროვნულ კულტურებზე. თითოეულ მათგანს აქვს თავისი სოციალური ნორმები და დირებულებანი, თავისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინსტიტუტები

ანთროპოლოგ ე. პიბელის განსაზღვრებით, “კულტურა არის ინტეგრირებული სისტემა ქცევის შესწავლილი მოდელებისა, რომლებიც დამახასიათებელია საზოგადოების წევრთათვის და რომლებიც არ წარმოადგენს ბიოლოგიური მემკვიდრეობის შედეგს”¹⁹. კულტურა არაბიოლოგიური მოვლენაა და იგი გადაეცემა თაობიდან თაობას სოციალიზაციის გზით. კულტურა ის უმნიშვნელოვანესი ფენომენია, რომელიც ადამიანს განასხვავებს სხვა ბიოლოგიური არსებებისაგან. “კულტურის საფუძველია სქემატიზებული და ეტალონური აქმის, რეაგირების წესი, რომელიც იქმნება და გადაეცემა, უმოაგრესად, ხიმბოლოების დახმარებით კულტურის ძირითად ბირთვს შეადგენს ტრადიციული (ეი ისტორიულად შერწყული და გადაცემული) იდეები და, უწინარესად, ამ იდეებიდან

¹⁸ Пигалев А. И. Культурология Учебное пособие, Волгоград, 1998, გვ 7-8

¹⁹ კულტუროლოგია, თბ., 2003, გვ 22

დააკუმირებული ფასეულობანი”, აღნიშნავენ კრიტიკური და კლასიკონი²⁰ კულტურა თ. კარლაიდისათვის “წყვეთა გარსია”²¹, ანუ წვევათა სისტემა, რომლის გარეშეც არ არსებობს არც ერთი სასოგადოება.

ამერიკელი კულტურანთროპოლოგის დეხლი უაიტის განმარტებით, “კულტურას ვუწოდებთ ერთობლიობას სავნებისა და მოვლენებისა, რომლებიც დააკუმირებულია მხოლოდ ადამიანთა სახეობისათვის დამახასიათებელ მენტალურ უნართან – სიმბოლისაციის უნართან უფრო ზუსტად, კულტურა შედგება მატერიალური სავნების, მოქმედებების, რწმენა-წარმოდგენებისა და ურთიერთობებისაგან, რომლებიც ფუნქციონირებენ სიმბოლურ კონტექსტში იგი წარმოადგენს რთულ ექსტრასომატურ მქანისსმს, რომელსაც ადამიანი იყენებს გადარჩენისა და არსებობისათვის ბრძოლაში”²²

მიუხედავად კულტურის ფენომენის გაგების მრავალფეროვნებისა, ერთი შეიძლება ცალსახად თქვას, კულტურა, როგორც მოვლენა, დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანთა სასოგადოებისათვის, რაც განსხვავებს მას სხვა ბიოლოგიური არსებებისაგან კულტურა არ არის მხოლოდ ერთი რომელიმე შემოქმედებითი აქტი, არამედ შემოქმედება, როგორც ადამიანის უნივერსალური დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომლის საშუალებითაც იგი ქმნის “ახალ სამყაროს” და საკუთარ თავს²³ თითოეული კულტურა განუმეორებელი სამყაროა, თავისი განსაკუთრებული ფორმითა და ხედვით მოდიანად კულტურის და მასში შემავალი ფუნდამენტური კატეგორიების მეშვეობით ადამიანი აედიბებს სამყაროს საკუთარ მოდელს, რომლის მეშვეობითაც განსაზღვრავს თავის ადგილს სამყაროში, დამოკიდებულებას გარშემოყფებთან, ე.ი. ახდენს თვითდენტაციას.

კულტურა როგორც სოციალური მემკვიდრეობითობის შედეგი, როგორც კაცობრიობის უნივერსალური მახასიათებელი და კულტურა, როგორც ცალკეულ სასოგადოებათა შორის არსებულ განსხვავებათა საფუძველი – აი, კულტურის ფენომენის ის მხარეები, რომლებიც იწვევს წვენს ინტერესს, ნაშრომის თავისებურებებიდან გამომდინარე.

²⁰ კულტუროლოგია, თბ., 2003, გვ 22

²¹ იქვე, გვ 24.

²² იქვე გვ 25

²³ იქვე გვ 21

§ 2. XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული საზოგადოებრივი აზრი კულტურის შესახებ

საინტერესოა, როგორ დეფინიციას აძლევდნენ "კულტურას", რას და როგორ მიაზრებდნენ კულტურაში და რომელ სფეროს ანიჭებდნენ უპირატესობას XX საუკუნის დასაწყისის ქართველი მოღვაწეები, მიუხედავად მათი შეხედულებების იდეოლოგიური, მსოფლმხედველობრივი განსხვავებისა რა დატვირთვა და მნიშვნელობა აქონდა მათთვის კულტურას და, განსაკუთრებით, ქართულს, რა როლს თამაშობდა ქართული კულტურა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში?

აზროვნების მრავალფეროვნებაში აისახა როგორც სხვადასხვა თაობის, ისე სხვადასხვა სოციალურ სტრუქტურულ ერთეულთა ინტერესები და ღირებულებითი ორიენტაციები. "სამოციანელთა" მოღვაწეობამ გარდამტეხი და, თამამად შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო როლი ითამაშა საქართველოს ცხოვრებაში, ქართული აზროვნების ფორმირებაში მათ გამოსავლემს და უბიძგეს ვრს შემდგომი ქმედებებისაკენ მათმა საქმიანობამ ვრს საშუალება მისცა, თვალთ გაეხილა და მეტ-ნაკლებად გაუნათლებლობის ბურჟუაზიის განმარტული, გავერ და შეეგრძნო კაცობრიობის მიღწევები ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში, ვბრძოლა საკუთარი არჩევანისათვის, განვითარებულყო საკუთარ მოთხოვნებთან და შესაძლებლობათა მიხედვით ვერაპიდან და რუსეთიდან შემოსულმა იდეებმა თავისი გავლენა იქონია ქართულ აზროვნებაზე

საკუთარი ქვეყნის რეალობამ ბევრი საკიბორტო საკითხი წამოჭრა მამინდელი ქართველობის წინაშე ერთ-ერთი მათგანი იყო ქართული კულტურა, მისი მდგომარეობა, როლი და მნიშვნელობა ერისა და ქვეყნის მომავალ ცხოვრებაში, რაც აისახა კიდევც იმდროინდელ მოღვაწეთა შრომებში

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურაზე საუბრისას ვვერდს ვერ უვლიან ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე საუბარს შეიძლება ითქვას, კულტურის რაობა და როლი გათვითებულია ქვეყნის პოლიტიკურ რაობასა და მომავალთან მათთვის კულტურა არ არის მხოლოდ სოციალიზაციის (ე.ი. ტრადიციების, მემკვიდრეობითობის) საშუალებით მიღებული ღირებულებათა, ნორმათა, ავით-წესთა და ა.შ. ხისცემა, არამედ იყო, პირველ რიგში, იდენტოფიკაციის ერთადერთი საშუალებაა ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობა დაკარგული აქონდა, კულტურის მემკვიდრეობით

ახდენდნენ ორიენტირებას და, რაც მთავარია, ეროვნულობის შენარჩუნებას ხშირად კულტურა სოციალად და კონკრეტულად კი ქართული კულტურა უნივერსალურ მოვლენად აღიქმებოდა და გაიტაცებული იყო სახელმწიფოებრიობასთან. მაშინდელი პოლიტიკური რეალობა სხვა საშუალებას არ იძლეოდა. კულტურა ერთგვარ იარაღად იქცა ეროვნული თვითმოყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

“სამოციანელთა” იდეური მემკვიდრეები, ეროვნული იდეალების მიმდევრები, კერძოდ, მათი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი არსილ ჯორჯაძე ქართულ კულტურას ქართულ ეროვნულ სახელმწიფოებრიობასთან აიკავებდა და ამ ცნებას მეტად ფართო მნიშვნელობით ხმარობდა მისთვის ეროვნული პრობლემა განმსაზღვრელია ვეკლა თვალსაზრისით, ამიტომ თეორიულ მსჯელობაში ძირითადად მხოლოდ ერის პრობლემას ანაღოსებს საკითხი ეხება ერის არსებით ნიშნებს, მის წარმოშობასა და სახელმწიფოსთან მიმართებას. ა. ჯორჯაძის აზრით, ძირითადი პრობლემა ერის საკითხია²⁴ მისთვის ეროვნული პრობლემა არამარტო თეორიული ინტერესის საგანს წარმოადგენს, არამედ უპირველესად სამკედრო-სახიჯოცხლო საკითხს. მას მიაჩნია, რომ ქართული საზოგადოების დაპირისპირებულ ძალებად გათიშვა გამოიწვია ეროვნულმა პრობლემამ, ერის წარმოშობისათვის აუცილებელი იყო საერთო ენა, ფიქიკური წყობა, კულტურა, ეროვნული იხტორია

ა. ჯორჯაძე ილაშქრებს ერთა ხელმოწერი აღრევის და ეროვნული ნაშთების ნაძაღადევედ გაუქმების წინააღმდეგ. მრავალი ერის გათქვეფით ახალი ერის წამოყალიბების ცდა, ერთა სიკვდილი, კულტურული მოკვდინება ბარბაროსული მეთოდია კონკრეტული მასალების ანაღოსით აეტორი ცხადყოფს, როგორი განსაცდელი მოელის ქართველობას. მისი აზრით, არც ერთი ერი არ კედება ბიოლოგიური პროცესების გამო, მისი სიკვდილის და გადაგვარების მიზეზი შეიძლება მისი ევარგისი და ერის ინტერესებთან შეესაბამო სტრუქტურები იყოს. “ერის ზრდა-განვითარება, მისი კულტურა და მოსავალი დამოკიდებულია ეროვნული ორგანიზმის ნორმალური განვითარებისაგან. ეს განვითარება კი შეუძლებელია, თუ ორგანიზმის ორგანოები და ფუნქციები მოშლილია ან კიდევ, თუ ეროვნულ ორგანიზმს

²⁴ ჯორჯაძე ა. თს.უელუბანი, წიგნი IV, თბ., 1914, გვ. 134-135

გარეშე ძალამ და ისტორიულმა ბელმა გაუნახვერა ერის განვითარებისათვის საჭირო ორგანიზების რიცხვი²⁵.

ა. ჯორჯ ადისათვის კულტურა – ესაა ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ერის თვითშეგნების სამოყალიბება და ეს ყველაფერი ერთად კი ქვეყნის, მთელი ეროვნული ცხოვრების აზრს, საშუალებას წარმოადგენს მაშასადამე, კულტურა ერისთვის თვითგამოხატვისა და თვითდაკმაყოფილების საშუალებაა. იგი სვამს კითხვას, თუ რა არის ის ხერხემლი, რასაც ქართული თვითშეგნება ეყრდნობა. არნილ ჯორჯ ადისათვის “ენა, ზნე-მეცოდნეობა, სარწმუნოება, ისტორიული ტრადიცია და სხვა – ის რასაც მეცნიერები ცხოვრების ფსიხურ ფაქტორს უწოდებენ”²⁶, არის ის “რალაც” ძალა, რაც კრიტიკულ მიმენტიში ერს აძლევს კონსოლიდაციის უნარს, მიუხედავად სოციალურ-პოლიტიკური, ფიზიკური და მატერიალური გაჭირვებისა და წოდებრივი დაქსახველობისა.

მისთვის, და არამარტო მისთვის, განსაკუთრებით აქტუალურია ქართული (მშობლიური) ენის დაცვის საჭიროება (ამ დაცვაში თვლისხმება მისი სახელმწიფო ენად გამოცხადება) და მის საფუძველზე აღზრდა-განვითარება, ეროვნული იდეალების შემუშავება და ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების საშუალებით, სამშობლოთათვის თავდადების პროპაგანდა ქართული ეკლესიის მეშვეობით და არსებული სასოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპებით სახელმწიფოებრივი და სასოგადოებრივი მოწოდება²⁷.

მისთვის კულტურა უნივერსალურია, როგორც ზოგადსაკაცობრიო მოვლენა, ისევე როგორც ეროვნული. კულტურა მხოლოდ ნაციონალური ნიშნით დიფერენცირდება და არავითარ შემთხვევაში – კლასობრივით.

ქართული კულტურა – ესაა ქართული ეროვნული სახელმწიფო, თავისი ეროვნული სასოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტებით, ქართული მრეწველობა და მეურნეობა, ქართული სწავლა-აღზრდის სისტემა მშობლიურ ენაზე დაფუძნებით, ქართული ხელოვნება ყველა თავისი დარგით, ეროვნული თვითშეგნება, რომელნიც საბოლოო ჯამში გამოიწვევენ ქართველი ერის

²⁵ ჯორჯ ადე ა თხზულებანი, წიგნი I, თბ., 1911, გვ. 295

²⁶ ჯორჯ ადე ა სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ. 315

²⁷ იქვე, გვ. 274, 300, 302, 308.

აღორძინებასა და გადარსენას, იმ გარე თუ შიდა ხელისშემშლელი ფაქტორების დაძლევის, რაც ხელს უშლის მის ბუნებრივ განვითარებას.

“ნიადაგი და პირობანი, ბუნება და გარემოცულობა, რომელთა წიაღში აღამიანი კულტურას ჰქმნის, უდიდესი მნიშვნელობისანი არიან. . ხოლო თვით კულტურა აღამიანის სუფიერი და ფისიკური ვნერვისის შემოქმედება”²⁸, – წერდა მისაკო წერეთელი თავის ცნობილ ნაშრომში “ერი და კაცობრიობა” ნაშრომის წინასიტყვაობაში მას მოცემული აქვს ერის, კაცობრიობის და ინტერნაციონალიზმის კატეგორიათა განსაზღვრის საკუთარი მოტივაცია²⁹. იგი ქართული კულტურის პრობლემებს მსოფლიო კულტურასთან მიმართებაში განიხილავს. მისი კვლევის მიზანია ერისა და კაცობრიობის კატეგორიათა ანალიზი მისი აზრით, აღამიანის იდეალი უნდა იყოს არა კაცობრიობა და საკაცობრიო ღირებულებანი, არამედ ერი და ეროვნული ღირებულებანი, რადგან რეალური ყოფიერება მხოლოდ ერს ახასიათებს მისთვის ერი რეალობაა და თანაც მისი მნიშვნელობა მეტად გაიზარდა მას შემდეგ, რაც რასებმა დაკარგეს სასოგადოებაში განმსაზღვრელი როლი, ისინი დაიშალნენ ერებად და ხალხებად და სამოყალიბდა ეროვნული სახელმწიფოები, კლასთა ბრძოლამ დაიკაფა ეთნიკური ბრძოლის ადგილი ეროვნულ სახელმწიფოში “სასოგადოებრივი ჯგუფები უკვე ენით, სჯულითა და წვეულებით კი არ განირჩევიან, არამედ თავისი ეიწრო სოციალური მდგომარეობით”³⁰. ერი, ავტორის აზრით, მკარი და დაუმღელი მონადაა, მას ვერც კლასთა ბრძოლა შლის და ვერც დაპერობა ერს აქვს ინდივიდუალობა, საკუთარი სოციალობა, ენა, ღიტერატურა, სამართალი, პოლიტიკა, სარწმუნოება, თითოეული მათგანი შეიძლება ერთი ერის კეთენილება იყოს, მაგრამ თითოეული მათგანი თავისებურ ელფერს სიენს ამ სოციალურ ფენომენს. მისი ყოფიერების განმსაზღვრელია თავდაცვის თვითშეგნება³¹. მ. წერეთელს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია ქართული მწერლობა, სადაც უკეთ გამოჩნდა ქართული ეროვნული თავისებურებანი და შესაძლებლობანი³². კულტურას, კონკრეტულად

²⁸ წერეთელი მ. ერი და კაცობრიობა, თბ., 1990, გვ. 279.

²⁹ იქვე გვ. 33

³⁰ იქვე გვ. 76

³¹ იქვე გვ. 105.

³² იქვე გვ. 251-252

კი ქართულს, იგი სეოფის ელიტარულ და მასობრივ კულტურად³³ მისი აზრით, "განსაკუთრებული ჯიშის, ყოველთვის ნარევი" არის შემოქმედებითი და შემქმნელი ჰემორიტო ფასეულობებისა, მისი გადაგვარების ან ფისიკური მოსობის შემთხვევაში დაეცემა და დაკინდება ერის კულტურა და იგი ევრასოდეს ვერ შექმნის ფასეულს³⁴ "ერთ დროს სენეც ვიყავით ერი, ნენეც შევადგენდით კაცობრიობის ნაწილს, სენეც ვიქონდა ფასი და ხალხს გეგობხდნენ ნენე კულტურა – სენეც მწერლობა და მწიგნობრობა, მეცნიერება, სიტყვა-კაზმული ლიტერატურა და სხვა, ნენეც სასოგადოებრივი სიბლიერე, – განთქმული იყო არამარტო კავკასიაში"³⁵.

გასული საუკუნის დასაწყისში პოპულარული იყო მარქსისტული იდეები. ქართველი სოციალ-დემოკრატები ქაღვებდნენ ერის კლასობრივ დაყოფასა და ანტაგონიზმს, რაც სამოციანელებისაგან მათი ძირითადი განმასხვავებელი იყო. ისინი კულტურასაც ამ გადასახედთან აღიქვამდნენ მათი ყველაზე აქტიური და თვალსაჩინო წარმომადგენელი ნ. ჟორდანიას გარეშეთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას, რასაც ერი აწარმოებდა, უბრალო "გაუგებრობად" მიიჩნევდა, რომელიც გამოწვეული იყო ზოგიერთი მომხდური ნინოფინკის უწესო საქციელით³⁶. საქართველოს დაპყრობას რუსეთის მიერ ნ. ჟორდანიას არ აღიქვამდა ეროვნულ კატასტროფად, რადგან ამ ფაქტს არ შეეშფოთებია ერი და რაიმეთი არ შეცვლილა მისი ყოველდღიური ყოფა, რადგან ქართველობა კლასობრივად დანაწევრებული იყო და არ შეეძლო ეს შეეგრძნო ხოლო ქართველ მოღვაწეთა მიერ ნაქადაგები ეროვნული იდეალები და, მათ შორის, ქართული ენის სიყვარული და დაცვა, მისი აზრით, გაუგებარი და უადგილო იყო, რადგან არაეინ განიცდიდა არც ეროვნულ ნაგერას და არც ენა იდეენებოდა, "სამშობლო ენის დაცვა მოითხოვა ცხოვრებამ"³⁷, ე.ი. მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, ხოლო ეს საჭიროება XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმა იყო, რომელიც მოეწეს რუსეთის იმპერიაში და, მათ შორის, საქართველოშიც უნდა განხორციელებულიყო. ნ. ჟორდანიას მიანხდა, რომ მშობლიურ ენაზე შესაძლებელი ხრულყოფილი სწავლა-განათლების მიღება,

³³ წერეთელი მ. ერი და კაცობრიობა, თბ., 1990, გვ. 279, 280

³⁴ იქვე, გვ. 284

³⁵ იქვე, გვ. 285.

³⁶ ჟორდანიას ნ. თხზულებანი ტ II ტყ. 1920, გვ. 165

³⁷ იქვე, გვ. 165, 167

ერის განვითარება. ენის უარყოფა და სხვა ენაზე განვითარება ეროვნულობის მოშლის და დაკარგვის ტოლფასია³⁸ ეროვნული მკვლელობა გონების სრდასა და განვითარებას უწყობს ხელს ქართველის გავერობელებას და ქართველის გაქართველებას ნეორდანიის მისინვეს უმნიშვნელოვანესად ქვეყნის მომავალი ნორმალური განვითარებისათვის მისთვის ქართველის გავერობელება ნიშნავს მშობლიურ ენაზე განვითარებას, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, სოციალური პრობლემების წამოჭრას და შემდგომში მათ გადაჭრას, სასოგადოებრივი, სამოქალაქო ინსტიტუტების დაარსებას, ეკონომიკური, იურიდიული (იგულისხმება სამოქალაქო სასოგადოება) განვითარებას³⁹ მიუღიო ერის, ეროვნული კულტურის განვითარება არ განიხილება ერთ მოდთან პროცესად, მას გარედან ეროვნული, ხოლო შიგნიდან კლასობრივი ფორმა და განვითარება აქვს⁴⁰ საინტერესოა ერთი ფაქტი: როდესაც კლასთა და ერთა ბრძოლაზე საუბარში, ნეორდანიის ასეთ რამეს ამბობს: "პირველი, იგულისხმება კლასობრივი ბრძოლა, რაც უნდა ძლიერი იყოს, მაინც მიდის შეთანხმებაში იმ მუორესთან, იგულისხმება ეროვნული, დგება იხეთი მომენტი, როდესაც ყველა კლასი ერთმანეთის გვერდით დგება და ერთ საქმეს აკეთებს, ერთი ინტერესი აქვთ, ერთი ისტორიული და კულტურული განვითარება, ეს უკვე ეროვნული ძალია, ეროვნული კულტურა და ეროვნული ფორმა"⁴¹ იგი უშეებს ერთ კონკრეტულ კულტურაში ორი კულტურის არსებობას, რაც უცხო არ იყო სოციალ-დემოკრატების პარტულ-პოლიტიკური იდეებისათვის საჭიროა ეკონომიკური და კულტურული განვითარება, მუორე პირველზე დამოკიდებული. კლასობრივი ანტაგონიზმის დაძლევის ეროვნულ პრობლემათა დაძლევადაც თელის ევროპული განვითარება მისთვის ქართულისათვის სისხლხორცეულს წარმოადგენს და თუკი საქართველო ევროპული გზით განვითარდება, ეს მისი ბუნებრივი განვითარება იქნება ეკონომიკურად, ეროვნულად განვითარებული, უახდესი ტექნიკით მოწყობილი, სამოქალაქო სასოგადოებაზე დაყრდნობით განვითარებული საქართველო – ესაა ევროპა საქართველოში⁴² იგი თელის, რომ საერთო ევროპული ოჯახიდან

³⁸ ნეორდანიის ოსსელებანი ტ II ტფ. 1920. გვ 168

³⁹ იქვე გვ 162, 169, 174

⁴⁰ იქვე გვ 178, 203.

⁴¹ იქვე გვ. 178

⁴² იქვე გვ. 197.

საქართველოს ისტორია მისი ბუნებრივი განვითარების კალაპოტდანი ამოვარდნას ნიშნავს და უკეთესი მომავლისათვის საჭიროა ამ "ბუნებრივ" მდგომარეობაში დაბრუნება.

საგარეო ორიენტაცია და სხვა ერებთან ურთიერთდაპირისმართება შესაძლებელია ძლიერი ეკონომიკით, მასზე დაფუძნებული ეროვნული კულტურით. მხოლოდ ქართველობა უნდა იყოს საქართველოს ბატონ-პატრონი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში და ერთმანეთის გამტანი აუცილებელია ეკონომიკური, სოციალ-პოლიტიკური წილების შეცვლა და ამისათვის საჭიროა მსხვერპლის გადაება, მხვერპლი კი თავად-აზნაურობაა⁴³ ეს იქნება გაფეროვება, ძველის ნგრევის და ახლის შექმნას, ტრადიციების ნგრევის ანუ ღირებულებათა გადაფასებას ეს კი აუცილებლობაა, ისტორიული რეალობით გამოწვეული, რასაც მოთხოვს ჩვენი მომავალი განვითარება ნკრძანაის აზრით, მხოლოდ ახე თუ შესძლებს ქართველობა თავისი ნაციონალური, სამოქალაქო სახელმწიფოს აშენებას⁴⁴ მიუხედავად, იმისა, რომ აღიარებს ეროვნული კულტურის და სახელმწიფოს არსებობას, ამის საფუძველზე მომავლის მოწოდებას, იგი მაინც კლასობრივი ანტაგონიზმის იდეების გაგლეწის ქვეშაა. ვეროპულ სტანდარტებთან მიხედვით კლასობრივი მსხვერპლის გადაების გარეშე ვერ წარმოუდგენია.

კულტურის შეფასების საინტერესო ხელვა აქვს ქართველ საზოგადო მოღვაწეს გერონტი ქიქოძეს. მისთვის მოაგონია ის ფაქტი, რომ კულტურათა მრავალფეროვნება თანამედროვე კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანია, რომ ცხოვრებას არა ერთგვაროვნება, არამედ მრავალგვარობა და მრავალკულტურულობა აქცევს საინტერესოდ, რაც პროგრესის მამოძრავებელია⁴⁵.

როგორც სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა, ისე მისი აზრითაც, ეროვნული სული და გენიოსობა ისე რეალურად, ისე ხელშესახებად არსად გამოსკვივის, როგორც ენაში და იმ ფსიქიური შემოქმედების სფეროში, რომელსაც კქმნის ადამიანი ენის შემწეობით. ზნე-ჩვეულებაში, ესთეტიკურ და

⁴³ კორდანი ნ თხულებანი ტ II. ტფ. 1920, გვ 304, 305, 314

⁴⁴ იქვე გვ 321, 327.

⁴⁵ ქიქოძე გ რჩეული თხულებები, ტ II. თბ. 1965, გვ 15

ეთიკურ, საზოგადო და ფილოსოფიურ მხედველობაში, მითოდლოგიურ და რელიგიურ რწმენაში⁴⁶

იმ პიროვნებისათვის, რომელიც ცოცხალი ეროვნული ორგანიზმის წევრია, მჭიდროდაა შეკავშირებული მის არხებთან, გრძნობებთან და ნების ღრმადობასთან. შეუღარებელ კულტურულ ძალადაა მინიჭებული ენა, ასევე არქიტექტონური სისტემა ხმებისა. ენა სოციალური თვალსაზრისით ახალ თვისებას იძენს, იგი ერის ხელიერი შინაგანობის წარმოდგენათა და გრძნობათა გამომხატველი უძლიერესი და უკიდევანესი საშუალებაა, სოციალური გამოცდილების დამტროკებელი და შემნახველი იარაღი, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია კულტურული წინსვლა, სოციალური ნახკვი, რომელიც უფრო მჭიდროდ და ხაიმედოდ აკავშირებს საზოგადოებას, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური ან ხარწმუნობრივი დაწკებულება, ანდა ფსიქური პროცესი, ურომლისოდაც შეუძლებელია აბსტრაქტულ ცნებათა და, მაშასადამე, აზროვნების განვითარება. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ “ენა გარეგნული გამოხატულებაა იმ სოციალურ-ფსიქური კარმონისა, რომელსაც ეროვნება ეწოდება და არა კერძოგნული, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ პიროვნებათა მიერ გამოგონილი იარაღი”⁴⁷.

ამრიგად, ყველა დასახელებული მიაზროვნისა და მოღვაწისათვის კულტურა – ესაა ენა და ღიტერატურა, ხელოვნება, ადათები, ზნე-ჩვეულებანი, სამართალი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტები, მრეწველობა და მეურნეობა, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდება მათი დამოკიდებულება კულტურის და განსაკუთრებით ეროვნულის როლისადმი საზოგადოების ცხოვრებაში.

§ 3. კულტურის ბოლშევიკური მოღელი

თავისებური და განსხვავებული იყო კულტურის როგორც ფენომენის და მისი რაობის გაგება ბოლშევიკური თვალთახედვით. სოციალ-დემოკრატებმა (ბოლშევიკებმა), უფრო კი მათმა პარტიულმა ღიდერებმა, შექმნეს კულტურის რაობისა და როლის კონცეფცია, რომელიც მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი რევოლუციის

⁴⁶ ქოსიძე გ. რწეული თხზულებები, ტ II თბ., 1965, გვ.21

⁴⁷ იქვე, გვ. 24, 25

შემოქმედთა შეხედულებებსა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემდგომში საბჭოთა სახელმწიფოს კულტურულ პოლიტიკაში. ამ მხრივ გასიონკურა ლენინის, სტალინის, ტროცკის, ლენინარსკის, ბოგდანოვის "თეორიები" კულტურის და კულტურული ცხოვრების შესახებ.

უი. ლენინმა კულტურა გაიხსრა როგორც "ფეფუნების" საგანი მისთვის კულტურა პოლიტიკის, პროპაგანდის იარაღი იყო, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ გაანდია დამოუკიდებელი დირეგულა.

ლენინის არც ისე მრავალრიცხოვან შრომებში, რომლებიც სპეციალურად ეხება კულტურის პრობლემებს, სოციალიზაციური განსჯებისა და შეფასების კონტექსტში, კარგად ნახს მისი თანმიმდევრული თეორია კულტურის, როგორც პოლიტიკის "დანამატის" შესახებ შედარებით ადრეულ შრომებში: "რით დაეწყო?" (1901) და "რა ვაკეთო?" (1902)⁴⁸ ლენინი განსაკუთრებით უტელიტარულად აღიქვამს ფილოსოფიურ, მეცნიერულ და ლიტერატურულ მოვლენებს – სოციალურ-პოლიტიკური, რევოლუციური მიზნებიდან გამომდინარე. როდესაც ამა თუ იმ კულტურული მოვლენის (მაგალითად, ლიტერატურის) პოლიტიკური ფუნქცია ამოიწურება, ხდება მათზე უარის თქმა (როგორც ტექსტ, მშენებლობის დროს) სამაგიეროდ, პოლიტიკური ორგანიზაციის (არალეგალური ჯგუფი, გაზეთი, პარტია) კლასობრივი და პარტიათაშორისი ბრძოლა, შეიარაღებული აჯანყება, რევოლუცია მთლიანად აუცილებელი პიკეს მაღალი პროფესიული "ხელოვნების" რანგში და მიაკუთვნებს კულტურული მოღვაწეობის უმაღლეს ფორმებს. აქ ლენინი ეყრდნობა შეუწყნარებლობის პრინციპს ნებისმიერი არასოციალისტური იდეოლოგიის მიმართ და კულტურაში პოლიტიკური იდეალების დამტკიცებისათვის იდეოლოგიური ბრძოლის გარდაუვალობას, გამოდის კრიტიკის თავისუფლების წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს საშიშროებას სოციალისტური კულტურისა და იდეოლოგიის ავტორიტეტისა და გადუნებისათვის⁴⁹.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ლენინმა წამოაყალიბა კონცეფცია უოველ ნაციონალურ კულტურაში, "ორი კულტურის" არსებობის შესახებ. გაბატონებული კულტურა – ექსპლუატატორთა კლასებისა, და "დემოკრატიული სოციალისტური ელემენტების" შემცველი კულტურა, რომელიც მშრომელთა და

⁴⁸ ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1957, გვ 64
⁴⁹ იქვე, გვ. 67

ექსპლოატირებულთა მხის საკუთრებაა ("კრიტიკული შენიშვნები ეროვნული საკითხის შესახებ", 1913 წ)⁵⁰ ღუნინის მიერ ნაციონალური კულტურის ორ არათანაბარ ნაწილად გაყოფა თითქოს ახლია ელტარული და მახლობრივი კულტურების ტიპოლოგიურ განსახვრებასთან თქმცა ღუნინთან "ორი კულტურის" განსხვავება ატარებს, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ აზრს – ბატონობა და მორჩილება: კულტურა, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, სხვადასხვა სოციალური ძალების ხელში ატარებს განსხვავებულ, ამჟღავნებულად საწინააღმდეგო შინაარსს და მიმართულებას, ამა თუ იმ ბატონის ემსახურება მისი ძალაუფლების მიხედვისათვის.

მსოფლიო რევოლუციის იდეებით გატაცებამ ღუნინი მიიყვანა იქამდე, რომ თითქოს კულტურა ხაერთოდ ეწინააღმდეგებოდა რევოლუციას. თუქცა თანდათან იგი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სოციალიზმის შექმნისათვის საჭიროა გარკვეული კულტურული დონის მიღწევა, ე.ი. პოლიტიკურის კვლადაკვალ. "კულტურული რევოლუციის" განხორციელება⁵¹ უარს ამბობს რა "ბურჟუაზიული ინტელიგენციის" დახმარებაზე, ღუნინი მისწრაფვის, კომუნისტები გადააქციოს "შეგნებული და დისციპლინირებული პოლიტმუშაკების რაზმებად, რომლებიც პროპაგანდას გაუწვევენ და იქნებიან "საკირო" სოციალიზმის კულტურისათვის⁵²

მეტ-ნაკლები სიჯადითა და სიხესტითაა ნამოყალიბებული კულტურის კონკვეცია სტატიაში "პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ღიტერატურა" (1905). კულტურის საკითხების შესახებ ბოლშევიზმის ამ საბრძოლო მანიჟესტში ღუნინი აყალიბებს ტოტალიტარული კულტურის ძირითად პრინციპებს. 1) კულტურის ყველა გამოყვინება ერთიანი პოლიტიკური საქმის ნაწილია (სოციადპროლეტარული), 2) კულტურის ყველა კომპონენტი, რომელმაც მოღიანად დაკავშირებული არიან კლასობრივ მიდგომასთან და სოციალ-დემოკრატულ "პარტიულ მუშაობასთან", პარტიის წინაშე ანგარიშგადდებული, ეს უკანასკნელი მოწოდებულია მათი თვალთვლისა და კონტროლისაკენ, 3) ინდივიდუალური შემოქმედება ემორჩილება კოლექტივისტურს, ხმათა უმრავლესობით წედება მეცნიერების, ფილოსოფიის, ესთეტიკის საკითხები, რითაც თითქოსდა გადაიტრება კულტურის მოღვაწეთა

⁵⁰ ღუნინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1957, გვ 187-193

⁵¹ იქვე, გვ 430,431.

⁵² იქვე, გვ 290, 291, 364

“ბერეკუაზიული ინდივიდუალიზმი”, “ლიტერატურული კარიერიზმი” და “თავადური ანარქიზმი”, ხოლო თვითონ კულტურის მოვლენა არამარტო მკიდრო და განუყოფელ კავშირშია მოცემული კლასის პოლიტიკურ მოძრაობასთან, არამედ აქვს უნარი მასთან აღრევისა, 4) არაკლასობრივი კულტურის ექველა ფორმა, შემოქმედებითი მუშაკების შიდა- ანდა ზეპარტიული პოლიცია (ცხადდებოდა თავლთმაქცობად, ცრუ გამონათქვამებად, 5) შემოქმედებითი თავისუფლება (ცხადდება ილუზიად (გაცნობიერებულ ანდა გაუცნობიერებულ თვითმოტყუებად) ბერეკუაზიულ საზოგადოებაში ეს შენიღბულია, დამოკიდებულია მისივედის შინაარსზე, სოციალისტურში – სოციალიზმის იდეა და მუშათა თანაგრძობა, ღვინის მიხედვით, კულტურა ყოველთვის ნორმატიულია და, გამონაკლისის გარდა, ემორჩილება სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა (კლასები, პარტია, საზოგადოება, მოძრაობა, სახელმწიფო, განათლება, იდეოლოგია, მიმდინარეობა და ა.შ.) კანონზომიერებებს³³

საბჭოთა პერიოდში ღვინის მოღვაწეობა კულტურის ამოცანებს წარმოადგენდა, როგორც შექმნილი პოლიტიკური გამოცდილების გადახარშვას და ყოფაში, მშრომელთა ნევეებსა და პრაქტიკაში მის დანერგვას. კომუნისტების წინაშე ნამოაყალიბა კულტურული მუშაობის უახლესი მიზნები მან ნეპო³⁴ განიხილა, როგორც კულტურის შექმნა “ხეულებრივ გლეხურ დონესთან”, კულტურის ფასეულობათა დაკნინების ხარჯზე ამაში ხედავდა ისტორიულ პროგრესს (კულტურის დემოკრატიზაცია) საბჭოთა რუსეთის პროგრესისათვის საკირო იყო, რომ მოსახლეობა შენეეოდა მართვას, ყოველდღიურ ყოფაში პოლიტიკური იდეების დანერგვას, დაუფლებოდა ტექნიკურ და პრაქტიკულ ცოდნას.

ამასთანავე, ღვინის ეკუთვნის “მონუმენტური პროპაგანდის” გეგმა; მან კინო გამოყო და განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა მიანიჭა, როგორც ხელოვნებიდან უმთავრესს, მისი ხელმისაწვდომობის გამო, გაუნათლებელ მასებში ბოლშევიკების პოლიტიკური პროპაგანდისათვის.

ღვინთან შედარებით, სტალინური კულტურული პროპაგანდა უფრო კონტრასტულია მით უმეტეს, რომ მათ შორის – კულტურულ კონცეფციებსა

³³ ღვინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1957, გვ 41-46

³⁴ იქვე გვ 257.

და კულტურული პოლიტიკის ტიპებს შორის – არსებობს გარკვეული მეტეკვიდრეობითობა. ლენინმა მოახდინა კულტურისა და კულტურის ისტორიის ლუბრენიაცია, კულტურულ-ისტორიულ პროცესში ინტელექტუალური მონაწილეობის განხილავდა როგორც უარყოფით, დამღუპველ ფაქტორს, როგორც მეშუბის მოტყუებას, სოციალური და ეთიკური მომენტების არქონას, ბოლშევიზმი შეადგენდა კლასიკური სოციალიზმის ბუნებას და ხელისუფლებისა და ტექნიკის აპოლოგიას⁵⁵

იბ სტალინი იფარგლებოდა მხოლოდ მოკლე აფორიზმი-ღოსუნტებით (მათაიკესისზე, გორკის პოემაზე “გოგონა და ხიკელი”, მწერლებზე, როგორც აღამიანთა “სულის ინჟინრებზე”), რომლებიც შემდეგ გავრცელდა და პარტიული იდეოლოგიის მიერ განიცადა ინტერპრეტაცია ლენინთან შედარებით, მის მიერ კულტურა გაიგება უფრო სწორხაზოვნად და სქემატურად, პოლიტიკურად და უტილიტარულად – როგორც საშუალება და ნიუთი, როგორც მიმდინარე პოლიტიკის ასპექტი, პროპაგანდის საშუალება⁵⁶.

მის მიერ, კულტურის მოვლენის დირსება გაიგება მოცემულ ისტორიულ მომენტში მათ მიერ გატარებულ ხაზში (პოლიტიკური მოვლენები) მისი აქტუალური პოლიტიკური მნიშვნელობით. სტალინის მიერ ნებისმიერი სოციალური და პოლიტიკური მოვლენის პრინციპული მეტაფიზიკური გაგება ნამოყალიბებულ იქნა ადრეულ სტატიებში თითოეულ მოვლენაში ხედავს ორ ტენდენციას – დადებითსა და უარყოფითს, პირველს საჭიროა მხარი დაეჭიროს, მეორე უარყოფით უნდა იქნას. კულტურის მოღვაწეთა დაწინაურებისა და დაჯილდოების, თუ გაკრიტიკებისა და რეპრესიების, იდეოლოგიურად დასჯისა და ფიზიკურად მოსპობის შემთხვევაში, სტალინი ცხივრებაში თანამიმდევრულად ატარებდა ბოლშევიკურ პრინციპს კულტურულ-პოლიტიკური ხელექციისა და შეურთებლობისა პოლიტიკურ მტრებთან და მეგობრებთან, გადააქცია რა ისინი კულტურული პოლიტიკის ფუნდამენტად, რომელიც მიმართული იყო მონოლითური ტოტალიტარული სისტემის შექმნისაკენ

ყველა კულტურული მოვლენა იყოფოდა, ერთი მხრივ, რეაქციულად, რომელიც ემსახურებოდა საზოგადოების დრომოჭმულ ძალას და კწინააღმდეგობოდა რეუოლუციურად მოწინავე ძალების ინტერესებს; იგი

⁵⁵ Культурология XX век Энциклопедия Т 1. Санкт-Петербург, 1998. გვ 399

⁵⁶ იქვე გვ 226

ამუხრუჭებდა სასოგადოების განვითარებას და საჭირო იყო მისი დიკცია და უარყოფა; მეორე – სახალხო მასების მიღწევა, რომელიც პროგრესისაკენ მიმავალ გზაზე მათ განაწყობდა ბრძოლისა და სასოგადოების გარდაქმნისათვის. სასოგადოების კულტურულ-ისტორიულ განვითარებაში განსაკუთრებული როლი აქვს რევოლუციურ ძაღადობას, რომელიც “სქელ წესებს” აუქმებს და “ახალს” ამტკიცებს.

საბჭოთა კულტურის შეფასებაში სტალინი ხარგებლობდა კლასობრივი და სოგადპოლიტიკური ცნებებით. პროლეტარული-არაპროლეტარული, საბჭოთა-არასაბჭოთა, რევოლუციური-არარევოლუციური მას მიაჩნდა, რომ სოციალიზმის განვითარებისათვის ერთად გამწკაუდება კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც თავისი სოციალკულტურული ფორმა აქვს ფსიქოლოგიური მოტივები კი პოლიტიკურ ხასიათის მიღებს.

სტალინმა, როგორც “პარტიის უდიდესმა თეორეტიკოსმა ეროვნულ საკითხში”, ძლიან მღლე გადახედა ღუნინის პრინციპის თითოეულ ნაციონალურ კულტურაში “ორი კულტურის” არსებობის შესახებ სტალინის მიერ საბჭოთა კულტურა განისაზღვრა, როგორც “შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული”⁵⁷. მთლიანად საბჭოთა კულტურის განვითარებისათვის ეროვნული კულტურების ასიმილაცია და რუხიფიაცია ბუნებრივ მიუღწეად მიაჩნდა, რომლის ბირთვსაც წარმოადგენდა რუხელი კულტურა კულტურის სფეროში ეროვნული პოლიტიკის გადახედვამ იგი მიუგანა იმის აღიარებამდე, რომ ეროვნულ კულტურაში არის ისეთი მიუღწეები და ფორმები, რომლებიც არაპოლიტიკურ (სეკლასობრივ ანდა შიდაკლასობრივ) ხასიათის ატარებენ პირველ რიგში, ესაა ენა ამაკდროულად, ენა აღიარებულ იქნა არამარტო კულტურის ფორმად, რომელიც თითოეული ერის ცხოვრებაში უზრუნველყოფს ეპოქების კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობითობას, არამედ აგრეთვე კულტურის ერთადერთ ფორმად, სადაც ჯერ კიდევ შემინახულია ნაციონალური თავისებურება და ეს იმ დროს, როცა ყველა ეროვნული კულტურის შინაარსი სოციალიზმის პირობებში უნიფიცირდება და პირველ რიგში წარმოადგენს მიუღწე პოლიტიკური იდეოლოგიის ზუნაშენს

როდესაც იგი მიმართავდა ახალგაზრდობას, მოითხოვდა შეეცვალათ დამოკიდებულება მეცნიერებისა და კულტურის მიღწეწათა მიმართ, ხოლო

⁵⁷ სტალინი იბ ღუნინისმის საყუქულებს შესახებ, თბ., 1952, გვ 57-62

მუშათა კლასს - შექმნათ საკუთარი ინტელიგენცია 'უხეტად ახალი, საბჭოთა, მუშურ-გლეხური ინტელიგენცია იყო მო'ადლებული იმისათვის, რომ მნიშვნელოვან პოსტებზე შეეცვადათ როგორც ძველი ინტელიგენცია, ასევე ბოლშევიკების "ძველი გვარდიაც". სტალინისათვის კულტურის მართვა იყო იყო, რაც კადრებით მანიპულირება და ტექნიკის დახვეწა. წარმოადგენს კულტურაზე, როგორც პოლიტიკური ნების უმანაციაზე (რომლის წყაროდაც გამოდიოდა ბელადი, დემოურგი, ახალი კოლექტიური სამყაროს შემოქმედი), რომელიც კოლექტიური რეალობის ტრანსცენდენტალური კულტურული პროექტის პირობებში, გლობალურ მიმეზისში, ნებისმიერ მოდერულ გადააქცევადა სოციალისტური კულტურის (მხატვრული დიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია) მხოლოდ შუამავალ რეალობად

სტალინმა შექმნა ტოტალიტარული კულტურის მონოლითური კონცეფცია, რომელიც უნიფიცირებული და მართული იყო 'ხეშიდან; ასევე - უკლასო და მხოლოდ ფორმით ნაციონალური საბჭოთა სოციალისტური კულტურა, მასობურ წარმოებაში ჩართული და ახალი მშრომელი ინტელიგენციის მიერ მომხახურებული, გასახელმწიფოებრებული და დეპერსონიფიცირებული (იმიტომ, რომ მის მექანიზმს უბრალოდ და უსახო "კანკიკები" წარმოადგენენ, და არა კულტურას ნაზიარები მოდერაწენი) საბოლოოდ პოლიტიკებული და უხეშად უტელიტარიზებული⁵⁸.

ჯერ საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების კომისრის ანატოლი დუნანარსკის კულტუროლოგიური კონცეფცია ნამოყალიბდა რევოლუციამდელ პერიოდში, როდესაც იგი შეუერთდა ბოგდანოვის ჯგუფის, რომელმაც სხვა მრავალს შორის წამოაყენა "პროლეტრული კულტურის" იდეა 1913 წელს, კულტურის შესახებ სოციალ-დემოკრატულ პრესაში გამართულ დისკუსიაში მან დაიკავა ცენტრისტული პოზიცია, რომელიც სოციალისტების ბოლომდე შეინარსუნა⁵⁹ რევოლუციამდელი პერიოდის კულტუროლოგიური კონცეფციის ძირითადი შეხედულებანი ასეთია კულტურა ცნებაა, რომელიც უპირისპირდება ბუნებას, ესაა ადამიანის შრომის ყველა პროდუქტი, კულტურის საძირკველია ადამიანისა და ბუნების ურთიერთგაქველენა; კლასობრიობა კულტურის პრინციპია, პირველყოფილის და

⁵⁸ სტალინი ი ბ დუნინის შის საყუქველების შესახებ, თბ., 1952, გვ 194-195, 441-442.

⁵⁹ *Культурология XX век Энциклопедия*. Т. 1. Санкт-Петербург, 1998. გვ 399

მომავალი სოციალისტურის; კულტურის ნაციონალური ფუძე აღბათ ხამუდამოდ დარჩება, მაგრამ კაცობრიობა შეუქერებლად მისი კულტურის ინტერნაციონალიზაციისკენ; ინტერნაციონალიზმი არ ითვალისწინებს ნაციონალური მოტივების მოსობას 'სოგადსაკაცობრიო სიმფონიაში, არამედ მხოლოდ მათ პარმონიულობას, კულტურების საერთო, განსაკუთრებული, შინაგანი კავშირები აღმოცენდებიან საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესთა საფუძველზე, მაგრამ კულტურის ვეოლუცია მისი მკვერეადისაკენ სრულდება შემოქმედებითი პიროვნების სამოყალიბებით; გაბატონებული კლასები კულტურაზე ტოვებენ განსაკუთრებულ კვალს, მსართველი კლასის მეშვეობით იმართება კულტურა, მართალია, იგი მას არ ქმნის; მატერიალური იქმნება მშრომელი კლასებით, ხოლო კულტურის ფაქის სულიერი ფორმები – ინტელიგენციის მიერ; ნაგრული კლასები, გარკვეული დონით, გაბატონებული კულტურის თანამონაწილეა, მაგრამ ექვე კაპიტალიზმის პირობებში, მშრომელი კლასი იწევს საკუთარი კულტურის შექმნას, როგორც თეორიულ (მარქსიზმი), ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხვეუოებში, ბრძოლის და ორგანიზაციის, ეოფის ფორმებში, წარმოიშეება პროლეტარული სოციალ-დემოკარატიული ხელოვნება, ისეთივე აზრით, როგორც ქრისტიანული, ბუდისტური ანდა ბერძნულ-რომაული ნაგრული კლასების კულტურა დართი, კლასობრივი და დასუსტებულა; კლასობრივი, პროლეტარული კულტურა – ორგანული მეტამორფოზაა 'სოგადსაკაცობრიო კულტურისა, 'სეკლასობრივი, ნათელი კულტურა მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების შემთხვევაში წარმოიშეება

20-იან წლებში გამოჩნდა ახალი აქცენტები კრიტიკის საგანი გახდა ლენინარსკის გამოთქმები "სოგადსაკაცობრიობო კულტურის" შესახებ თაუად იგი გააფორებული აკრიტიკებდა ბერეუა'სოულ კულტურას, მის "თაეისთაეში მოსობას". ბერეუა'სოულ წეობას წარმოაჩენდა ბარბაროსულად და ნაკლებ კულტურულად, ვადრე, ვოქვათ, ანტიკურს ლენინარსკი ამტკიცებდა, რომ დღევანდელ კულტურაში ექველადი დიდებული – ანტიბერეუა'სოულია, რომ კაპიტალიზმის მექვიდრეობიდან არ შეიძლება რამის მიღება, თუნდაც პატარა დო'სითაც კი; მოთხოვდა კულტურის "ლაბორატორიულ მშენებლობას", განსაკუთრებული, აბსოლუტურად პროლეტარული კულტურის აეცილებლობას ხასს უსვამდა პროლეტარული და სოციალისტური კულტურების არაიეიეობას, რომელიც გარდამავალ პერიოდში ისახებოდა და მომავალი თაოებში

ააშენებდნენ. ახალი კულტურის მშენებლობის პროგრამაში შედიოდა აგრეთვე გლეხური ლიტერატურის შექმნაც

ოციანი წლებიდან ლენინარსკი ამკარა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს აყვავებდა. გარდამავალი პერიოდის, მებრძოლ, წმინდა კლასობრივ პროლეტარულ კულტურასთან დაკავშირებით მისი აზრით, საჭირო და აუცილებელი იყო გადახვევა ასევე კულტურისადან, ე.ი. სამხედრო კომუნიზმის ეპოქის – ხილარის, ულიშაშო, არახანდო, არაინდივიდუალური ხანების ყოფიდან, კომფორტის დაგმობიდან – სიცოცხლის მოქცევაზე, უფრო მოსახერხებელ კულტურულ ცხოვრებაზე, შინაარსთან, მიზანმიმართულ, ჯანმრთელ, გონიერ და განახლებულ ყოფით ცხოვრებაზე, სადაც, გართობაც აქვს ადგილი როგორც კულტურულ მოთხოვნილებას.

20-30-იანი წლების მიჯნაზე იგი სტალინის შეხედულებების გადკეცვის ქვეშ მოექცა. ეს იყო სტალინის კონცეფცია კლასობრივ ბრძოლის გამწვანებაზე, მის გაძლიერებაზე ლენინარსკი იზიარებდა ლენინის უტოპურ ევრსიას ერთ ქვეყანაში სოციალისტური მოდელი და საბოლოო გამარჯვების შესახებ, წერდა პირდაპირ ორგანიზაციულ მტრებს, პაეების, ცრუპროფესიების, ცრუმეცნიერების, გამყიდველი კურნალისტებისა და მწერლების შესახებ გაიფურა ლენინარსკის “რკინისებურმა” ულტრამემარჯვენე ნოტებმა. “ხელთების თეატრი არის სამხედრო-საომარი მოქმედების თეატრი, კლასობრივ ბრძოლის არენა”, მხატვრული ლიტერატურა – პოლიტიკური იარაღი და ა.შ.

ბოგდანოვის კულტურის ფილოსოფიის გაგებისათვის ცენტრალური აზრის ნამომყალიბებლად გვევლინება “ორგანიზაციული გამოცდილების” ცნების გაგება⁶⁰. კაცობრიობისა და მისი კულტურის მოვლი ისტორია – ესაა ორგანიზაციული ფორმების ისტორია, რომელთა დახმარებითაც ხდება ადამიანის შექმნა მის გარესსამყაროსთან. ადამიანთა საზოგადოების თავდაპირველი შექმნა განისაზღვრება სოციალური ინსტიტუტით, რომელიც საზოგადოების წევრების გარე გამოერთიანებელია უფრო რთული ამოცანა დგას საზოგადოების შინაგანი ორგანიზაციის წინაშე – გახადოს გასაგები და განცდადი საზოგადოების თითოეული წევრის მიღწევა სხვა წევრებისათვისაც, შინაის და გადასცეს კოლექტიური გამოცდილება დროში და სივრცეში. ამ

⁶⁰ Богданов А. А. Вопросы социализма, М., 1918, გვ. 84.

ამოცანას ასრულებს განმყოფი – მორგანიზებული შემკვლელი საზოგადოების გარემოცველ სამკაროხიან, როგორცაც გვევლინება კულტურა. საზოგადოებას კულტურა ვადაქცევს ხარისხობრივ მოდიანობად, რომელშიც შედგვა მტად შეკრებილია, ზუსტად კულტურა ინახავს, აკლიბებს, ამტკიცებს და ანუთარებს საზოგადოების მოცემულ ტიპს განსახდერული ისტორიული ტიპი კულტურას წარმოადგენს ეველა მისი ფორმის ფუქსკცურ მოდიანობად: ურთიერთდამაკაქმირებელია შრომის ტიპი, ქცევის ტიპი, შეგრიების ტიპი, პირუენების ტიპი, საზოგადოების მიერ გამოეენებული ტექნიკის ტიპი, მეცნიერების ტიპი, ხელოენება, რელიგია, მორალი, სამართალი, თავისებურად შემსრულებელია სხედასხევა და ამეღრუელად ურთიერთკაქმირში მეოფი საზოგადოების ორგანიზაციული ფუნქციებისა

საზოგადოებაში მიღებული კულტურული პროექტები, რომლებსაც შესაბამისი აგებულება აქვთ, ასრულებს მორგანიზებული პროექტის როლს, ისინი თუითონ აეალიბებენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ინახვენ და აწარმოებენ საზოგადოების განსახდერულ ისტორიულ ტიპს

ბოგდანოვის მიერ შექმნილი კულტურის ტიპოლოგია ევოლუციონისტური ხასიათისაა და წარმოადგენს ერთგვარ აქემულაციის 1) მარქსის ფორმაციათა თეორიის, 2) პეგელისეული ტრიადის (თეზა, ანტითეზა და სინთეზი) და 3) ო. კონტის შემდეგ კლასიკური პოზიტიური “სამი ხტადის” თეორიის (თეოლოგიური, მეტაფიზიკური და პოზიტიური) სამი იდეალური კულტურის ისტორიული ტიპი, ბოგდანოვის მიხედვით ასეთია: ავტორიტარული, ინდივიდუალისტური, კოლექტივისტური, რომელიც თანამიმდევრულად, ერთმანეთის მიეოლებით ეითარდება⁶¹ კულტურის უმაღლესი ტიპია კოლექტივისტური, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებას შეესაბამება, იგი მოწოდებულია მიახდინოს სინთეზირება პირველყოფილი, განუითარებელი კოლექტივიზმის და კაპიტალიზმის ეპოქაში განსაკუთრებულად განუითარებელის კოლექტივისტურ საზოგადოებაში რუტინული შრომა მოსაპობა, მქუა გახდება არამარტო შემსრულებელი, არამედ შრომითი პროცესის ორგანიზატორიც, მიუახლოეება ინჟინერს, შრომის მეცნიერული ორგანიზება ინდივიდუალურ შემოქმედებას მოელი საზოგადოების გამაკეთილშობილებელ სრულმქმნელ საშუალებად ვადაქცევს, ხოლო

⁶¹ Богданов А.А. Вопросы социализма. М., 1918, с. 86

კულექტივისტური ორგანიზაციული ამოცანები ინდივიდუალური შრომის მოხერხებასა და პერსპექტივებს განსაზღვრავენ ბოგდანოვის მიხედვით, კულექტივისტური სასოგადოების ამოხადად საფუძვლად გვევლინება "პროლეტარული კულტურა" – მართლაც, ჯერ კიდევ არასრულყოფილი, ბურჟუაზიული ურთიერთობებით დამახინგებული, მაგრამ პოტენციურად თავისუფალი "ძალაუფლების ფეტიშისაგან" – ნებისმიერი საკითხის და თავისთავში იმანენტურად მატარებელი ორგანიზაციული – კულექტივისტური საწესისა მთავალი სასოგადოებისა, რომელიც აკლიბებს შრომის ახალ ტიპს და სასოგადებს, ასაკუელთათებს ახალ ფორმებს და მწარმოებლურ ურთიერთობებს.

მისი აზრით, უახლოეს მომავალში პროლეტარული კულტურის გამარჯვებისათვის, საჭიროა რამდენიმე პირობის შესრულება: 1) ცოდნის დემოკრატიზაციის მიღწევა, წარუვლის, სამეაროსე წარმოდგენის, როგორც ორგანულ ერთობაზე პრაქტიკული მოღვაწეობისა და შემოქმედების გადაღარება და სისტემატიზაცია, 2) აზროვნების ფეტიშისაგან გათავისუფლება (მეცნიერული, რელიგიური და რელიგიის მსგავსი კულტის განცდა, ხელოვნება, მორალი, ფილოსოფია, პოლიტიკა), მათ შორის, ავტორიტარისმის, ბელადისმის, აბოლიციისა და მის მსგავსთა ეველა სახეობისაგან, 3) კულტურისა და ცხოვრების ეველა სფეროში – მათ შორის, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, მორალში, ეოფაში, სასოგადობრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში – კულექტიური მიღვამის მიღწევა კამიტადისმიდან სოციალისმზე გადახელის პერიოდში ინტელიგენციის პრაქტიკული ამოცანაა განეთარება და მხარდაჭერა "პროლეტარული კულტურისა" მოელი თავის ატრიბუტებითა და სახელეებით

ახალი ადამიანის მსოფლმხედველობისა და მსოფლადქმის ნამოყადიბებისათვის საჭიროა მოელი ქევენის მასშტაბით პროლეტკულტის ორგანიზება, რომელიც მასებს განაწეობს მხატვრული, მეცნიერული და ისტორიული შემოქმედებისათვის, პროლეტარული უნივერსიტეტების შექმნა, რომელიც არამარტო მოსპობდა წერა-კითხვის უცოდინარობას, არამედ უბიბებდა უნივერსალური, მრავალმხრივი შემოქმედებითი პიროვნების ნამოყადიბებას, რომელიც ორგანულად იქნება შერწყმული კულექტივთან, ეს იქნებოდა მეცნიერულად მოწეობილი სასოგადოება

ამიტომაც ბოგდანოვი "პროლეტკულტს" განიხილავდა, როგორც ოველურ ტიპს, და არა როგორც პროლეტარული კულტურის არსებულ

მდგომარეობას, რომელიც შორს იყო ეტალონური წარმოდგენისაგან საბჭოთა რეჟიმში მიმდინარე კულტურული რეფორმაციის პროცესსა და მის მრავალტენდენციურ დაკვირვებისას, რომელიც თვითონ მის მიერ იყო ნაფიქრებული, გაიაზრა რა ბოლშევიკების კულტურული პოლიტიკა, ბოგდანოვმა დანანებით აღნიშნა, რომ წინსვლის, კულტურული სოციალიზმის შექმნის მაგიერ შეიქმნა თავისებური კულტურული ყველაფისი, კოლექტივის მაგიერ – ინდივიდუალური მის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციული თეორია აღმოჩნდა ღამაზი და კეიანი უტოპია, რომელიც მისართული იყო თვითგანვითარებადი ადამიანის პრაქტიკაზე, მაგრამ მიმდინარე ისტორიული პრაქტიკისაგან ძალიან შორს იყო და ტრაგიკულად დასთავრდა.

უკვე 1922 წლიდან დაიწყო ბრძოლა პროლეტარიატის წინააღმდეგ, რადგანაც მას შეტოქედ აღიქვამდნენ, მასში ხედავდნენ ხაშიშროებას, როგორც ოფიციალურ-პარტიული სახელმწიფოს პოლიტიკის კულტურულ დარგში.

§ 4. ტერმინ “ტოტალიტარულის” განსაზღვრებისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში ტოტალიტარულიდან დაკავშირებულია – ტოტალიტარიზმი, ტოტალიტარული რეჟიმი, ტოტალიტარული იდეოლოგია, რომელიც ასოცირდება XX საუკუნეშიან, პარტახთან, სახელმწიფოსთან, ტერორთან

მკვლევართა უმრავლესობა (რეიმონდ არონი, ვინსენტ ჩემბერლაკი, მოსე ლეჟინი, ანან არანდი სხვ.)⁶² გამოყოფენ ტოტალიტარიზმის რამდენიმე ნიშანს, რომელთაგან ხუთი არსებითია: 1) ერთადერთი პარტიის მიერ პოლიტიკური ცხოვრების მონოპოლიზება; 2) მონოპოლისტი პარტიის მიერ იდეოლოგია იარაღად კიდე, რომლის საშუალებითაც ყვლბს აბსოლუტურ ხელისუფლებას და ახდენს მის უზურპაციას, ხელში იღებს სახელმწიფოს მართვის სადავეებს; 3) სახელმწიფოს მიერ ხდება ყველა სფეროს მონოპოლიზება და შემდეგ მათი და ასევე მასობრივი კომუნიკაციების

⁶² Aron R. *Democratie et Totalitarisme*, Folio Essais, Caillimard, 1965, გვ. 23, 47,75-81 Lewin, Moshe *Le siècle soviétique* Paris Fayard/ Le Monde diplomatique, 2003 Arendt H. *Le système totalitaire* Paris Seuil, 1972, გვ.143-175 Arendt H. *Les origines du totalitarisme* Paris Gallimard «Quarto», 2002. La question du totalitarisme par Vincent Chamberlhac ხეროიდ, ენდა თიქის, რომ დასაუფლოში კარგადაა შესწავლილი ტოტალიტარიზმის საკითხი, ძირითადად პოლიტიკურ ასპექტში

საშუალებით მართვა და ბრძანებლობა, სახელმწიფოს მართვა, რომელსაც თვითონ წარმოადგენს, 4) უმთავრესი ეკონომიკური და პროფესიული აქტიურობის შესწავლა, სახელმწიფო მას განაგებს განსაკუთრებული საშუალებით – ერთადერთი პარტიით, ყველა შემოქმედებითი და არაშემოქმედებითი საზოგადოება იდეოლოგიზირებულია და გაერთიანებულია პროფესიულ კავშირებში, 5) სახელმწიფოს როლი იზრდება აღამიანური ცხოვრების ყველა სფეროში, საზოგადოების როლი იზრდება ინდივიდის როლის ხარჯზე, ხდება პოლიტიზირება პირადი ცხოვრების ყველა შესაძლებელი საშუალებისა, მიმდინარეობს პოლიკური და იდეოლოგიური ტერორი ამ ელემენტების ერთობლივი არსებობა განაპირობებს ამ ყენომენის არსებობას.

ტოტალიტარული რეჟიმი – ესაა ერთი პარტიის რეჟიმი, რომელიც ვერ გულისხმობს ვერანაირ ოპოზიციურ ორგანიზაციას, რომლის დროსაც პოლიტიკური ხელისუფლება ერთპიროვნულად მართავს და თანაც ახდენს სოციალური აქტიურობის ტოტალურ კონფისკაციას, რომელსაც დომინირებს⁶³. ტოტალიტარული რეჟიმი, ტოტალიტარიზმი მიიხსნება ლიბერალური დემოკრატიის საწინააღმდეგო მოდელად. ასევე ისტორიულად ტოტალიტარიზმი აბსოლუტიზმთან და სახელმწიფოსთან იგივედება. ვინჩენტ ჩემბარლაკის თქმით მნიშვნელოვანია ქარიზმატული ბელადის არსებობა, მისი და სახელმწიფოს მიერ საზოგადოების რეპრეზირება და მართვა საკუთარი მეთოდებით⁶⁴. ტოტალიტარული კულტურა გამოირჩევა მკაცრი მმართველობით ზემოდან და ვერდნობა მასების (ქვემოდან) აფექტურ ენთუზიაზმს, პოლიტიკური იდეოლოგიური ფორმების კლიშორებას და უმარტივესი არქეტაპების, არქაული აზროვნების აპელაციას, ერთგულებას (როგორც წესი, იძულების და მიხეცნებითს) მმართველი რეჟიმის და ბელადების მიმართ (რასაც თან ახლავს მღაბალი პირფერობა და იაფფასიანი პოლიტიკური კონიუნქტურა) და, იმაკდრულად, ფსევდოდემოკრატიზმითაა გამოხატული: გამოირჩევა “უბრალლო ადამიანის” პოეტისაციით და სახალხო მასების თავშეუკავებელი აპოლოგიით.

⁶³ Aron R. *Democratie et Totalitarisme*, Folio Essais, Caillimard, 1965, გვ.25

⁶⁴ La question du totalitarisme par Vincent Chambarlhac, გვ. 9

რიგორც საკუნეობრივი სიბრძნის ხორცშესხმის, ისტორიული მიზანმიმართულების და ისტორიული სამართლიანობის განსახიერებისა⁶⁵

ტოტალიტარული კულტურა, თავის სამ კონსტიტუციურ პიოსტასში (ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელმაც მოახდინა მოედო ხელისუფლების უსურპაცია მის ყველა შესაძლებელ ასპექტსა და გამოუღწია: არმია და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რომელიც მოხელა ხახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი ცხოვრების ინტერესების ცენტრში, განუყოფლად მამილიტარიზებული მისი მეურნეობის, ვიფის, მეცნიერების, სპორტის, მისი მოქალაქეების პირადი ცხოვრების და ა.შ.; ხახელმწიფო უშიშროების ორგანიზები (საიდუმლო პოლიცია), რომლის საშუალებითაც ხდება "საიდუმლო ინფორმაციის" სეკრის მონოპოლიზება (რომელიც თანდათან ფართოვდება) და ამიტომაც იღებს შეუხელადეულ უფლებებს მოდერნიზების ყველა სფეროში: კონსპირაციული ინფორმაციების შეკრებასა და შენახვისთან დაკავშირებით, აგრეთვე კონტროლს მათ გაერცელებასა და შესაძლებელ ზეწოლას სასოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე) ნებისმიერ ისტორიულ, პოლიტიკურ ანდა ნაციონალური ვარიანტის მკაცრ და უბრინციო რეჟიმში პერსონიფიცირებულია და მის თან ხდეუს მოაგარი მიზანი – ერის კონსოლიდაცია მმართველი ხახელისუფლო სტრუქტურების გარშემო⁶⁶.

ტოტალიტარული კულტურა ვერდნობა მონოპოლიზებულ პარტეულ იდეოლოგიას, "ძალის" აბოლიციას და გასამხედროებულ მკაცრ "წესრიგს", აგრეთვე ხახელმწიფო "საიდუმლოს" როლის ვადაკარბებას და მისი "შენახვის (დაცვის)" საჭიროებას მრავალრიცხოვანი შინაური და გარე "მტრების" თავდასხმისგან (ხახელმწიფო, ერი, ხალხი, პოლიტიკური წიობა) ტოტალიტარიზმში იდეოლოგია არის ახსნისა და დაზუსტების იარაღი, ანუ განსახდერას სისტემის არსებობის მისეუს, რეჟიმის დომინანტურ არსებობას, მის აუცილებლობას⁶⁷, იდეოლოგია ავად თუ კარგად ავადიბებს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს ახსნას იმ გასაღების მეშვეობით,

⁶⁵ Mourre Dictionnaire encyclopédique d'histoire S.Z. Bordas 1996, გვ 551-553

⁶⁶ Febre L. Combat pour l'histoire, Paris. 1977, გვ 71. Nicolas Werth, Histoire de l'URSS, Caen, 1998, გვ 62,73.

⁶⁷ Aron R. Democratie et Totalitarisme, Folio Essais, Caillimard, 1965, გვ 13

რომელიც, ასე ვთქვათ, იძლევა ოფიციალური ხაზის დარღვევისა და გადახრების გასამართლების საშუალებას, რომელიც ტოტალიტარულ გარემოში ხდება.

ტოტალიტარული კულტურა განსაკუთრებით ეფექტურად ასრულებს ამ ფუნქციებს საგანგებო სიტუაციებში, რომლებსაც თვითონვე ქმნის, ინსერენებს "აღლაშემორტყმული ციხის" დაიბადებულ ატმოსფეროს გარემოებულ სამყაროსთან ურთიერთობაში, ხოლო ქვეყნის შიგნით – ქვეყანა და აზრებში მოსახლეობაში სიფრთხილის, ეკვის, "გაშუქობა-დაბეჭდვის" თესვით, ორგანიზებში სისტემატიური იდეოლოგიური კამპანიის წარმოებით, ცხადი თუ პოტენციური მტრების წინააღმდეგ ნებისმიერ სფეროში, ანდა ამა თუ იმ ეტალონური "მასობრივი მიზაქვის მაგალითის" წამოყენებით (ენთუხააში შრომაში, საბრძოლო თუ პოლიტიკური მოქმედება, ბრძოლა ერის თუ ხალხის "მტრებთან", ბეღადის ერთგულება და ა. შ.)

სახოვადოებისა და მისი კულტურის "საუბრელობა", არაწინააღმდეგობრიობა და არნახელი მოღიანობა ტოტალიტარისმში აღწევს სიცოცხლურული მექანიზმის ხელეკცეას ნართუისა და მოუთმენლობის ხარჯზე, რეჟიმი უარყოფელი და გამსევებელი, ამავდროულად გამწრაფია ექვლაფრის იმისა, რაც ეწინააღმდეგება იდეალური სახელმწიფოს მხატვრულ-პოლიტიკურ პროექტს, რაც ხელს უშლის მის ფუნქციონირებას, ეწინააღმდეგება მის განუხაზღვრულ ზრდასა და ეროვნულ ბრძოლას, აქედან გამომდინარეობს ძალადობის გარდაუვალობა⁶⁸, რომელიც სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება კლასობრივი ანდა ეროვნული ბრძოლის, ტერორისტული აქტით "დაშინებით", იდეოლოგიური და პოლიტიკური კამპანიით ექვლა მიმართულების და სახეობის სხვანაირად "მოახროვნეთა" წინააღმდეგ, ხორციელდება მანამდე არნახელი და არარსებელი, პრინციპულად "ახალი" კულტურის ფორმების შექმნა (ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება, არქიტექტურა, მეცნიერება, ტექნიკა, სახოვადოებრივი აზროვნების და მოქმედების და ა.შ.) ექვლა სახის "გარდამქმნელი" პროცესები, კულტურას "პოლიტიკის დანამატის", რეჟიმის "მოსამსახურის" როლში აქენებდა. კულტურის დამხმარე როლი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ აღმზრდელობითი მიზნების მიღწევაში არამარტო

⁶⁸ Werth N. Histoire de l'URSS, Caen, 1998. გვ 4.7.10

იდეოლოგიურად ჩამოყალიბდა, კოეფლავის "მათრახისა და პურის" მეთოდით სტიმულირდებოდა.

შედგებად, ინტელიგენცია, კულტურის მოღვაწენი, მეცნიერები და ინჟინრები ტოტალიტარულ სახელმწიფოში იქცეოდნენ მისწინმართული ხელექციის ობიექტებად (პარტიულ-სახელმწიფო ელიტის ვეერდით, მის მიერ შერეული და პოლიტიკურად ხანდო მეცნიერების, მხატვრების, მოაზროვნეთა ვეერდით ჩამოყალიბდა "გარიეულთა", ნაციონალურ "დეენილთა" კოსორტა – მანებელნი, უცხო სპეცსამსახურთა თანამოაზრენი, ანტისახალხო "დეკადენტები და ფორმალისტები" და ამიტომაც სტიმულირდებოდათ იძულებითი "გამოსწორება" და "ხელახალი აღზრდა"). თაეის სოციოკულტურულ "შერეევაში" ხელისუფლება ვეერდნობოდა არამარტო რაღაც პოლიტიკურ-იდეოლოგიურ დოგმებს, შაბდონებს ("პარტიულობის" და "სახალხოობის", "იდეურების" და "სამართლიანობის", "სატიროების" თუ "გახაგებობის"), ასევე აკელირებდნენ "ხალი აზრისა" და "ნეეულებრივი აზროვნების", "უბრალი ხალხის" საზოგადოებრივი აზრის ცნებებით, გაუნათლებულ მასებზე ორიენტირების საშუალებით გამოსყეადით მისა "კრიტიკოსებისა", რომლებიც მხად იეენენ მათივე თანამედროვე ფილოსოფიის, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების, გზაბნეულ კულტურის მოღვაწეთა მხილებიხათის. კულტურაში "ზემომ" და "ქეემომ" ადგილები გაცეკლეეს, სახალხო მასები "ასწავლიდნენ" და "ანათლებდნენ" კულტურის მოღვაწეებს, უკანასკნელნიც მორნილად "სწავლობდნენ" ხალხისაგან, ტოტალიტარული ხელისუფლება თაეის გადაწვეტილებას და გეემონებას ახაბუთებდა სახალხო ინტერესებითა და მოთხოენილებებით, სიმულირებდა "ხალხის სამსახურით", ხალხი კი, ფაქტობრივად, ყალიბდებოდა პარტიულ-სახელმწიფო მშენებლობის მასად, რომლისგანაც შეიძლებოდა ეეელანაირი, ნებისმიერი ფიკურის "გამოიერწვა", ნაფიქრებულ კულტურულ პროექტში სელმეტის და არახატიროს "მოკეეთით"

ეეელა ტოტალიტარული რეჟიმი – მემარჯენე (ფაშისტური) იქნება თუ მემარცხენე (კომუნისტური), ბეერ რამეში თითქმის განერეეულად ემსგავსება ერთმანეთს. ისინი ერთმანეთისგან სწავლობენ "კულტურული მუშაობის" წესებსა და მეთოდებს (კულტურული ინოვაციების დეკრეტები, კულტურულ დაწესებულებათა მართეა, აზროვნების მანიპულირება, კულტურულ-იდეოლოგიური კამპანიების ორგანიზება და ა.შ.) ამით აიხსნება კულტურის ეეელა მოვლენის და პროცესის (ფილოსოფია და მეცნიერება, არქიტექტურა და

მასობრივი ხანაზობა, დიკტატურა და ხელისუფლება, იდეოლოგია და კულტურული პოლიტიკა) ტიპოლოგიური მსგავსება ტოტალიტარულ საზოგადოებაში, სადაც არ უნდა იყოს იგი აღმოცენებული. ტიპოლოგიური მსგავსება დამახასიათებელია ტოტალიტარული კულტურის ყველა ფაზაში, არამარტო "აქეაქების" სტადიაში, არამედ მის საწყისებში და დაკვამშიც⁶⁹.

ტოტალიტარული კულტურის თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში წამყვან ადგილს იჭერს მსოფლმხედველობის, კულტურაში მონევენებითი, ფხედო- და კვაზი- რელიგიური მოტივებისა და მათი კომბინაციების კვლევა. რომლებიც საზოგადოების შექმნაზე და დინამიკაზე ახდენდნენ გავლენას (მათ შორის, მასობრივ მენტალობასა და განწყობაზე) და რომლებიც საფუძვლად დაედო კულტურის შესაბამის ტიპებს და მათთან მომხდარ ისტორიულ და ფუნქციურ ცვლილებებს.

სახელმწიფო მანქანის "ჰანჯიკი" მოვლიანად გამოხატავდა ტოტალიტარისმის ტიპს. ამის საფუძველზე, სტალინის ეპოქაში გადაჭარბებული ხახე და ფორმა მიიღო კულტურის კრიტიკამ "ქვემოდან", მასის ხიმრავლიდან

საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ნამოყალიბებისა და სახელმწიფოს მშენებლობისათვის საკირო გახდა მრავალი ღონისძიების გატარება. მთავარი საშუალება მისი განხორციელებისა იყო ტოტალიტარული ტიპის სახელმწიფო, რომელიც მისწრაფვის ტოტალური (საყოველთაო) კონტროლისაკენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე საბჭოთა სისტემის ფარგლებში მოხდა საზოგადოების ტრანსფორმაცია (ფუნქციების დაკარგვა).

⁶⁹ Bogdan H. Histoire des peuples de l'ex-URSS (Du IXe siècle a nos jours), Perrin, 2001. გვ 57.

თავი II. "კულტურული რევოლუცია"

§ I. "კულტურული რევოლუციის" არხი

XX საუკუნის 20-30-იან წლებში, საბჭოთა სახელმწიფოს კულტურულ პოლიტიკას წარმოადგენდა ე.წ. კულტურულ რევოლუცია და მოღიანად დამოკიდებული იყო მისი განხორციელების ფორმებსა და ეტაპებზე

სოციალისტური კულტურის შექმნა და განვითარება განხორციელდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველზე, რომლის სამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა ლენინურმა მოძღვრებამ "კულტურული რევოლუციის" შესახებ.

იეითონ ტერმინი "კულტურული რევოლუცია" პირველად 1923 წელს გამოიყენა ვ.ი. ლენინმა ნაშრომში "კოოპერაციის შესახებ", სადაც იგი საუბრობს ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, და კერძოდ, საბჭოთა კოოპერაციის თავისებურებებზე, ხელმძღვანელი პარტიის და საერთოდ მთელი ქვეყნის სტრატეგიაზე მისი აზრით, პოლიტიკური და სოციალური რევოლუციის შემდეგ საჭიროა ბრძოლის მშვიდობიან ფორმასზე, "კულტურულ" მუშაობაზე გადახედვა. "კულტურული რევოლუციის" განხორციელების შედეგად შესაძლებელია სოციალისტური საზოგადოების შექმნა⁷⁰

კულტურული მუშაობის ძირითად ამოცანად ვიღვინი მიიხედავდა ახალი პარტიული აპარატის შექმნას, რადგან, ძველი წინა ეპოქის გადმონაშთად მიიხედავდა, იგი საჭიროდ თვლიდა ახალი, საბჭოურ ყაიდაზე აღზრდილი და საბჭოურ თარგზე გამოტრიალი პარტიული აპარატის შექმნას. მნიშვნელოვან ამოცანად მიიხედავდა გლეხთა ფართო მასებში კულტურული მუშაობის განაღებას, გლეხთა უდიდესი არმიის საბჭოთა პლატფორმაზე გადაყენებას⁷¹. ლენინი თვლიდა, რომ კულტურული რევოლუციის შეშეუობით ქვეყანა სოციალისტური გახდებოდა, მაგრამ განხორციელების პროცესს თან ახლდა ხიზნეულები, როგორც წმინდა კულტურული ხასიათის (წერა-კითხვის უცოდინარობა და მისგან გამომდინარე უბედურებანი), ისე მატერიალური, როგორცაა წარმოების საშუალებების განვითარება, გარკვეული მატერიალური ბაზის შექმნა.

⁷⁰ ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1957, გვ 430-431.

⁷¹ იქვე, გვ 34

იმ წლებში "კულტურული რევოლუცია" გაიხრებოდა, როგორც ცნობილი ტრიადის - ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია - ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი მასში მთავარი იყო არა რომელიმე ღონისძიება რომელიმე სფეროში, არამედ პიროვნების ძირეული შეცვლა, გარდაქმნა ხდებოდა გათვლილი შეხედვლა კულტურული მუშაობისა მისი "პირველი ხართულის" დონეზე, რაც ელემენტარული ფორმების გაერცვლებას ითვალისწინებდა - წერაკითხვის უცოდინარობის დიკცია, პირველადწვებითი სკოლების ქსელი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სავალდებულოდ იყო მისწეული და რომელიც ხატირო იყო მასობრივი საწარმოო კადრების შესაქმნელად, ამავდროულად, ამ მახის მოსაცოდებლად ჭეშმარიტი კულტურული ფასეულობებისაგან. პარტიულ-ნომენკლატურულ რეჟიმს სჭირდებოდა საკუთარი ნების გამომხატველი კულტურა და ამ ნების აღმასრულებელი საზოგადოება, რომელიც მოკლებული იქნებოდა ჭეშმარიტ შემოქმედებითობას და დამოუკიდებელ აზროვნებას საბჭოთა ადამიანის უნდა ესწავლა საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაცია (რა თქმა უნდა, სოციალისტურის), საწარმოო იარაღის განვითარება, დაუფლებოდა მისი გამოყენების ჩვეულებს⁷².

ახალი ადამიანის შექმნის პროცესი წარმოადგენდა მთავარ მიზანს კულტურულ რევოლუციაში. ეს ხანგრძლივი პროცესი იყო და მისთვის ხატირო იყო მასობრივი უწინგურობის მოსპობა, რათა გაადვილებულიყო კომუნისტური იდეების მასობრივი აგიტაცია-პროპაგანდა პრეხისა და ლიტერატურის საშუალებით⁷³, შემდეგ - საბჭოთა ინტელიგენციის შექმნა, ამისთვის კი საწვის ეტაპზე - ძველის მაქსიმალური გამოყენება, შემდეგ, გლეხების გარდაქმნა და მათში კომუნისტური სულისკეთების გალიძება, სოციალისტური კულტურის შექმნისათვის ძველი მემკვიდრეობიდან "კარვის" ათვისება⁷⁴.

კულტურული რევოლუცია გულისხმობდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხთა გამოყენების საუკუნოებრივი ჩამორჩენილობიდან, მის გადაქცევას წერაკითხვის მცოდნეთა ქვეყნად, საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბებას. ეს

⁷² აფხაზე პ. კულტურული რევოლუციის ღონისძიერი თეორიის შესახებ, კურნ კულტურული აღმშენებლობა, № 1-2, 1934 წ., გვ. 9
ღუნინი ე. თხზულებანი, ტ. 31 თბ., 1952, გვ. 64, 86.

⁷⁴ რეზოლუციები და დადგენილებები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცკ და ცსკ თბ., 1926, გვ. 77, 86 აფხაზე პ. კულტურული რევოლუციის ღონისძიერი თეორიის შესახებ, კურნ კულტურული აღმშენებლობა, № 1-2, 1934 წ., გვ. 13

ლონისიდეები მოასწავებდნენ სირყესიან გარდაქმნებს და მათ რევოლუციური მნიშვნელობა ენიჭებოდათ.

მაგრამ კულტურულ რევოლუციას თავიდანვე დაჰყვა სისტემისათვის დამახასიათებელი მანკებები. პარტიამ კულტურული რევოლუციის მთავარი დანიშნულება დაიკვანა მისი იდეოლოგიისადმი ვეჭვლა საბჭოთა ადამიანის მხნურ ერთგულებამდე. წარმართა იგი პიროვნებაში ინდივიდუალობის გაქრობის, კომანიზმის ხაერით პრინციპებისადმი გულგრილობის, ეროვნული ცნობიერების ხახშობის, კლასობრივი და პარტიული შეურთებლობის გაღვივების სელისკვეთებით ამ ამოცანებს ემსახურებოდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებანი, კულტურის დაწესებულებათა ქსელის რაოდენობრივი ზრდა მართლაც შთამბეჭდავი იყო, მაგრამ მისი თვისობრივი მხარე კომპარტ კულტურულ დირექტულებათა დეკლარაციას ემსახურებოდა

საკბროდ თვლიდნენ სოციალისმის დაცვას, რათა დაცული ეოფიციუო სოციალისტური, და არამარტო სოციალისტური კულტურა. მათი თანამედროვე კლასის – პროლეტარიატის ინტერესებში შედიოდა სოციალისმის დაცვა, რადგან მისთვის ეს სასიცოცხლო ინტერესი იყო. მათი აზრით, ძველი დროის გადმონაშთი ხელს უშლიდნენ პროლეტარული კულტურის განვითარებას⁷⁵. კულტურული რევოლუციის ღენინური თეორიის თანახმად და სტალინის ფორმულირებით, უნდა შექმნილიყო ახალი, ხაერთო საკაცობრიობო კულტურა პროლეტარული თავისი შინაარსით და ნაცონალური ფორმით

კულტურული რევოლუციის პრობლემა სოციალისმის მშენებლობის გვერდით უმთაერეს საკითხად იქცა სოციალისტური რევოლუციის თეორიაში კულტურული რევოლუცია იყო უმთაერესი ნაწილი ღენინის კულტურული გეგმისა⁷⁶. ბილშევიკების შეხედულებით, კულტურული შინაარსი იცვლება, ეს ცვლილება გამომდინარეობს თითოეული ქვეენის თავისებური მდგომარეობიდან და პირობებიდან წარმოებითი ძალების განვითარების ხარისხი, სოციალად მოსახლეობის განათლების დონე, და კერძოდ, პროლეტარიატისა და წერტილი ბურჟუაზიის კაემირის ხარისხი, ბურჟუაზიის გაყენის დონე პროლეტარიატზე

⁷⁵ ღენინი ეი თხზულებანი, ტ 31 თბ. 1952, გვ 34, 35 რესოლუციები და დაღენილებები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცკ და ცსკ ცვ. 1926, გვ 41

⁷⁶ ღენინი ეი თხზულებანი, ტ 31 თბ. 1952, გვ 36 *Митин М Ленинизм и характер культурной революции. Кьерн Культура и революция. № 2, 1932, გვ 11, 15.*

განმსახვრელია ამ პროცესების მსვლელობისათვის, ბურჟუაზიამდელი ეპოქის კულტურის ნარმენების ხარისხი და გაელენა მოცემული ქვეყნის საზოგადოებაზე და სხვა ფაქტორები განსაზღვრავს კულტურული რევოლუციის კონკრეტულ შინაარსს თითოეულ ქვეყანაში და პროლეტარიატის შემდგომ ამოცანებს ამ სფეროში⁷⁷. შიისლება ითქვას, რომ კულტურული რევოლუციის განხორციელების პროცესები ინდივიდუალური შიისლება უოფილიყო თითოეული ქვეყნისათვის

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს საწყის ეტაპზე არ არსებობდა ერთიანი, ჩამოყალიბებული კულტურული სისტემა, ანდა იგი დაქსაქსული იყო. პარტია და სახელმწიფო იქცა მის შემაკაქსირებულ საშუალებად, რაც უარყოფითად აისახა კულტურულ განვითარებაზე თანაფარდობა კულტურა-პარტია, კულტურა-სახელმწიფო შკაცრად იქნა რეგლამენტირებული კულტურის დამოუკიდებელი თვითგანვითარებისათვის, მისი ავტონომიურობისათვის საზოგადოებრივ ურთიერთობებში პირობები არ არსებობდა.

კულტურული განვითარება ბიუროკრატიული ცენტრალიზმის წნეხის ქვეშ აღმინდა, როცა ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა პარტია-სახელმწიფო ქმნიდა შკაცრ სისტემას, რომლითაც მართავდა კულტურულ პროცესებს

საერთოდ, კულტურული პოლიტიკა, თუკი მას განვიხილავთ ფართო სპექტრით, ფაქტობრივად აქალიბებს მთელ ცხოვრებისეულ სიერცეს, რომელშიც ცხოვრობს, მოქმედებს, მოღვაწეობს და ქმნის აღამიანი-საზოგადოება. კულტურული რევოლუცია კი წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების ერთგვარ სამოქმედო გეგმას, იგი იყო გამოსატყულება ოფიციალური პოლიტიკისა.

§ 2. "კულტურული რევოლუციის" განხორციელება საქართველოში

1921 წელს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსია, რის შემდეგაც ქვეყანამ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. საბჭოთა საქართველო იურიდიულად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობის სტატუსს, მაგრამ ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ

⁷⁷ Митин М. Ленинизм и характер культурной революции. კურნ Культура и революция № 2. 1932, გვ. 12.

შეესაბამებოდა და არ ასახავდა რეალურ ვითარებას საქართველოში მოხდის მთავრობით მიდანიად დასოკიდებული იყო რუსეთზე, მის მთავრობაზე, რუსეთის მმართველ სოციალ-დემოკრატიულ (ბ) პარტიაზე, 1922 წლის 12 მარტს მოხდა საქართველოს ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გაერთიანება. იმავე წლის დეკემბერში ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას და სხვა საბჭოთა (ბელორუსია, უკრაინა) რესპუბლიკებს შორის დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში გაერთიანებაზე რესპუბლიკები ინარჩუნებდნენ "ფორმალურ" დამოუკიდებლობას, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დამოუკიდებლობა ფიქტური იყო, რესპუბლიკებს რჩებოდათ შინაგანი დამოუკიდებლობა და "დამოუკიდებელი" პოლიტიკის გატარების უფლება კულტურის, თეატრის, შინაგან საქმეთა და მიწათმოქმედის საქმეში⁷⁸. რუსეთმა მოახდინა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია, საჭირო იყო მისი კულტურული ანექსიაც, ამისთვის კი მთელი რიგი ღონისძიებები იყო გასატარებელი.

საყოველთაოდ ცნობილია ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირში წარმოადგენდა რომანოვების იმპერიის მემკვიდრეს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები ამას არასოდეს ამბობდნენ, არ აღიარებდნენ, რუსმა სოციალ-დემოკრატებმა - ბოლშევიკებმა მოახდინეს იმპერიის პოლიტიკური რუკის მეტონაკლები სისუსტით აღდგენა, რომანოვების რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნატარებელი რეფორმები. ყველა კანონი, ბრძანებულება, დირექტივა თუ დებულება, რომელსაც კი გამოსცემდა საკავშირო ხელისუფლება, საერთო და საეკონომიკური იყო მთელი ქვეყნისათვის უპირობო იყო მათი ცხოვრებაში გატარება

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა რუსეთის კულტურული პოლიტიკა, ეწ. კულტურული რევოლუცია წარმოადგენდა რუსიფიკაციის მოდერნულ ვარიანტს, ერთგვარ ფორმას და საშუალებას, რომელიც დროის შესაბამისად იყო სამოქმედო. მოკავშირე რესპუბლიკებში ერთნაირად მიმდინარეობდა

⁷⁸ თითქმის. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები) თბ., 1999, გვ. 234
Braudel F. Gramaire des Civilisations. 1993, გვ. 611. Bogdan H Histoire des peuples de l'ex-URSS (Du 1Xe siècle à nos jours), Perrin, 2001, გვ. 222

რეფორმები, რომლებიც ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს. უკვე აღვნიშნავთ ნაციონალური ტენდენციების გამოვლენის მოსაზრებას, ერთიანი საკავშირო სასწავლო-აღმსრვლელი სისტემის და ერთიანი სასწავლო პროგრამების, საერთო საკავშირო იდეების და ღირებულებების, საერთო მხატვრული სახეების შექმნა

საბჭოური სისტემისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენებისაგან საქართველო გამოითიშული ვერ იქნებოდა. ცენტრალიზმის და უნიტარიზმის პირობებში რესპუბლიკა თანდათან ითქვეფებოდა საერთო საკავშირო სისტემაში და მის შინა ცხოვრებას ღრუნავდა საერთო საკავშირო სწავლებანი⁷⁹.

საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისათვის საკუთრივ იყო მრავალმხრივი მუშაობის ნატარება. სოციალისტური აშენებისათვის, ინდუსტრიალიზაციასა და კულტურული-საზოგადოებრივი ერთად, მნიშვნელოვანი იყო კულტურული რევილუციის განხორციელება, რომელსაც უნდა მოეხდინა ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირება.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, კულტურულ რევილუციას უნდა გადატრიალებინა ხალხის სულიერი ცხოვრება. მისი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო მასობრივი უწინგურობის მოსაზრება და საყოველთაო-საჯალდებულო სწავლების შემოღება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ცნობიერების გარდაქმნა სოციალისტური თეორიის მიხედვით⁸⁰, რის შედეგადაც შეიკვებებოდა მასების ფსიქოლოგია, ზნე-ჩვეულებანი და ყოფა-ცხოვრება, ჩამოყალიბებოდა ახალი მსოფლმხედველობა, შეიქმნებოდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ მრავალრიცხოვანი და მრავალეროვნანი ხალხებისაგან უნდა შექმნილიყო ერთი – საბჭოთა სოციალისტური ხალხი.

კულტურული რევილუცია საქართველოში ისეთივე გეგმით და ტემპებით ხორციელდებოდა, როგორც მოლიანად საბჭოთა კავშირში. იგი რამდენიმე ეტაპს მოიცავდა და ითვალისწინებდა მასობრივი უწინგურობის მოსაზრებას და ამისათვის საყოველთაო-საჯალდებულო სწავლების შემოღებას, უმაღლესი საწავლებლების მოდერნიზაციას და საბჭოურ ეიდაზე გარდაქმნას, ახალი საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბებას, კულანაირი სახის – შემოქმედებით

⁷⁹ სურგულაძე ა., სურგულაძე პ. საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, 1783-1990 წლები, თბ., 1991, გვ. 274

⁸⁰ ლენინი ვ. ი. თხზულებანი, ტ. 31, თბ., 1952, გვ. 72

თუ არაშემოქმედებითი სფეროების ერთიან სისტემაში მოქცევის, იდეოლოგიის და მათ მართვას, ერთიანი საბჭოთა ღირებულებების ჩამოყალიბებას და პროპაგანდას, შედეგად კი ნაციონალური კულტურის დეგრადირებისა და დაკნინების ხარჯზე საბჭოთა კულტურის ჩამოყალიბებას.

ერთიან საბჭოთა სივრცეში საქართველო დაღვა რეალური საშიშროების წინაშე, მის თვითშეფიცობასა და ეროვნული კულტურის განვითარებას საფრთხე ემუქრებოდა ბოლშევიკების ლოსუნვები ერთი თვითგამორკვევისა და ეროვნული პოლიტიკის შესახებ რეალობას არ შეესაბამებოდა. საბჭოთა სახელმწიფო, თავისი მმართველი ელიტით, ქართულ საზოგადოებას სთავაზობდა თამაშის გარკვეულ წესებს, რომელთა გარკვეულ დონით მიღებაზე, იყო დამოკიდებული საბჭოური წესების ძველია⁸¹. საბჭოური იდეოლოგია ეწეოდა ავტაცია-პროპაგანდას საერთო ღირებულებების შექმნისათვის წინააღმდეგ შემთხვევაში ცნება და სოციალური ფენომენი “საბჭოთა სოციალისტური ერი (ხალხი)” ვერ გახდებოდა ქმედითი, სიცოცხლისუნარიანი, რადგანაც, როგორც აღნიშნავენ პიტერ ბერკი, ყველა სოციალური და პოლიტიკური მოვლენა, ანუ სოციალური და პოლიტიკური სტატუსის მქონე ფენომენი, საჭიროებს საერთო ღირებულებების არსებობას⁸². ახლად შექმნილი საბჭოთა საზოგადოებისათვის ახუთებად შეიძლება ჩაითვალოს, საერთაშორისო კლასობრივი მტრის – ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთო სამშობლოს – საბჭოთა კავშირის არსებობა და მისი დაცვა, როგორც მათი პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის, სამხედრო თავდაცვითუნარიანობის გარანტისა.

“ნაციონალური იდეოლოგიის ყოველგვარი ნაშთების წინააღმდეგ იბრძოდა საქართველოს კულტურული ფრონტის მუშათა საუკეთესო ნაწილი საქართველოს კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით. წყნ საცხებით და გარკვეულად გააქვს წარმოდგენილი კულტურული აღმშენებლობის მიზანი და ამოცანები ამის საუკეთესო განმარტებას იძლევა ამხ. სტალინის ფორმულა პროლეტარული კულტურის შესახებ “წვენი ვაშენებთ პროლეტარულ კულტურას, ეს საცხებით სწორია, მაგრამ ისიც სწორია, რომ პროლეტარული კულტურა – სოციალისტური თავისი შინაარსით, სხვადასხვა

⁸¹ თოიძე ლ. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები) თბ., 1999, გვ 105

⁸² ბერკი პ. ისტორია და სოციალური თეორია, თბ., 2002, გვ 144 ნიკარაძე გ. ტრადიტარიზმის ფსიქოლოგიური ბუნება, “ერი”, 1991, №7, გვ 13

ფორმებს იღებს სახედასხვა ხალხში, რომელიც შებმულია სოციალისტურ მშენებლობაში, ენის, ყოფაცხოვრების და ა.შ. სხვაობის მიხედვით პროლეტარული თავისი შინაარსით, ნაციონალური თავისი ფორმით, ასეთია ის საერთო საკაცობრიო კულტურა, რომლისაკენ მადის სოციალიზმი³³.

ნაციონალიზმის ნაშთებად იყო მისწეული ყველაფერი ის, რაც წარმოადგენდა ქართული (და არა მარტო ქართული), ზოგადად ეროვნული ცნობიერების ბაზისს და მისი გამოსატყულების ფორმას, ის, რისი დაცვისა და შენარჩუნებისათვის იბრძოდა მთელი ქართული სასოციალიზმის იდეა ჭაგკავადის თაოსნობით, "სამოციანელთა" იდეური მემკვიდრეები და ეროვნული იდეალების მიმდევრები, რაზეც I თავის მეორე პარაგრაფში გვქონდა საუბარი

და ეს "ნაციონალური ნაშთი", პირველ რიგში, იყო ქართული კულტურა, რომელიც არ იყო მხოლოდ სოციალისტების საშუალებით მიღებულ ღირებულებათა, ნორმათა, ადათ-წესთა და ა.შ. სისტემა, არამედ იგი, პირველ რიგში, იდენტოფიკაციის ერთ-ერთი საშუალება გახლდათ მაშინდელ საქართველოში, სახელმწიფოებრიობა დაკარგულ სასოციალიზმს კულტურის მეშვეობით შეესდო არსებულ მკაცრ და სასტიკ რეალობაში ორიენტირება და, რაც მთავარია, ეროვნულობის შენარჩუნება ქართული კულტურა ერთგვარ იარაღად იქცა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში

კულტურული რევოლუციის განხორციელება დაიწყო უწინგურობის მისობის და საყოველთაო-საველეებულ სწავლების შემოღების დევეზით ახალი კულტურის შესაქმნელად დაიწყო ახალი კადრების მომზადება, რომლებიც შემდგომში გაუძღვებოდნენ მოელს ხელმძღვანელ აპარატს, როგორც პარტიულ, ისე სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. როგორც უკვე ზემოთ იქნა აღინიშნული, კულტურული რევოლუციის განხორციელების გეგმა და მიმდინარეობა საერთო იყო მთელი კავშირის მასშტაბით: ერთიანი განათლების სისტემის შექმნა, ახალი საბჭოთა ინტელიგენციის შექმნა, ახალი საბჭოთა სოციალისტური ხალხის და უკლასო საბჭოთა სასოციალიზმის ჩამოყალიბება. თითოეული მათგანის შესახებ ქვემოთ, III თავში გვექნება დაწვრილებით საუბარი.

³³ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921-37) დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ. 288

აკ საჭიროდ მიგვიჩნია ევრაღლება გაემახვილოთ რეპრესიულ ენობრუ პოლიტიკაზე, რომელსაც საბჭოთა რუსეთი მიმართავდა მოკავშირე რესპუბლიკებში და რომელიც ზუსტად კულტურული რეპრესიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და მისი საშუალებით ხორციელდებოდა. ამ გეგმამ საქართველოში გარკვეულწოდ კრაი განიცადა.

საყველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ენა ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და საფუძველია. ალბათ, უპირანი იქნებოდა გავგეხსენებინა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წწ. ილია ჭავჭავაძის მიერ შემოთავაზებული კარგად ცნობილი ფორმულა: "ენა, მამული, სარწმუნოება", რომელიც სწორედ ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას დაედო საფუძველად.

როდესაც ილიამ ეს ღოსუნგი თუ ფორმულა წამოაყენა, "საქართველო" როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და თუნდაც გეოგრაფიული ცნება აღარ არსებობდა (ტყელისის და ქუთაისის გუბერნიები). თითოეული ერი თვითიდენტიფიკაციას სხვადასხვა საშუალებით ახერხებს, იქნება ეს პოლიტიკური, რელიგიური თუ ენობრივი. პირველი საშუალება მისობილი იყო ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულის, ხილო მეორე - ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით, მხოლოდ მესამე - ენის საშუალება რეებოდა თვითინდენტიფიკაციისათვის და მიმავალი ეროვნული სხეულის განვითარებისათვის⁸⁴. პ. ბერკი შენიშნავს, რომ ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა კონტაქტებისთვის, არამედ საკუთარი თავის სხეებისაგან გამოარჩევისა და განსხვავებისაც⁸⁵.

ენის როდთან დაკავშირებით აკაკი ბაქრაძე ამბობს, რომ "... ფარნავაზის დროს შეიქმნა მწიგნობრობა ქართული, ეი. საძირკველი ნაეკარა ქართულ კულტურას. იგია ძირი და მერმინდელი ყველაფერი მასზე შენდება"⁸⁶. სხვა მრავალ კომპონენტთან ერთად, ყოველ ხალხს ეროვნული ხასიათისა და ენერგიის სრულად გამოსაველენად აუცილებლად სჭირდება სამი მთავარი რამ: ტერიტორიული მთლიანობა, იდეოლოგიური ერთიანობა (რომელიც სხვადასხვა

⁸⁴ ღლადარია ნ. სიცილინგვისტიკა, თბ., 2002, გვ. 111

⁸⁵ ბერკი, ისტორია და სოციალური თეორია თბ. 2002, გვ. 105

⁸⁶ ბაქრაძე ა. მკვახე შესახილი, ეურნ კრტიკა, № 4, 1983, გვ. 133

დროს სხვადასხვა სახით შეიძლება იქნეს გამოქვეყნებული და თავისუფლება⁸⁷.

აღბათ, სწორედ ამიტომ იყო ასეთი აქტუალური ქართული ენის დაცვა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ამ აზრს თითარებდნენ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ქართველი საზოგადო მოღვაწენი, მოუხედავად მათი სოციალურ-პოლიტიკური მრწამსისა "თუ ეროვნულ კულტურას თანაუგრძნობთ, რატომ გვაიწველება ის უბრალო აზრი, რომ კულტურის აქვეყნება უნდა შეუძლებელია, რადგან ენა არა მარტო იარაღია გრძნობისა... არამედ იგი ხელს უწყობს ეროვნული არსებისა, ხალხის ფსიხიურ განწყობილობის მანქანებელი"⁸⁸, წერდა სოციალ-დემოკრატიის არხილ ჯორჯაძე სოციალ-დემოკრატ, მენშევიკ ნიუ ჟორდანიასათვის "სამშობლო ნიადაგზე, სამშობლო ენის საშუალებითაა" შესაძლებელი ნებისმიერი სოციალ-პოლიტიკური რეფორმებისა თუ ხიხლვების განხორციელება⁸⁹ პიროვნების სრულყოფილი განვითარება და მისი აღზრდა შესაძლებელია მშობლიური ენის საშუალებით. ერი, როგორც სოციალური ერთეული, ხასიათდება ერთი ენით, რელიგიით, კულტურით, ისტორიით⁹⁰, წერდა მისაკო წერეთელი თავის ცნობილ სოციოლოგიურ ნაშრომში "ერი და კაცობრიობა", რომელიც პოპულარული იყო ქართულ საზოგადოებაში მათი აზრით, მშობლიური ენის დაცვამ და მის საყუქველზე განვითარებამ უნდა გამოიწვიოს ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, თავისი ეროვნული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტებით (რასაც 1918-21 წლებში ჰქონდა ადგილი), ქართული მრეწველობისა და მეურნეობის, ქართული თვითშეგნების აღორძინება, რომელნიც საბოლოო ჯამში გამოიწვევენ ქართველი ერის გადარჩენას, რომელიც შესძლებს გარე თუ შიდა ხელშემშლელი ფაქტორების დაძლევის, რაც ხელს უშლის მის ბუნებრივ განვითარებას.

საბჭოთა რუსეთი ვერ გუობდა არარუსულ ენებს, ამისათვის ცდილობდა კოდექსი, რეპრესიული მეთოდების გამოყენების საშუალებით მოეხდინა ნაციონალური ენების ტრანსფორმირება და დეგრადაცია, რომელთა

⁸⁷ ბაქრაძე ა. მკვახე შესახილი, ჟურნ კრიტიკა, №4, 1983, გვ. 133.

⁸⁸ ჯორჯაძე ა. სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ. 221

⁸⁹ ჟორდანია ნ მისი ნაწერების კრებული ეროვნული საკითხის შესახებ ტფ., 1922, გვ. 167

⁹⁰ წერეთელი მ. ერი და კაცობრიობა, თბ., 1991, გვ. 76, 87

საშუალებითაც (აქ იგულისხმება მშობლიურ ენაზე განვითარებული კულტურის ხელოვნება) ხდებოდა ეროვნული თვითმყოფადობის გამოხატულება

თითქოს ექველავური წესრიგში იყო და არაჩინო საფროსზე არ ემუქრებოდა ქართულობას თუ ქართველობის ერთ-ერთს (თუ არა ერთადერთ) საშუალებას – ქართულ ენას. 1922 წლის 28 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, სადაც II თავის VI მუხლში ჩაიწერა, რომ “ქართული ენა არის სახელმწიფო ენა”. ეს პირველი რესპუბლიკის დამსახურებად უნდა ჩათვალოს, ამდგომარა რამ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების იმდროინდელ კონსტიტუციებში საერთოდ არ წერია⁹¹. 1937 წლის 13 თებერვალს სრულად საქართველოს საბჭოების საგანგებო ყრილობამ მიიღო II კონსტიტუცია, რომლის XIII თავის 156-ე მუხლში იტყუა დაფიქსირებული და “გაფართოებულია” მისი უწყებები ავტონომიურ ერთეულებზე

1922 წლის 26 თებერვალს საქართველოს სსრ საბჭოების I ყრილობაზე ცაკის თავჯდომარე, ფ. მახარაძე თავის მოხსენებაში “საქართველოს საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ” სიმამით აღნიშნავდა, რომ საქართველო თავისი “ბუნებრივი მდგომარეობის კარნახით” დაუბრუნდა რუსეთს⁹² და რომ არც ერთი ერი და ენა არ არის პრევილეგირებული, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ექველა ეროვნებას აქვს უწყება საკუთარ ენაზე განვითარებისა, როგორც ოჯახში, ისე სახელმწიფო დაწესებულებაში, რაც საერთოდ არ ღახავს ქართველი მეშისა და გლეხის ინტერნაციონალურ ღირსებას. რომ საბჭოთა ხელისუფლება სწავლა-განათლების საქმეს ეროვნულ ნიადაგზე აყენებს და ხდება ნაციონალიზაცია, ანუ ეროვნულ ენაზე გაღასვლა. ე.ი. საქართველოში მცხოვრები ექველა ეროვნება თავის მშობლიურ ენაზე ვითარდებოდა და ღებულობდა სწავლა-განათლებას. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა სკოლაში მიღებას ერთგვარი გაუგებრობაც კი ახლდა. ხელისუფლება დაბნეული იყო, არ იცოდა, რა კრიტერიუმებით ეხელმძღვანელა და როგორ მიეღო მოსწავლე სკოლაში როგორც აბელ კიკეიძე შენიშნავს, “- მაგრამ ეს საქმე (იგულისხმება ეროვნულ უმცირესობათა სკოლების შექმნა და მშობლიურ ენაზე სწავლება ავტ)

⁹¹ თითქმის საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები) თბ., 1999, გვ 226

⁹² საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921-37) დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ 27

ერთბაში არ განხორციელებულა იმ სიძულეების გამო, რაც ეროვნულ უმცირესობათა სკოლების შექმნას ბუნებრივად ახლდა საკითხი ეხებოდა იმას, თუ რა პრინციპით უნდა ეხელმძღვანელოთ ასეთი სკოლების კონტინგენტის დასადგენად – მოწაფის ეროვნული წარმოშობის თუ მისი დედაენის მიხედვით ხშირი იყო შემთხვევა, როცა სკოლაში ბავშვის სარცხეა ხდებოდა ეროვნული წარმოშობის მიხედვით, ხილო ასეთმა ბავშვებმა სრულად არ იცოდნენ ეროვნული ენა და მეცადინეობა გაუგებარ ენაზე უხდებოდათ⁹³

განსაკუთრებულ მსურველობას იმენდნენ ეროვნული უმცირესობებისადმი – არატრადიციული ერებისადმი, როგორც მათ თვითონვე უწოდებდნენ, და მათი ენებისადმი საკაქშირო დაღვინდებით, მათ დამწერლობის შექმნის უწყება ეძლევათ⁹⁴ ამასთან დაკავშირებით სიანტე კორნელი შენიშნავს, რომ 1920-იან წლებში მოსკოვი ცდილობდა არამარტო გამოერთიანებული საბჭოთა იდენტურობის, არამედ ეროვნული იდენტურობის წამოყალიბებასაც, განსაკუთრებით “კორენიზაციის” პირველ წლებში, როცა უდამწერლობო ენებს დამწერლობები შეუქმნეს და მათ გამოყენებას ახალისებდნენ სოციალური მტკიცებით, ეს, შესაძლოა, კეთდებოდა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ ისლამის დროშით კავკასიელი ხალხების გაერთიანება და მათი წინააღმდეგობა; საპირისპიროდ, ხასი ესმებოდა მათ შორის არსებულ განსხვავებებს⁹⁵

ამ მხრივ საინტერესოა საბჭოთა ხელისუფლების ენობრივი პოლიტიკა აჭარაში, ანუ აჭარისტანში, როგორც მას უწოდებდნენ თავდაპირველად მონღოლებით ცდილობდნენ ესწავლებინათ აჭარელებისათვის თურქული ენა. მოუხედავად იმისა, რომ საამისოდ არც პედაგოგიური კადრები ჰქავდათ (თუ არ ნათქვამია ისლამის სასულიერო პირებს) და არც ხალხი ნანდა დიდად მონღოლებული. საქართველოს საბჭოების IV ყრილობაზე მიღებულ დადგენილებაში სპეციალურ მე-15 პუნქტადაა წამოყალიბებული “თურქ მასწავლებლებთან მომზადება”⁹⁶ და მათთვის სათანადო პირობების შექმნა 1927

⁹³ კიკიძე ა. საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეები. III ნაწილი, თბ., 1967, გვ. 71-72

⁹⁴ Культурное строительство в СССР (1917-1927) документы и материалы. М 1989, გვ. 111.

⁹⁵ Cornell S. E. Small Nations and Great Powers. A Study of Ethnopolitical Conflicts in the Caucasus. Curzon 2001, გვ. 48.

⁹⁶ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921-37) დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ. 153

წელს, აჭარაში მყოფი მარიამ ორახელაშვილი დანაწევრებით აღნიშნავს ოსმალები ენის სწავლების (კულ მდგომარეობას, რომ მედრესეებმა და მისმა მასწავლებლებმა ვერ გაამართლა და სხვა პედაგოგიური კადრი კი არ არსებობდა⁹⁷

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეოთხე კრილობაზე სერგო ორჯანიკიძემ საუკულებრი და სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ რუსული ენის სწავლება საერთოდ ცუდად იყო დაყენებული და რომ ამიერკავკასიელმა ბავშვებმა სკოლის დამთავრების შემდეგ არ იცოდნენ რუსული, ამიტომ საჭირო მიიჩნია, რომ „... ჩვენს სკოლებში, რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს არა ფრანგული ან გერმანული ენის თანაბრად, არამედ უნდა ისწავლებოდეს, როგორც სხვ კავშირის ენა, როგორც ოქტომბრის რევოლუციის ენა“⁹⁸.

თუ მანამდე რუსული ენა მხოლოდ მესამე ან მეოთხე კლასიდან ისწავლებოდა, როგორც უცხო ენა, „შკე 1927 წლის თებერვალში განათლების სახალხო კომისარიატმა გამოსცა ცირკულარი არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლებული სწავლების შემოღების შესახებ საქართველოს საბჭოების IV კრილობაზე საქართველოს ხელისუფლებას ერთგვარი “თავის მართლება“ მოუხდა ამ ფაქტის გამო. მათი თქმით, საჭირო იყო ოქტომბრის რევოლუციის ენის – რუსულის ცოდნა, როგორც კულტურული ენისა. ერთ-ერთი „შკე აპრობირებული მეთოდი იყო მისი როგორც მახლობელი და “შინაური“ ენის სტატუსით ოპერირება“⁹⁹. რუსული ენის მასწავლებელთა კონფერენციის სიტყვით გამოსული განათლების სახალხო კომისრის მოადგილე, დ. კანდელაკი საუბრობს ამ ენის აუცილებელი ცოდნის შესახებ. მისი აზრით, საჭიროა რუსულის სწავლა, რადგან საბჭოთა სახელმწიფოში მის გარეშე ვერ იარსებებს ევროპა ერთი მოქალაქე, მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა შეაყვარონ ბავშვებს რუსული ენა და გაუღვივონ მისაღმი ინტერესი, შეაგნებინონ მისი

⁹⁷ ორახელაშვილი, სახალხო განათლების საქმე საბჭოთა აჭარისტანში, გას კომუნისტი, № 34, 12.02.1927, გვ 1-2.

⁹⁸ Четвертый съезд коммунистических организаций Закавказья (5-9 декабря 1925 г.) Стен отчет, ტფ. 19-20.

⁹⁹ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების კრილობები (1921-1937). დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ 194

უპირობო ცოდნის საკითრება¹⁰⁰. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობისათვის რუსული ენის დაუფლების აუცილებლობას განათლებისა და კარიერის მიზნები განაპირობებდა¹⁰¹.

თითქოს საგანგაშო არაფერია; ვასაკურთა, რატომ უნდა გამოეწვია ამ ფაქტს აღშფოთება ქართულ საზოგადოებაში მაშინაც კარგად ესმოდათ, ერთი ენის პრივილეგირებულ მდგომარეობაში საყენებით რა საფრთხის წინაშე დგებოდა მეორე, არაპრივილეგირებული და დაუკველი ენა¹⁰² საყოველთაოდ ცნობილია სტალინის მოსაზრება ერებისა და ეროვნული ენების განვითარების სამი ეტაპის შესახებ. მისი აზრით პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის I ეტაპზე ადგილი ექნება ეროვნული კულტურებისა და ერის შემდგომ განვითარებასა და აყვავებას; მეორე ეტაპზე, სამოქალაქო და დამოუკიდებლობის საერთაშორისო ენა; ხოლო რიგეც სოციალისტური ხალხთა ყოფაში დამკვიდრდება, ანუ მესამე დამამთავრებელ ეტაპზე, დაიწება ეროვნულ განსხვავებათა და ეროვნულ ენათა კვლევა, და ისინი ადგილს დაუთმობენ ყველასათვის საერთო მსოფლიო ენას¹⁰³ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომელ მსოფლიო ენაზე ისაუბრებდა ხალხთა ბევრადი და მაინც, რომელ ენაზე არ უნდა გულისხმობდეს ეს დებულება, ქართული ენისათვის სახარბიელო მომავალი არ იყო გათვალისწინებული.

დღეს სოციალიზმისტიკაში მიღებულია შეხედულება, რომ ორი სხვადასხვა ენის ფართომასშტაბიანი კონტაქტი, წყნის შემთხვევაში ქართულის და რუსულის, იწვევს ბილინგვიზმს. ამ უკანასკნელს კი, გარდა წმინდა გრამატიკული ცვლილებებისა, უფრო შორეული შედეგი ახასიათებს, კერძოდ, რომელიმე ენის გამოუყენებლობა, ენობრივი გადაადგილება მეორე ენის სასარგებლოდ და ბოლოს, მისი სიკვდილი, ერთის მეორით ჩანაცვლება¹⁰⁴ ამას კი გარკვეული დრო სჭირდება. საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკა აშკარად რეპრესიული ხასიათისა იყო (ოდონდ შეფარეითი), რომელიც სახალხო

¹⁰⁰ კანდელაკი ლ. რუსული ენა ქართულ სკოლებში, გას კომუნისტი, №45(1800), 2502 1927, გვ. 3.

¹⁰¹ Werth N. Histoire de l'URSS, Caen, 1998, გვ 224-225, Cornell S. E. Small Nations and Great Powers A Study of Ethnopolitical Conflicts in the Caucasus Curzon 2001 გვ 49

¹⁰² Таблов К. К вопросу о национальной культуре, კურნ - Культура и революция, №3, 1933, გვ 23, 24, 27.

¹⁰³ სტალინი ი. თხზულებანი, ტ II, თბ 1952, გვ 384-386.

¹⁰⁴ ლადარია, სოციალიზმისტიკა, თბ., 2002, გვ 35, 94

განათლების სისტემის საშუალებით მოქმედებდა და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია, ხოლო ამ რეპრესიებმა უფრო გააძლიერეს ქართველთა ენობრივი თვითშეგნება და გაამძაფრეს პროტესტის გრძნობა

ერთი შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების საწყის ეტაპზე, ანუ, როგორც თვითონ უწოდებდნენ, “გარდამავალ პერიოდში” უკვე აშკარად ჩანს ის ძირითადი მიმართულებები და შორს გამიზნული გეგმები, რომელთა საშუალებით ცდილობდნენ საბოლოოდ მოესპოთ ყოველგვარი ნიშანი ეროვნულობისა ერთ-ერთი მთავარი ნიშანი - ქართული ენა - გარეგნულად ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივის სტატუსს, რაც მას კონსტიტუციის საშუალებით აქონდა მინიჭებული. ოფიციალურ დონეზე ქართველებს, სხვა დანარჩენ საბჭოელებთან ერთად, აქონდათ ეროვნული კულტურის განვითარების უფლება და საშუალება. კულტურული რევოლუციის ერთ-ერთი იდეოლოგიის, ბოგდანოვის განმარტებით, კულტურა არის კოლექტივის მორგანიზებული მეთოდებისა და ფორმების ღირებულება, ენა კი მისი ძირითადი სოციალურ-იდეოლოგიური ფორმა¹⁰⁵. ალბათ, სწორედ ამიტომ ეძვეოდა განსაკუთრებული ყურადღება ენის ფაქტორს კულტურული რევოლუციის განხორციელებაში, კონკრეტულად კი მის, როგორც ეროვნულობის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას, რომლის ნაცხოხალური ფორმითა და შინაარსით არსებობა ეწინააღმდეგებოდა საერთო საბჭოთა კულტურის არსს.

¹⁰⁵ Богданов А. О пролетарской культуре 1904-1924, М - Л., 1924, გვ. 328.

თავი III. ახალი ქართული საბჭოთა კულტურის ფორმირება

§ 1. განათლებისა და აღზრდის საბჭოური მოდელი

განათლების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე ხუცტი რგოლი იყო ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის. მატერიალური ბაზა, რომელიც მათ დახვდათ, არ შეესაბამებოდა მათ გაზრდილ მოთხოვნილებებს მოუწესრიგებელი იყო მიწის სასკოლო ქსელი, როგორც ინვენტარით და შენობებით, ისე სახელმძღვანელოებისა და პედაგოგთა მხრივ განათლების რეფორმა რამდენიმე შიმართლებით ხორციელდებოდა ხაზრო იყო სასკოლო დაწესებულებების გაახლება ან ახლის ასენება, მათი კეთილმოწყობა, საშუალო და უმაღლესი განათლების საბჭოურ ყადაგზე მოწყობა, ისეთი სახელმძღვანელოების შექმნა, რომელიც მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით იქნებოდა შეთარაღებული; არსებული არახთანადო (იდეოლოგიურად) და არახაკმარისი (რადიკალიზაციად) პედაგოგიური კადრების მობილნიზაცია, მათი გადაბირება და ახლის შექმნა.

საბჭოთა განათლების სისტემაზე საუბრისას არ შეიძლება ორივედ სიტყვით არ შევეხოთ საბჭოთა მეცნიერების დარგს, როგორცაა პედოლოგია¹⁰⁶ პედოლოგია – ესაა მეცნიერული ცოდნის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ზრდა-განვითარებაში მყოფ ადამიანთან იგი ეკვლევს ადამიანს მისი განვითარების პროცესში, დაწვებული შიდა მოთხოვნილებების განვითარების პერიოდთან, დამთავრებული მის სრულ განვითარებამდე ესაა მოძღვრება ადამიანის შესახებ, სადაც თავს იყრის ყველა მეცნიერება ფსიქოფიზიოლოგიის დარგში, შემუშავებული მარქსისტულ პლატფორმაზე, სხვადასხვა მიდგომებისა მიუხედავად. პედოლოგიაში თავს იყრის ყველა საზოგადოებრივი და ზუსტი მეცნიერებანი ადამიანის შესახებ არსებული ყველა მასალა პედოლოგიაში უფრო მოქნილი ჩნდება და ხდება¹⁰⁷, მას ასეთ განმარტებას აძლევდნენ საბჭოთა მკვლევარები. საბჭოთა სისტემის საწესის ეტაპზე ოფიციალი აღფრთოვანებული იყო მეცნიერების ამ დარგის წარმატებებით და მნიშვნელოვნად მიაჩნდა მისი მეცნიერული მიღწევები, დაინტერესებული იყო

¹⁰⁶ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს მოძღვრებას ბავშვის შესახებ

¹⁰⁷ Залкинд А. Культурная революция и вопросы педагогики, журнал «Культура и революция» №2, 1931, გვ. 27. ბლონსკი ა. რა მხრივ შეუქმნა დაუმართო სკოლას პედოლოგია, ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, № 6-8, ტფ., 1934, გვ. 106-112

მისი შემდგომი წინსვლით ხატარდა პედოლოგთა პირველი კრილობა (28 12 1927–04.01 1928), დარგს განსაკუთრებული და ფასდაუდებელი როლი დაეკისრა ახალი საბჭოთა კულტურის შემდგომ განვითარებაში, განსაკუთრებით მომავალი თაობის ახლებურად აღზრდის საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში პედოლოგთა პედაგოგიკა სე მნიშვნელოვანი და წამყვანი გახდა მომავალი თაობების აღზრდა-განათლების მეცნიერული დაგეგმარების საქმეში¹⁰⁸. მაგრამ სულ მალე იგი უხარვეზლო და ანტისაბჭოური აღმოჩნდა, და როგორც ბევრი რამ, ხაერთოდ აკრძალეს (კე 1936 წლის 4 ივლისის სპეციალური დადგენილებით ხანტერესია მისი აკრძალვის მოტივი. დადგენილების ტექსტში ვკითხულობთ: ". საკავშირო კე (ბ) (კე კემობს თანამედროვე ევრეთწოდებული პედოლოგიის თეორიასა და პრაქტიკას და საკავშირო კე (ბ) (კე სთელის, რომ ევრეთწოდებული პედოლოგიის თეორია და პრაქტიკა ევრდნობა ანტიმარქსისტულ დებულებებს ასეთ დებულებებს ეკუთვნიან უწინარეს ყოველისა, თანამედროვე პედოლოგიის მთავარი "კანონი" კანონი ბავშვთა ფატალისტური განპირობებულობისა და რალაც უცვლელი წრის გაველენით"¹⁰⁹. ცოტა მოგვიანებით, უნივერსიტეტის რექტორი ვაშაქაძე, თავის ცნობილ სიტყვაში გამოხდა ამ დარგს და აკრტიკებდა ამ სფეროში დ. უხნაძის ნაშრომს, რომელიც ევრ პასუხობდა ეპოქის შესაბამის მოთხოვნებს და ეწინააღმდეგებოდა ჭეშმარიტი საბჭოელის ჩამოყალიბებას¹¹⁰.

საბჭოური მოთხოვნების შესაბამის განათლების სისტემის, როგორც საშუალოს ისე უმაღლესს, უნდა უზრუნველყო სოციალიზმის მშენებელი ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირება, ამისათვის კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჭირო იყო ე.წ. კულტურული რევოლუციის ცხოვრებაში გატარება ამიტომ უპირველეს ყოველისა საჭირო იყო ერთიანი განათლებისა და აღზრდის სისტემის ჩამოყალიბება შეიქმნა პედაგოგიური მუშაობის კომუნისტური მოდელი, რომელიც საფუძვლად დაედო ბავშვთა აღზრდას, მათში კოლექტივისტური და ინტერნაციონალური სულისკვეთების და მიმართულების

¹⁰⁸ ბლანსკი ა რა მხრივ შეუძლია დაეხმაროს სკოლას პედოლოგთა, კურნ კომუნისტური აღზრდისათვის, №6-8, ტფ., 1934. გვ 28

¹⁰⁹ კურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, №3, თენისი-ივლისი, 1936, გვ 27

¹¹⁰ ფანე ჯავახიშვილი ტირანის სამხჯაეროს წინაშე, დოკუმენტები და მასალები XX საუკუნის 20-30-იანი წლები, თბ., 2002, გვ 42

განვითარებას, მომავალი თაობის სოციალისტური იდეოლოგიით აღზრდას¹¹¹ კარგად ჩამოყალიბებული, იდეოლოგიზებული საფუძვრებთან აღზრდის სისტემა – ოქტომბრული, პიონერი, კომკავშირული – რომელიც ყველას უნდა გაეგო, ეხმარებოდა განათლების სისტემას ახალი, სოციალისტური კადრების აღზრდაში ამასთან დაკავშირებით სახარტოლიანად შენიშნავს ლ. იონინი, როდესაც ამბობს, რომ ახეთი გზით ხელმძღვანელებმა ახალგაზრდა ადამიანის სოციალიზაცია, სწორება პარტიაზე, რომელსაც რიტუალური ხასიათი აქონდა და რომელიც ღრმად ჯდებოდა ახალგაზრდის ფსიქოლოგიაში და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მის შემდგომ ფორმირებაში¹¹²

საბჭოთა ადამიანის შეხატულად აუცილებელი იყო თვისობრივად და შინაარსობრივად სხვათაგან განათლების სისტემის შექმნა, რომლის აღზრდილი ჩამოყალიბებული "კომსოლუტეკისი" იქნებოდა. საბჭოთა სკოლა უნდა მოგვეცოდა ქვეყანაში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივისაციის პროცესს. განათლების სისტემის რეფორმისთან დაკავშირებით მიღებული ყველა დადგენილება თუ რეზოლუცია, პარტიული თუ საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ წარმოთქმული სიტყვა ამის ანარეკლია ხალხის ფართო მასებში წერაკითხვის არცოდნა იმდენად აწუხებდათ, რამდენადაც ეს ზიანის მომტანი იყო ამ პროცესებისათვის. საბჭოთა სკოლის ამოცანები გარკვეული და განსაზღვრული იყო ხელისუფლების მიერ, სკოლას მოეწონებოდა თავისი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მუშაობა ფართოდ გაშლილი კოლექტივისაციის და ინდუსტრიალიზაციის ინტერესების შესაბამისად უნდა წარესართა, და "მხოლოდ ამ გზით მოახერხებს ხეყნი სკოლა მის წინაშე წამოტრილი უდღესი პრობლემის გადაჭრას, მხოლოდ ამ გზით შესძლებს ხეყნი სკოლა სოციალისტის აქტიურ მშენებელთა აღზრდას". იგივეა ნათქვამი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული (ბ) პარტიის პროგრამაში, რომ სკოლა ბურჟუაზიის კლასობრივი იარაღიდან საზოგადოების კომუნისტურად კარდაქმნის იარაღად უნდა გარდაიქმნას, იგი არამარტო კომუნისტური პრინციპების შქალაგებელი უნდა იყოს არპროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ მშრომელთა ყენებში,

¹¹¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ VII, თბ., 1976, გვ. Культурное строительство в Грузинской ССР (1921-1937), Т6, 1986, გვ. 117. საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგატების საბჭოების ყრილობები (1921-37) დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ. 153

¹¹² Ионин Л.Г. Социология культуры. Путь в новое тысячелетие, М., 2000, гв. 235

არამედ პროლეტრიატის იდეური, ორგანიზაციული, აღმზრდელითი საქმის მკაფიო და მხარდაჭერა, რათა მოხდეს ისეთი თაობის აღზრდა, რომელსაც ექნება უნარი საბოლოოდ დაამყაროს კომუნისმი, სკოლას კავშირი უნდა აქონდეს საზოგადოებრივ-წარმოებით შრომასთან, რომელიც მოამზადებს ყოველმხრივად განვითარებულ კომუნისტურ საზოგადოების წევრებს¹¹³

კომუნისტურად მოაზროვნეთა ჩამოსაყალიბებლად, ამ მხრივ საზოგადოების ფართო ფენების გასანათლებლად და გასათვითცნობიერებლად საჭირო იყო, თითოეული მათგანისათვის ესწავლებინათ წერა-კითხვა სწორედ ამიტომ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაიშალა წერა-კითხვის უცოდინარობის საღიკვიდაცო მძირობა ოფიცისი ამ კამპანიის ხატრებას შემდეგი მიზეზით ახაბუთებდა: «.წერა-კითხვის ცოდნა – ეს ძირითადი პირობაა, ურომლისდაც შეუძლებელია მოქალაქემ მიიღოს შეგნებული მონაწილეობა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შედმეტია იმაზე ღაპარაკი, წერა-კითხვის ცოდნას მოკლებული ხალხი წარმატებით განახორციელებს სოციალისტურ აღმშენებლობას»¹¹⁴. შემოიდეს საყოველთაო-საჯალდებულო საშუალო სწავლება განსაზღვრულ იქნა უადა – 1932-1933 სასწავლო წელი: ამ დროისათვის უნდა მომზადებულიყო მთელი სასკოლო ქსელი ამის აუცილებლობის მიზეზად დასახელებულია ის, რომ «განახორციელებულ იქნეს საყოველთაო საჯალდებულო სწავლება და რათა სასკოლო დაწესებულებათა სისტემა და სოციალური აღზრდა შეთანხმებულ იქნეს მოსახლეობის მოთხოვნებებთან და მის ნაცონალურ შემადგენლობასთან»¹¹⁵

ცოტა მოგვიანებით, 1930 წლის 9 ოქტომბერს, საქართველოს სსრ ცაკი და სახკომსაბჭო იდებს ახალ დაგენილებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში საყოველთაო საჯალდებულო სწავლების შემოღების წესის შესახებ, მიზეზად კი დასახელებულია ქვეყნის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიულ-სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის, კულტურული

¹¹³ ვიხისთავი ღ. საფელის მეურნეობის მოღიანი კოლექტივი ხაცია და საბჭოთა შრომის სკოლის ამოცანები ჟურნ კულტურული აღმშენებლობა, მარტი, №6(55), 1929-1930, გვ 577 *Культурное строительство в СССР (1917-1927) Документы и материалы*, М., 1989 გვ 66-68.

¹¹⁴ პრძილა წერა-კითხვის უცოდინარობასთან, გაზ კომუნისტი, №2 (1167), 1925, გვ 1
¹¹⁵ საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრინოლოგიური კრებული (1921-1940 წწ) ტ 1, თბ., 1959, გვ 11.

განათლების სისტემა დამატებით რგოლად იქცა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის, სასკოლო ქსელის გაფართოება და, საერთოდ, მისახლეობის განათლებაზე ზრუნვა გამომდინარეობდა ქვეყანაში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივისაციის პროცესების ტემპებიდან. ხშირად ამ ტემპებს ვერ უძლებდა და ვეხდაფეხ ვერ მისდევდა განათლების სისტემა. სხვათა შორის, ამას თვითონვე აღნიშნავდნენ და სხვადასხვა მეთოდით ცდილობდნენ, სკოლა დაწყოდა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივისაციის ტემპებს¹¹⁷.

განათლების მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენდა უმაღლესი საწავლებლები, რომელთა მიერ მომზადებულ კადრებს უნდა შეეხსო საბჭოთა ინტელიგენციის რიგები როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამ კადრებს უნდა შეეცვალა ძველი «ბურჟუაზიელი», «ნაციონალური სულისკვეთებით გაუღენთილი» ინტელიგენცია.

ამიერკავკასიის ცკ I ყრილობამ 1923 წლის იანვარში მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის პირველი კომუნისტური უნივერსიტეტის დააარსების შესახებ, რომელსაც კადრები ოთხი სპეციალობით უნდა გამოეშვა, მათ შორის საზოგადო-პედაგოგიურის ორწლიანი და პარტიულ-საბჭოთას სამწლიანი სწავლებით; ყრილობამ მიიღო დებულება უმაღლესი სასწავლებელთა შესახებ, სადაც ჩამოყალიბებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიზნები და დანიშნულება, რომელიც შემდგენაირად განისაზღვრა: «გააერცვლოს მეცნიერული ცოდნა პროლეტარულ და გლეხურ მასებში, რომელთა ინტერესსაც უმაღლესი სასწავლებლების მოღვაწეობაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს», ყოველი უმაღლესი სასწავლებლისათვის საუღლებულოდ მოითხოვდნენ ეწ მუშათა ფაკულტეტების არსებობას¹¹⁸, სასწავლო პროცესის დროის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას.

როგორც ჩანს, რეორგანიზაციის პროცესება არ გაამართლა და მოგვიანებით, 1933 წლის 8 იანვარს, საქართველოს სსრ ცკ-მა და სახკომსაბჭომ გამოსცა დადგენილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

¹¹⁷ საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული (1921-1940 წწ.). ტ. I, თბ., 1959, გვ. 11.

¹¹⁸ გაზ. კომუნისტი, № 11, 16 იანვარი, 1923, გვ. 3-4

მოწყობის შესახებ. ამ დოკუმენტით, რომელიც სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილების – “უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლო პროგრამებისა და რეჟიმის შესახებ” – საფუძველზე და შესაბამისად იქნა მიღებული, დაადგინა, რომ თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის, საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის და, ნაწილობრივ, პედაგოგიკური ინსტიტუტის ბაზაზე მოწყობილიყო სახელმწიფო უნივერსიტეტი 4-5 წლიანი სწავლის ხანგრძლივობით, შემდეგი ფაკულტეტებით. ა) ფიზიკო-მათემატიკური (მათემატიკური, ფიზიკური და ასტრონომიული); ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (ქიმიური, ბიოლოგიური – ბიოლოგიური და ზოოლოგიური სექციები, გეოლოგიური და გეოგრაფიული – ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფიის სექციები); გ) ისტორიულ-ლიტერატურული (ისტორიული – ისტორიისა და ფილოლოგიის სექციები, ენისა და ლიტერატურის – ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენებისა და ლიტერატურის სექციები); დ) ეკონომიური (პოლიტიკური ეკონომიის, საგეგმო – საგეგმო და სააღრიცხვო სექციები, და საფინანსო – საფინანსო და საეკონომიკური სექციები); ე) საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის (საბჭოთა მშენებლობისა და საბჭოთა სამართლის განყოფილებებით). მთლიანად განათლების სახალხო კომისარიატის პერეოგატივა გახდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პერსონალის დანიშვნა, უნივერსიტეტში ნორმალური მეცადინეობის უზრუნველყოფა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დებულების პროექტის შემუშავება¹¹⁹. ქვეყანაში, სადაც ამაყად აცხადებდნენ, რომ არ არსებობენ კლასები და შენდება უკლასო სოციალისტური საზოგადოება, უმაღლეს სასწავლებელში მიღების დროს უპირატესობა პროლეტარიატისა და მისი მოკავშირე კლასის – გლეხობის წარმომადგენლებს ეძლეოდათ¹²⁰ როგორც კულტურის სხვა სფეროებში, განათლების სისტემაშიც თანამიმდევრულად ხორციელდებოდა კლასობრივი მიდგომა უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის უპირობო უპირატესობის უწყობით

¹¹⁹ საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული (1921-1940 წწ.), ტ. I, თბ., 1959, გვ. 11.

¹²⁰ Культурное строительство в СССР (1917-1927) Документы и материалы. М., 1989, გვ. 91.

სარგებლობდნენ მუშათა და გლეხთა კლასის წარმომადგენლები, ხოლო “სოციალურად უცხო ელემენტების” მიღება შეზღუდული იყო¹²¹

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მრავალწლიანი შრომის შემდეგ დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების ხელში გადაიქცა საშუალებად, რომლითაც მოხდებოდა მარქსისტულ-ლენინური იდეალების ქადაგება და გაერცვლება საქართველოს ახალგაზრდობაში.

მიუხედავად იმისა, რომ სწრაფი ტემპით იზრდებოდა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, მოსწავლეთა და სტუდენტთა რიცხვი, არც მატერიალური ბაზა და არც მასწავლებელთა რაოდენობა და დონე იყო შესაბამისი, რათა ეს გაზრდილი მოთხოვნებიანი დაეკმაყოფილებინა. ამიტომ საწავლო პროცესი დაბალი ხარისხის იყო¹²². მიუხარბოთ სტატისტიკას, რომელიც ბოლშევიკებს ძალიან უკუარდათ და ყველაფერი საგულდაგულოდ დათვლილი ჰქონდათ. 1936 წლისათვის ქვეყანაში 20 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც 21.584 სტუდენტი სწავლობდა, 113 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელში კი – 21752. ეს ციფრები მოტანილია ლ.პერეას მოხსენებიდან, რომელიც მან საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) X ყრილობაზე წაიკითხა 1937 წლის 15 მაისს¹²³

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მასწავლებლის როლი და ფუნქცია განსაზღვრული იყო. “თვითეული მასწავლებელი, რომელიც ახლა გარემოცულია სტალინური ზრუნვითა და ყურადღებით, ხომ უნდა იყოს მოსწავლეს ახალგაზრდობის არა მარტო კარგი აღმზრდელი, არამედ კარგი აგიტატორიც, რომელსაც უნდა შესწევდეს უნარი განუმარტოს მშრომელებს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა”¹²⁴

როგორც ჩანს, მასწავლებლობა, როგორც ინტელიგენციის ნაწილი (რაზეც ქვემოთ გვექნება დაწკრილებით საუბარი), უკმაყოფილებას გამოთქვამდა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით, დაკარგული დამოუკიდებლობისა და

¹²¹ საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული (1921-1940 წწ.), ტ. 1, თბ., 1959, გვ. 214-217

¹²² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ VII, თბ., 1976, გვ. 300. Braudel F. Gramaire des Civilisations. Paris, 1993, გვ. 605-606

¹²³ გაზ. ლიტერატურული საქართველო, №11, 21.05.1937, გვ. 5

¹²⁴ იქვე, გვ. 5.

ეროვნული კულტურის დევნა-შევიწროების გამო 1925 წლის იანვარში, საქართველოს მასწავლებელთა I კრილობაზე, მარიამ ორახელაშვილის მოსმენის შემდეგ მიიღეს რეზოლუცია, რომელთაც ორივე მხარე პირობას დებდა. ხელისუფლება ყველანაირი პირობების გაუმჯობესებას აღუთქვამდა მასწავლებლებს და ამშვიდებდა მათ, აღნიშნავდა, რომ ისინი არ უნდა სწუხდნენ, რომ "პროლეტარიატის დიქტატურა არათუ არ ავიწროებს და სწავრავს ეროვნულ კულტურას, არამედ დევესებური ნაბიჯით წინ სწევს მას", თავის მხრივ, მასწავლებლობა დამშვიდდა და ხელისუფლებას აღუთქვა ახალგაზრდობის კომუნისტური მორალით აღზრდა¹²⁵

ხელისუფლება მზრუნველობას არ აკლებდა სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის საქმეს სახელმძღვანელოებიც ოფიციალური იდეოლოგიის შესაბამისად უნდა ყოფილიყო შედგენილი ნებისმიერი წიგნი, იქნებოდა ეს სასკოლო სახელმძღვანელო თუ კლასიკარულ საკითხავი, აუცილებლად კლასობრივი ანტიგონიზმით აღზრდის ხელშემწყობი, იდეოლოგიურად, პედაგოგიურად, მხატვრულობის და ენის მხრივ მიღებული უნდა ყოფილიყო¹²⁶. სახელმძღვანელოს შინაარსი მთლიანად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანებით, იმ პერსპექტივებით, რასაც მათ ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია და საერთაშორისო მუშათა კლასი უყენებდა. "იდეოლოგიურ ფრონტზე ფრთებგამდოლ-გამწვანებელი კლასთა ბრძოლის პირობებში ყოველ სახელმძღვანელო წიგნში წითელ ზოლივით უნდა იყოს გატარებული მკაფიო, ზუსტი პროლეტარულ-კლასიური ხაზი და მიმართულება, რომელიც საზოგადოებაში უნდა იწვევდეს კლასიური მტრისადმი ზისდისა და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის სტიმულს"¹²⁷. ამ მხრივ საინტერესოა ე.წ. საბავშვო ლიტერატურის შემსწავლელი კომისიის ერთ-ერთი გადაწყვეტილება. ამ კომისიის შეუდგენია "მოსიყვებელი" წიგნების სია, დაახლოებით 70 საბავშვო წიგნისა, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს დაეასახელებ: შმიდტის – "მტრები", "მამის ერთგული", "სვიის გურგინი"; კ. კარდანიხელის – "საიდგომო სანუქარი ანუ ბუდდა, კარგული", ი. გოგებაშვილის – "ასპინძის

¹²⁵ გაზ კომუნისტი, №7 (1162), 9 01 1925, გვ 3

¹²⁶ ორახელაშვილი მ სახელმწიფო სამეცნიერო პედაგოგიური სექციის ამოცანები. პურნ: კულტურული აღმშენებლობა, № 9 (57), 1929-30, გვ. 831.

¹²⁷ გურგენისე და, ლომინაძე მ. პირველი საფეხურის შრომის სკოლის სახელმძღვანელოს შესახებ. პურნ: კულტურული აღმშენებლობა, № 3, 1931, გვ. 183

ომი", "ერეკლე მეფე და ინგლო ქალი", "თავდადებულნი ქართველნი", "სხივი წარსულისა", "საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა", "საქმაწვილო კონა" და სხვა. გ. წერეთელის - "წვენი ძველი გმირები", "ლომკაცი", შიო მღვიმელის - "სამი ცელქი", "ძუნწი", "ნაცარა", "ოქროს თავთაი", გოეთეს "რეინგე კუდა მელა", ანდერსენის ზღაპრები და ა.შ. მათი აკრძალვის მოტივები ასეთია: ზოგიერთ მათგანში აღწერილია ემისა და ბატონის მშვიდობიანი თანაცხოვრება, სადაც მსახური მონური ერთგულებითა და პატივისცემით არიან გამსჭვალულნი; ზოგიერთი გამოხატავს პატრიოტულ აღტაცებას მეფეებისა და გმირული წარსულისადმი, ხოლო ზოგიერთი კი კილოთი, ენით, ფორმით, აზრით, ესთეტიკური აღზრდის მხრივ მოსყვლებულნი არიან და თანამედროვე ცხოვრებისათვის მოუღებელ ემოციებს ანეითარებენ¹²⁸.

სასწავლო დაწესებულებების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ხელისუფლება ახორციელებდა მთელ რიგ ღონისძიებებს გარდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებისა და გაუმჯობესებისა, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური რეფორმების მოთხოვნების შესაბამისად საწავლო პროცესის დახვეწას და დაგეგმარებას მიმართავდა. ამის მიზნად დასახელებულია ქვეყნის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიულ-სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის, კულტურული მშენებლობის ტემპის გაძლიერებისა და მასებში ტექნიკური ჩამორჩენილობების ლიკვიდაციის ამოცანები¹²⁹.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ განათლების სისტემა დამატებითი რგოლია სოფლის მეურნეობისა და საწარმოო დაწესებულებებისა, რომ სასკოლო ქსელის გაფართოება და, საერთოდ, მოსახლეების განათლებაზე ზრუნვა გამომდინარეობს ქვეყანაში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პროცესების ტემპებიდან

ამ პროცესების შესაბამისად მოეწყო უმაღლესი სასწავლებლები (სწრაფი ტემპით ვითარდებოდა არა მარტო დაწესებულებით, არამედ საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემის ქსელსაც.

¹²⁸ ლეინაშვილი საბაქშეო წიგნი და მისი მკითხველი. ეურნ კულტურული აღმშენებლობა, მარტი, №6 (55), 1929-1930, გვ. 619-123

¹²⁹ Культурное строительство в СССР (1917-1927) Документы и материалы, 1989, გვ. 69, 87. საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული (1921-1940 წწ.) ტ. 1, თბ., 1959, გვ. 145-148

30-იან წლებში გაძლიერდა კულტურისადმი პრაგმატული და უტილიტარული მიდგომა, მისი განვითარება უცვილობლად დაკავშირებული იყო მიმდინარე სამეურნეო პრობლემების გადაჭრასთან ფორსირებული ინდუსტრიალიზაციის პირობებში, კულტურული რეკონსტრუქციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო საჯირო რაოდენობის სამუშაო კადრების მომზადება, რომლებსაც ექნებოდათ სპეციალური ცოდნა და ოსტატობა (ერთმა მეოთხედმა იცოდა წერა-კითხვა)

შეიძლება ითქვას, რომ «კულტურული რეკონსტრუქციის» ერთ-ერთი მიზანი მიღწეულ იქნა. შეიქმნა კომუნისტური იდეოლოგიისადმი უკრიტიკოდ მორწილი საზოგადოება, რომელიც კლასობრივი და პარტიული დაპირისპირების სულისკვეთებით იყო აღზრდილი (მათგან შეიქმნა «კრიტიკოსთა» მასა, რომელიც შემდგომში თავიანთ თანამედროვე, «გზაბნეულ» მოღვაწეთ მოველინენ მაჩხილებლებად და აღმსრდელებად).

ხოტბა-დიდება და მადლობები კომუნისტების მიმართ იმის გამო, რომ მათ ქვეყანა გამოიყვანეს სიბნელიდან და აზიარეს მოწინავე იდეებს (რა თქმა უნდა მარქსიზმ-ლენინიზმი იგულისხმებოდა), მთლად არ შეესაბამება სიმართლეს.

§ 2. ქართული საბჭოთა ინტელიგენციის სათავეებთან

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი “ინტელიგენცია” განმარტებულია, როგორც ცოდნა, გონება, აზროვნება, შემეცნებითი ძალა, გონიერი, მოაზროვნე იგი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან «intelligens», «intelligentia». ეს არის საზოგადოებრივი ფენა, რომლის პროფესიულ საქმიანობასაც გონებრივი, უმთავრესად რთული, შემოქმედებითი ინტელექტუალური შრომა შეადგენს, რომელიც ავითარებს და ავრცელებს კულტურას. ამ ტერმინის სოციოლოგიური გაგების შესაბამისად (რომელიც XIX საუკუნეში წამოყალიბდა და რომელიც ინტელიგენციის კლასობრივ-პოლიტიკური ნიშნით ყოფდა), მიღებულია საუბარი შემოქმედებით და სამეცნიერო-ტექნიკურ, პროვინციულ და დედაქალაქურ, «რასწინიურ» და თავადაზნაურულ, სოფლის, “მუშათა” და “გლეხთა” ინტელიგენციაზე. და მაინც, ინტელიგენციის გენეტიკური გაგება წმინდა კულტუროლოგიურია და, პირველ რიგში, ნიშნავს ადამიანთა წრეს, რომელთა ცოდნითა და ქაღისხმევით იქმნება და გადაეცემა კულტურის ნორმები,

ტრადიციები და ფასეულობანი¹³⁰ ძნელია დაეთანხმო ნვენში ყართოდ გაერთელებულ მოსახრებას, რომლის თანახმადაც ინტელიგენციად მინეულია საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც არ არის ფისიკური შრომით დაკავებული. მათ შორის, მოსამსახურეთა და ადმინისტრაციულ მუშაკთა სხედასხვა ჯგუფები.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტელიგენციის გაგება თავისი წარმოშობით წარმოადგენს რუსული კულტურის კატეგორიას და უმრავლეს ვეროპულ ენებში (ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და ა.შ.) შევიდა რუსულიდან. მე-19 საუკუნეში რუსული სიტყვა “ინტელიგენციის” ანალოგად დასავლურ ვეროპულ კულტურაში განდა ტერმინი «ინტელექტუალს» (ინტელექტუალები). მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში კკ ტრედიაკოვსკიმ ლათინური სიტყვა “ინტელიგენტია” თარგმნა, როგორც “გონიერება”. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა გალინმა “ფილოსოფიური ლექსიკონის მცდელობაში” (1819 წ.) ინტელიგენცია შედინგისებურად ახსნა და “გონიერი სული” და “უმაღლესი ცნობიერება” უწოდა¹³¹

ინტელიგენციის მთელი პროფესიული მოღვაწეობა, რომელიც მატერიალური და სულიერი სფეროების წარმოებას ეხება, გონებრივ შრომისთანაა დაკავშირებული აქედან გამომდინარე, სოციოლოგიური შეხედულებით, განპირობებულია და განსაზღვრულია მისი მდგომარეობა საზოგადოებრივი შრომის განაწილებაში¹³² პირველ რიგში, იგი სოციალური სტატუსით თავისი პროფესიული, გონებრივი შრომიდან გამომდინარე გამოირჩევა, რის გამოც საუბარია არა რაოდენობრივ ინტელექტუალურ ენერგიაზე, რომელიც გახარჯულია შრომითი მოღვაწეობის პროცესში, ანდა ამ გონებრივი შრომის ხასიათსა და შინაარსზე, არამედ მის შემოქმედებით ფუნქციურ დანიშნულებაზე, მის სოციალურ როლზე საზოგადოებრივ სტრუქტურებში. მაგრამ არის კულტუროლოგიური თვალსაზრისი, რომლის შესაბამისად, ინტელიგენციის, როგორც სოციალური ტიპის მოვლენის განმსაზღვრელი ნიშანია მისი დამოკიდებულება ღირებულებებისადმი, რომლებიც გამოსატულია მათი ალტერნატიული სისტემის ძიებისას, რაც

¹³⁰ Арнольдов А.И. Введение в культурологию М., 1993, გვ. 195, 199.

¹³¹ Культурология. Энциклопедия XX век. Т 1, Санкт-Петербург, 1998, გვ. 254.

¹³² Арнольдов А.И Введение в культурологию, М., 1993, გვ. 198

დაკავშირებულია მის სულიერ და მსოფლმხედველობით თავისებურებებთან იგი მზადაა, თავისი სულიერი ენერჯია წარმართის კულტურული ღირებულებებისა და კლიმატის თანაბარი შენარჩუნებისაკენ

საბჭოთა ინტელიგენციაზე საუბრისას საკბროდ მივინივთ შემოგვეთავაზებინა ინტელიგენციის სამუშაო დეფინიცია და, აქედან გამომდინარე, გაგვეზრებინა XX საუკუნის 20-30-იან წლებში ქართული ინტელიგენციის გარშემო დატრიალებული პოლიტიკური რეპრესიების მიზეზები

იმასზე, თუ როგორ გაეიაზრებო ქართული ინტელიგენციის წარმოშობას, როგორ განვსაზღვრაოთ კულტურის ამ ფენომენის სულიერ წანამძღვრებს, მისი შექმნისა და განვითარების სოციოკულტურულ ფაქტორებს, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინცაა დამოკიდებული კულტურულ-ისტორიული პროცესების ევოლუციური სურათი XIX-XX საუკუნეებში და, განსაკუთრებით, გასული საუკუნის მეორე და მესამე ათწლეულებში. უფრო მეტიც, ის, თუ როგორ და რა საფუძველზე ვითარდებო ქართული ინტელიგენციის გენეზისს, განსაზღვრავს ჩვენს წარმოდგენას, თუ რა არის ქართული ინტელიგენცია, რა ფენომენთან გვაქვს საქმე მისი სახით, როგორია მისი ისტორიული როლი ქართული კულტურის, მისი ისტორიულ-ტიპოლოგიური და ეროვნული თავისებურებების ჩამოყალიბებაში, რითაა განპირობებული მისი ისტორიის შინაგანი ტენდენციები და კანონზომიერებანი, აღმავლობისა და დაცემის, კრისისისა და გაფურცქენის ფაზები¹³.

ქართულ ინტელიგენციაზე საუბრისას უნდა შევეხოთ 1914 წელს დასტამბული არჩილ ჯორჯაძის ნახრომის “მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის”. იგი ქართული ინტელიგენციის დასაბამს XIX საუკუნის 50-იანი წლებში ხედავს, როდესაც ეურნალ “ცისკრის” გამოცემა იწყება და მნდება მასა განათლებული ადამიანებისა, რომელთაც ძალუძოთ როგორც გონებრივი შრომა, ასევე ამ შრომის დაფასებაც. ეს იყო ერთგვარი ჩანასახი. ინტელიგენციის ჩამოყალიბება 1861 წლიდან იწყება და “1863 წლიდან უკვე გარკვეულად მოსჩანს ახალი, კულტურული სასოგადოებრივი ჯგუფის სახე. აქედამ იწყება დიფერენციაცია თავად-აზნაურობისა, როგორც წოდებრივ

¹³ დავით ზურაბიშვილი საერთოდ ვკვძემ აკენებს ქართული ინტელიგენციის არსებობას. | ის. ზურაბიშვილი დ. ქართული ინტელიგენციის ბრწყინვალება და სიღატაკე. კრება: ჭკუა ვაისაგან თბ., 1994, გვ 4, 5, 19

ერთეულისა და ინტელიგენციისა, როგორც წოდებთა შუა მდგარ კულტურულ ძალისა”. ქართული საზოგადოების დახახიათებისას იგი განსაკუთრებით გამოყოფს ქართველ გლეხობას და “ნორნ ქართველ ინტელიგენციას” “გლეხობა, ერის დიდი უმრავლესობა, ელემენტი, რომლის კეთილდღეობა სეა აგებული ერის კულტურის წინსვლა. ინტელიგენცია – ეროვნული კულტურის გამომხატველი”¹³⁴. ინტელიგენციის როლი და მნიშვნელობა გარკვეულია იგი ეროვნული კულტურის მატარებელი და დამცველია ამიტომაც დაატყდა მას თავს ბოლშევიკების განსაკუთრებული რისხვა.

ძველი ქართული ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შემართებით იბრძოდა ხელოვნების ნიმუშებისა და ქართულ სიძველეთა გადასარჩენად, რომელთაც ან დანგრევა, ან გაძარცვა ელოდათ. სამუზეუმო საქმის განყოფილების თანამშრომლებმა ბევრი ძველი გადაარჩინეს

XX საუკუნის 20-30 წლები – ესაა ეპოქა, სადაც პოლიტიკა სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რანგშია აყვანილი და პირიქით საჭირო იყო ახალი საზოგადოების – საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება. საქართველოს მოსახლეობა ხდება ერთიანი საბჭოთა ხალხის ნაწილი. იგი იქცა იმ დიდი ექსპერიმენტის შემოქმედ მასად, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის საქმეს ემსახურებოდა როგორც ზემოთ, II თავში აღვნიშნეთ, სოციალიზმის აშენებისათვის, ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციასთან ერთად, საჭირო იყო ე.წ. “კულტურული რევოლუციის” განხორციელება, ამისათვის კი, პირველ რიგში – წერა-კითხვის მასობრივი უცოდინრობის აღმოფხვრა და ძველი «ბურჟუაზიული» ინტელიგენციის ჩანაცვლება ახალი «საბჭოთა» ინტელიგენციით¹³⁵.

საჭირო იყო ძველი ინტელიგენციის გამოცდილების გამოყენება, მათი საბჭოურ პლატფორმაზე გადაყვანა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში – ლიკვიდაცია. განაღდა მუშაობა ახალი, საბჭოთა კადრების შექმნისათვის პროლეტარიატს სჭირდებოდა საკუთარი კულტურული კადრები

¹³⁴ ჯორჯაძე. ა. თხზულებანი, წ. V ტფ., 1911, გვ 128

¹³⁵ ლენინი ვ. ი. თხზულებანი, ტ. I, თბ., 1952, გვ 64, 71 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921-1937) დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ 77, 86

სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო-კულტურული მოღვაწეობისათვის.

მიიმე იყო ინტელიგენციის მდგომარეობა, მმართველი პარტიის პოლიტიკა მის მიმართ წინააღმდეგობრივი იყო. მზარდი ინდუსტრიალიზაცია მოითხოვდა კადრებს, ხელისუფლება სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა სპეციალისტების გადაბირებას, მეორე მხრივ, არ ენდობოდა მათ. ამიტომ ტექნიკური ინტელიგენცია, რომელიც თავიდანვე ჩართული იყო მრეწველობაში, თავიდანვე გამოცხადდა პროლეტარიატისათვის უფრო მახლობელ კლასად, ვიდრე პუმიანტარული¹³⁶.

30-იან წლებში სახელმწიფო პოლიტიკა ძველი ინტელიგენციის მიმართ უფრო გამკაცრდა. ნატარდა ღია პროცესები, სადაც მათ ბრალდებოდათ მავნებლობა და მტრული კლასების დახმარება. ინტელიგენცია ცხადდებოდა დამნაშავედ სამეურნეო სისხლეებში, დისპროპორციასა და ეკონომიკის წარუმატებლობაში, რომლებიც ფორსირებული ინდუსტრიალიზაციის გამო წარმოიშვა, რათა ხელისუფლებას და მმართველ პარტიას მოეხსნა პასუხისმგებლობა. ძველი ინტელიგენცია ახლით იცვლებოდა¹³⁷.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა მრავალი ინსტიტუტი: 1928 წელს პოლიტექნიკური ფაკულტეტი გადაკეთდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტად; 1929-30 წლებში აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ხოლო 1932 წელს მას გამოეყო ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, 1930 წელს – სამედიცინო ინსტიტუტი. 1930 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შედეგად, წარმოიშვა პედაგოგიური, საფინანსო-კოოპერაციული, საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტები. უმაღლესი სასწავლებლები შეიქმნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავში, სტალინში¹³⁸, რომელთა

¹³⁶ საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული (1921-1940 წწ.) ტ. I, თბ., 1959, გვ. 300.

¹³⁷ საქართველოს ისტორია, XX საუკუნე თბ., 2003, გვ. 136-137

¹³⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 831-834 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 2, თბ., 1955, გვ. 117.

კურსდამთავრებულებმა მიიღეს დიპლომი და შეუერთდნენ საბჭოთა ინტელიგენციის რიგებს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ინტელიგენციის შექცევას მუშათა და გლეხთა რიგებიდან. ამისათვის, გარდა განათლების სისტემისა, არსებობდა დაწინაურების მეთოდი ახალში უამრავი ორგანიზატორული ტალანტი; მათ ათასობით თვლავდა, ღუპავდა, გარეთ ისროდა კაპიტალი, წყენ ჯერ კიდევ არა გვაქვს მათი გამოჩახვის, ყვხსე დაყენების, დაწინაურების უნარი. მაგრამ, წყენ ამას ვისწავლით ა¹³⁹ ეს მითითება დაელო საფუძვლად პარტიის პოლიტიკას მუშათა დაწინაურების საქმეში, რაც ერთ-ერთი საშუალება გახდა ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის ფორმირებისათვის. დასაწინაურებლად შერჩევა, უპირველეს ყოვლისა, ხდებოდა კლასობრივი პრინციპით, ე.ი. აწინაურებდნენ პარტიის წევრებს, კომკავშირელებს, უპარტიოებიდან – ღარიბ და უღარიბეს გლეხებს და მუშათა საუკეთესო ნაწილს. დაწინაურებულთა შორის პარტია აწარმოებდა დიდ იდეურ-პოლიტიკურ, აღმზრდელობით მუშაობას, ყოველდღიურად ეხმარებოდა მათ (საბინაო საკითხი და სხვ.)¹⁴⁰. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას, მრეწველობის სოციალისტურ ნაციონალიზაციას, აგრარულ რეფორმას, ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას და სხვა მრავალ დონისძიებას ესაჭიროებოდა სანდო და შესაფერისი კადრები, რომელთა რიგები «დაწინაურებულთ» უნდა შეეცნოთ. ასეც მოხდა. ეწყობოდა პარტიული სკოლები, ღენინური გაწვევით შედიოდნენ პარტიის რიგებში. ისინი ინიშნებოდნენ სამეურნეო, პარტიულ, აღმინისტრაციულ თანამდებობებზე. მათ შექმნეს საბჭოთა საწარმო-ტექნიკური ინტელიგენცია¹⁴¹.

საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა მუშაკებსა და მუშათა მოსამზადებელ კურსებს, როგორც უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ საშუალებას. იზრდებოდა მუშაკების ქსელი: 1932-33 სასწავლო წელს საქართველოში იყო 27 მუშაკი 8600 მოსწავლით, 1937-38 წწ – 19 მუშაკი 4000 მოსწავლით, 1938-39წწ. – 19 მუშაკი 3900 მოსწავლით უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა რაოდენობით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური

¹³⁹ ღენინი ვ.ი. თხზულებანი, ტ.32, თბ., 1952, გვ. 309.

¹⁴⁰ Материалы к отчету ЦК на VII съезде КП Грузии, Тб., 1930, გვ. 27

¹⁴¹ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 2, თბ., 1955, გვ. 367, 668-669.

რესპუბლიკა ერთ-ერთი პირველი იყო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის 1937-38 წწ. საქართველოში სწავლობდა 20.217 სტუდენტი, 1938-38 წწ - 21983. 1939 წელს საქართველოში იყო 15 უმაღლესი საწავლებელი 21.983 სტუდენტით¹⁴² მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდში საქართველოს სასწავლო დაწესებულებები გადაიქცა ახალი საბჭოთა ინტელიგენციის კადრების შექმნის კერად 1928-1940 წლებში უმაღლესმა სასწავლებლებმა 29 ათასი სპეციალისტი გამოუშვა. სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას 2514 პროფესორ-მასწავლებელი ემსახურებოდა. 1939 წელს 1000 სულ მოსახლეზე 133,4 საშუალო და 11,2 უმაღლესი განათლების მქონე პირი მოდიოდა¹⁴³. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობას, ეს არნახელი ციფრებია.

განსაკუთრებული აგიტაცია-პროპაგანდა წარმოებდა ძველი, «ბურჟუაზიული», «ნაციონალური სელისკვეთებით გაქვნილი» ინტელიგენციის მიმართ. ახალ, საბჭოთა საზოგადოებაში, საბჭოთა სახელმწიფოში მათ ადგილი არ ღირსათ, ისინი უდემეტნი აღმოჩნდნენ მათ უნდა «ესწავლათ» მახებისაგან ახლებურად ფიქრი და ასროვნება თავდაპირველად, საბჭოთა ხელისუფლების საწყის ეტაპზე, შედარებით «რბილი» იყო მათდამი დამოკიდებულება 1925 წლის 6 აპრილს, საქართველოს სსრ საბჭოების მესამე ყრილობაზე სიტყვით გამოსული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარე შ. ელიავა აკეთებს მოხსენებას რესპუბლიკის სამეცნიერო და კულტურული მდგომარეობის შესახებ და განიხილავს საქართველოს სამეურნეო-სამრეწველო მდგომარეობას, საუბრობს კომისარიატების მუშაობის შესახებ. მას მოჰყავს ასეთი სტატისტიკური მონაცემები: 100 000 მუშა-მოსამსახურე ნაბმულია მუშაობაში. უმუშევარია 47000 კაცი. ისინი ასე ჰყავს განაწილებული: «ინტელიგენცია – გონებრივი და კანტორის მუშაკები - 39%, წარმოებითი ჯგუფი - 21%, ტრანსპორტი და სახელმწიფო კავშირი - 12%, შავი მუშები და გაურკვეველი პროფესიები - 14%. უმუშევართა ციფრების განხილვამ, ამხანაგებო, მიგვიყვანა ერთ საინტერესო დასკვნამდე: საქართველოს დიდძალი ინტელიგენცია ჰყავს». შ ელიავას მიძიედ

¹⁴² Культурное строительство в СССР, сб стат. М-Л, 1940, გვ 100, 124 Культурное строительство в СССР (1917-1927) Документы и материалы, 1989, გვ 193

¹⁴³ Грузинская СССР за 20 лет (Сб. стат). Тб., 1941, გვ. 15 სსკპ ყრილობების, კორფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 2, თბ., 1955, გვ 129-132

ენეენება ინტელიგენციის «პრობლემა» საქართველოში და ხელისუფლებას მოუწოდებს, მიხედოს ამ საკითხს და თანაც ინტელიგენციის შეტისმეტი პუმანიტარულობა და საბჭოთა აღმშენებლობისათვის გამოუსადეგარობა აწუხებს. «...საერთოდ ეს ინტელიგენცია მრავლად არის ამოყრილი ცხოვრების ზედპირზე და მათი განაწილება და გამოყენება საბოლოოდ არ შეტკივლია. რანაირ მიმართულებას მიიღებს შემდეგში ინტელიგენციის საკითხი, ეს დღეს გაურკვეველია»¹⁴⁴, – აღნიშნავდა შ ელთაეა

ხორციელდებოდა «დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა». უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკები ქართულ ინტელიგენციას სამ კატეგორიად ყოფდნენ. პირველი ტექნიკური ინტელიგენცია, რომელმაც პირველმა აღიარა საბჭოთა ხელისუფლება და დაიწყო მასთან თანამშრომლობა, შემდეგ – ექიმები და ბოლოს – საქართველოს მწერლები და «ნაციონალიზმის სენით შეპყრობილი» ინტელიგენცია¹⁴⁵. რომელთა გადმოხიბება, «აღზრდაც» ვერ მოახერხეს და რომლებიც შეიქმნენ რეპრესიების მსხვეპლნი

ამ მხრივ საინტერესოა სეგალის 1929 წელს გამოქვეყნებული სტატია ინტელიგენციის, მისი როლისა და დანიშნულების შესახებ მასში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და გახმოვანებული ხელისუფლების დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი. ინტელიგენციის ერთ-ერთი ფუნქციაა პროლეტარიატის სამსახური, მოვალეობა – მარქსიზმის შესწავლა და ისეთი თვისებების შექმნა, როგორცაა ინციატევა, აქტიურობა და ენთუზიაზმი, რათა ისინი ორგანიზატორის, მოწინავეს და ხელმძღვანელის რანგში იქნეს აყვანილი სოციალისტურ ცხოვრებაში¹⁴⁶.

მშრომელი გლეხობის პარალელურად, შეტევა ქართულ ინტელიგენციაზეც მიმდინარეობდა. ინტელიგენციაზე შეტევის საბაბი გახდა ე.წ. კონდრატევიშჩინა 1930 წელს მოსკოვში გაასამართლეს გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტები ნ. კონდრატევი, ა. ჩაიანოვი და სხვები, რომლებიც

¹⁴⁴ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921-37) დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ 140

¹⁴⁵ იქვე, გვ 85, 91, 192, 197, 307. მ. ორახელაშვილის მოხსენება ამიერკავკასიის მთავრობის მოღვაწეობა, საკავშირო ცკ-ის მესამე სესია, გა.ს. კომუნისტი, №54 (1209), 7.03.1925, გვ. 3.

¹⁴⁶ Сегалъ А. Интеллигенция в реконструктивный период. კურნ. Революция и культура, №22, 30 ноября 1929 г., გვ. 41, 43-44.

სამართლიანად ილაშქრებდნენ ეკონომიკაში მთავრობის უმართებულო კურსის წინააღმდეგ. «კონდრატევიშინა» საბაბი გახდა მთელ ქვეყანაში მასიური კამპანიის ნატარებისა «მაენე ელემენტებისაგან» ინტელიგენციის გასაწმენდად.

კონდრატევისა და ნაიანოვის მომხრეთა ძებნა დაიწყო საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მიუთითებდა აქაც «მაენე პლატფორმის» არსებობაზე.¹⁴⁷ დასახელებული იყვნენ კოლეეც პიროვნებანი (კუმბურიძე, გონნაროვი, საეცკი, ავერბახი და სხვები), რომლებიც, თითქოს, იმდს ამყარებდნენ ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ნაშლაზე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხილვა დაიწყო სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში. განსაკუთრებული იერში მითიანეს ძველი თაობის ქართველ ინტელიგენციასზე, რომლის «შეცდომას» ამუქებდნენ მათი ნაციონალური მისწრაფებების მხილებით.

ნაციონალისტური რეციდივების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში საბროგრამო შეხედულებებს ასახავდა უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის იე. ვაშაყმაძის სტატია, რომელიც უკრნალ «მნათობში» დაიბეჭდა და სადაც საბჭოთა ეპოქის პუმანიტარული მეცნიერებანი საქართველოში ერთნაირად მონათლული იყო, როგორც ანტისაბჭოური, ანტიმარქსისტული და ნაციონალისტური «არ მიეცემთ ნებას ანტი-მარქსისტულ, ნაციონალისტური შეხედულებების შემდგომი პროპაგანდისა. ვინც არ განიარაღდება, ვინც არ იბრუნებს პირს წყენსკენ და არ აცნობს მარქსიზმის მონაპოვლიას – გარყეული დარწმუნა წყენი საბჭოთა სინამდვილისაგან»¹⁴⁸

სახელმწიფო ხელისუფლება ინტელიგენციისაგან ითხოვდა სამსახურს და სახელმწიფო შეკვეთების შესრულებას, სამაგიეროდ, მისი არსებობისათვის იხდიდა, აჭმევდა, აჯილდოებთა და მიწოდებთ ხრწნიდა. შედეგად, ინტელიგენციის სოგიერთ წარმომადგენელს ნამოუყალიბდა სამოქალაქო მერკანტილიზმი, რაც შემოქმედებითი ადამიანისათვის (და არამარტო მისთვის)

¹⁴⁷ ჭინგარაძე ნ. რევოლუციური კანონიერების და სასოგადოებრივი საკუთრების განმტკიცების კრებული, ტფ., 1933, გვ. 22-24.

¹⁴⁸ ივანე ჯავახიშვილი ტირანის სამხჯაუროს წინაშე, დოკუმენტები და მასალები XX საუკუნის 20-30-იანი წლები, თბ., 2002, გვ. 38,44.

საშიში მოვლენაა. როგორც წესი, ეს შემოქმედს აქცევდა ადმინისტრატორად, ახალისებდა შემოქმედებით უნაყოფობას¹⁴⁹

მიმდინარეობდა ინტელიგენციის სასტიკი დაშტამპვა და ხელახალი გამოწორენა. თავის დროზე ბუხარინმა განაცხადა: «მეცნა დაეშტამპათ ინტელიგენტებს, გამოვიმუშავებთ მათ როგორც ფაბრიკაში»¹⁵⁰

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა გაგებით, ინტელიგენტია ის, რომელსაც აქვს დიპლომი, მუშაობს პარტიულ თანამდებობაზე, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. შესაბამისად, ინტელიგენციაა დიპლომირებული, საბჭოურ ყაიდაზე აღზრდილი მასა, რომელიც პარტიული ელიტის მიერ შეიქმნა ნამოყალიბდა ახალი საბჭოთა ინტელიგენცია – პოლიტიკურად სანდო, იდეოლოგიურად მომზადებული, რომელსაც ვერდნობოდა და ენდობოდა საბჭოთა ხელისუფლება. მის გვერდით კი არსებობდა «იდეურად მოუზადებულთა», ნამოყალიბებულთა, ნაციონალურ დევნილთა, ნებისთ თუ უნებლიეთ დაბნეულთა კოხორტა «ძველთა» ინტელიგენციისა, რომელიც «ხელახალ აღზრდას» საჭიროებდა

§ 3. ქართული საბჭოთა საზოგადოების ჩასახვა

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა პროცესებმა განაპირობა სტრუქტურულად და ფუნქციურად სხვა ტიპის საზოგადოების ნამოყალიბება. ქართველი და არამარტო ქართველი ბოლშევიკებისათვის სამყარო ორ დაპირისპირებულ ნაწილად იყო გაყოფილი. რევოლუციურად და კონტრრევოლუციურად, კომუნისტურად და არაკომუნისტურად¹⁵¹. შესაბამისად, საზოგადოებასაც ასე აღიქვამდნენ სამყარო დაიყო “თავისიანად” და “სხეად”, მეგობრებად და მტრებად, რაც საზოგადოებას მიმართა და განაწყობდა ბრძოლისათვის. ყველაფერს აღიქვამდნენ და აფასებდნენ მკაცრი დუალური კატეგორიების პრიზმაში.

საქართველო გახდა ერთიანი საბჭოთა სიერცის ნაწილი. ყველა ღონისძიება, რომელიც ქვეყანაში ხორციელდებოდა, საქართველოსათვისაც

¹⁴⁹ Арнольдов А.И. Введение в культурологию, М., 1993, გვ. 205

¹⁵⁰ Бухарин Н. пролетарская революция и культура, М., 1923

¹⁵¹ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921-37) დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ. 25

საკვლადებულო და აუცილებლად შესასრულებელი იყო მიმდინარეობდა ერთიანი საბჭოთა საზოგადოების შექმნის რთული პროცესი. დ. იონინი სოციალკულტურ პროცესებზე დაკვირვებისას აღნიშნავს, რომ საბჭოთა კანონი (ასე უწოდებს იგი საზოგადოებაში დამკვიდრებულ ცხოვრების უცვლელ წესებს, რომლებიც დინამიკას არ ექვემდებარება) წარმოადგენს წესების და ნორმების შეურყეველ ერთობლიობას, რომელთა დარღვევა ყველასათვის აკრძალული იყო. იგი შედგებოდა სამი ძირითადი პრინციპისაგან: მთლიანობის ანუ ტოტალიტარობის, რომელშიც პოლიტიკური სისტემის მიღებული მეთოდები, საშუალებები, პოლიტიკური გადაწყვეტილებების პრინციპები და ქმედებები საერთო იყო ყველასათვის; ყველანაირად უნებართვოდ შაბათობები, ყველგან იყო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები და ა.შ.; იერარქულობის - «ზემოთ» მიღებული გადაწყვეტილებები თანაბრად და ერთმნიშვნელოვნად ერცხდებოდა მთელ სისტემაზე, ხოლო მათი დარღვევების ან არ შესრულების შემთხვევაში დამინაშავე იხჯებოდა და უმთაურესი პრინციპი იყო მიზანმიმართულება. პოლიტიკური სისტემა მიმართული იყო მომავლისაკენ მომავალში ხდებოდა მისი არსებობის და განხორციელების გამართლება, ასე ეთქვამო, ეს იყო სახლი, რომელიც მომავლისათვის შენდებოდა¹⁵² ზუსტად სტიმულის და გენერატორის როლს ასრულებდა იმ «ლატენტური ბრბოსათვის», რომელიც რევოლუციამ შექმნა. «პროლეტარიატის დიქტატურას» ამოფარებული ხელისუფლება არ აპირებდა თავისი ძირითადი დასაყრდენის დაკარგვას - ეს ძლავუფლების მთლიან ან ნაწილობრივ დაკარგვას ნიშნავდა, აღნიშნავს გნიჟარაძე¹⁵³. ამიტომ მმართველმა წრეებმა შეიმუშავეს მთელი რიგი ზომებისა, რომელთა მიზანი იყო ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის პერმანენტულად ბრბოს მდომარეობაში ყოფნა ამ მეთოდებმა გაამართლა და საკმაოდ ეფექტური გამოდგა.

1925 წელს საქართველოს მთავრობა აცხადებდა, რომ ქვეყანა წარმოადგენდა მშრომელთა იმ ერთიან ოჯახს, რომელიც პროლეტარული სახელმწიფოს «გამაგრებისა და მოწყობის» საქმეს შეუდგა. ხოლო ცოტა მოგვიანებით, 1937 წელს, უკვე «საბჭოების ქვეყნის ყველა ხალხი

¹⁵² Ионин Л.Г Социология культуры: Путь в новое тысячелетие, М., 2000, გვ 179, 180

¹⁵³ ნიჟარაძე გ., ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური ბუნება, "ერი", 1991, №7, გვ. 12.

გაერთიანებულია ერთიან დიად, განუყოფელ სოციალისტურ ოჯახად¹⁵⁴ და საქართველოც ერთიანი საბჭოთა ხალხის ნაწილს წარმოადგენს.

ქვეყანაში მიმდინარე ქაოსმა და პოლიტიკურმა რეპრესიებმა თავისი დაღი დაასხვა საზოგადოებას მოახდინა კუმანისტური იდეების დისკრედიტაცია შედეგად მოხდა საზოგადოების გარდაქმნა, მისი სულიერი რეგრესი, განხორციელდა კულტურაზე შეტევა, მსოფლიოს სულიერი ღირებულებებისადმი გაუცხოება. განსხვავებული აზრის მქონეთა მიმართ განხორციელებულმა დაუნდობელი რეპრესიებისა და ზეწოლების შექანისმისა თავბრუდამხვევი დარტყმები მოაყენა კულტურის მოღვაწეთ. რეპრესიებმა და ფიზიკურად განადგურების შიშმა საზოგადოება მტრულ დაჯგუფებებად გახლინა სახელმწიფოში უპირველესი და უმოაერესი კლასი – პროლეტარიატი დაუპირისპირეს ჯერ გლეხობას, შემდეგ ისინი დაამეგობრეს, ბოლოს ორივე ერთად ინტელიგენციას და თავადაზნაურობას დაუპირისპირეს. ეს უკანასკნელი კი საერთოდ მოსიხლვე მტრად გამოაცხადეს და დაუნდობელი ბრძოლა გაიანადგურა მის წინააღმდეგ, ინტელიგენციას «მცირე შანსით» დაუტოვეს, და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ისინი პროლეტარიატის იდეური გაუღენის ქვეშ მოექცეოდნენ, საბჭოთა იდეალებს აღიარებდნენ და მის სამსახურში ჩადგებოდნენ¹⁵⁵.

ტოტალიტარიზმის არაადამიანურმა სისტემამ, რომელიც სოციალისმის იდეით იყო შენიღბული, დაანგრია საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალი. რუსულმა კომუნისმმა მსოფლიოს მოუვლინა საზოგადოების სრულიად ახალი, უნიკალური ტიპი, რომელსაც განიჟარაქმ «ლატენტური, ანუ ფარული ბრბო» უწოდა¹⁵⁶.

ბოლშევიკებმა მისახლეობას პირველ რიგში შესთავაზეს მთელი რიგი პოლიტიკური ლოსუნგები, რომლებიც მრავალრიცხოვანი სოციალური

¹⁵⁴ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921-1937). დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ. 131 ლ ბერია. ხალხთა ერთიანი ოჯახი. გაზ. ლიტერატურული საქართველო, №27 (49), 15.11.1937, გვ. 2.

¹⁵⁵ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-15 ყრილობა, ტყ., 1927, გვ. 17, 20-21. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921-1937), გვ. 32-33, 129, 132, 140, 198. Bogdan H Histoire des peuples de l'ex-URSS (Du 1Xe siècle a nos jours), Perrin, 2001, გვ. 15. რეზოლუციები და დადგენილებები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცკ და ცსკ გაერთიანებული პლენუმის, ტყ., 1926, გვ. 12.

¹⁵⁶ ნიჟარაძე ვ., ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური ბუნება გაზ. ერი, №6, 1991, გვ. 13.

მოდრობების სასიცოცხლო და არსებით მოთხოვნებს ეხმარებოდა ბოლშევიკებმა აღუთქვეს ომის შეწყვეტა ომით გათანგულ მისახლეობას, მიწა – გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები – მეშენებს, მოითხოვნდნენ მთელი ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემას, რომლებიც წარმოადგენდნენ დემოკრატიული გზით შექმნილ ორგანიზაციებს. კბოვადანი ბოლშევიკთა მთავრობის თავდაპირველ წარმატებებს მათ მიერ განხორციელებულ დონისიძიებებს მიაწერს, რადგან, როგორც იგი აღნიშნავს, მათ არამარტო შესთავაზეს პოლიტიკური ღონისძიებები, რომლებიც სუსტად ასახავდა და ითვალისწინებდა ძალთა გადანაწილებას, არამედ განახორციელეს კიდევაც ისინი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათ მიერ გამოცემულმა დეკრეტებმა – მშვიდობის, მიწის, მეშთა კონტროლის შესახებ, აგრეთვე «დეკლარაციამ რუსეთის ხალხთა უფლებების შესახებ» საწყის ეტაპზე მათ ფართო მასების მხარდაჭერა მოუპოვა¹⁵⁷ ბოლშევიკებმა საზოგადოებას შესთავაზეს მთავარი ღირებულების ხარისხში კომუნისტური საზოგადოების – სოციალისტური თანასწორობის საზოგადოების – აშენება, სადაც არ იქნებოდა წაგვრა, აღამიანის მიერ აღამიანის ექსპლოატაცია დახატული მომიჯნაველ პერსპექტივა, კომუნისტური იდეალი საბოლოოდ ჩაჯდა აზროვნებაში, ფსიქიკაში, იგი გახდა სოციალური ოპტიმიზმის გენერატორი, სახალხო მასების მობილწაცისა და აღტკინების საშუალება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეულ ეტაპზე მათ შეძლეს როგორც ელიტის, ასევე მასების ერთ მთლიანობად შექერა¹⁵⁸.

მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირში მოსახლე სხვადასხვა ეროვნებების იდენტფიკაციის პრობლემა საბჭოთა აღამიანის იდენტურობის დადგენა შეიცვალა, ნაცვლად რელიგიური და ეროვნულისა, მისი იდენტფიკაცია რამდენიმე ძირითადი ფაქტორით ხდებოდა, კერძოდ, კლასობრივი და პარტიული კუთვნილებით. როგორც სხანტე კორნელი¹⁵⁹ აღნიშნავს, ეთნიკური ან ჯგუფური იდენტურობების გამოდევნის ერთ-ერთი და, შესაძლოა, უფრო წარმატებული მეთოდია მათი ნანაცვლება იდეოლოგიით. ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისტურ იდეოლოგიას უნდა წაეშალა განსხვავებანი ხალხებს შორის და ნამოყვალბებინა თვისებრივად ახალი

¹⁵⁷ Bogdan H. Histoire des peuples de l'ex-URSS (Du IXe siècle à nos jours), Perrin, 2001, გვ.23.

¹⁵⁸ ნიქარაქე ქ., ტოტალიტარისმის ფსიქოლოგიური ბუნება, "ერი", 1991, №7 გვ.13.

¹⁵⁹ Cornell S. E.. Small Nations and Great Powers. A Study of Ethnopolitical Conflicts in the Caucasus Curzon. 2001, გვ. 52.

აღამიანი. მაგრამ, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ამ პროცესების წარმატებით განხორციელებას საბჭოთა სახელმწიფოს სტრუქტურის ეროვნულმა დაყოფამ შეუშალა ხელი. “ეროვნული” ერთობები, რომელთაგან შედგებოდა საბჭოთა კავშირი, არ იყო ეთნიკურად მომთავსებული ამ ავტოკრატული შედეგი იყო “სატიტულო ეროვნებების” მიერ უმცირესობათა ასიმილაციის ფარული თუ აშკარა პოლიტიკა. საბჭოთა იდენტურობა ყველაზე ძლიერი და ღრმა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხშირად ეს არ შეესაბამებოდა სინამდვილეს ეროვნული, რელიგიური, რეგიონული, ჯგუფობრივი ანუ თავდაპირველი, ტრადიციული იდენტურობის დაძლევა ხანგრძლივი და იძულებითი პროცესია. ყველაზე მტკივნეული და პრობლემური იყო ნაციონალური იდენტურობა, რომელსაც ყველა ვერ სხვადასხვა გზითა და ფორმით აგებს. ამ შემთხვევაში ბევრია დამოკიდებული კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაზე, ნაციონალური ტრადიციის შინაარსზე და პოლიტიკურ კონტექსტზე. დიონისი საუბრობს ეროვნული იდენტურობის განმსაზღვრელ სამ ძირითად ფაქტორზე პოლიტიკურზე, კულტურულზე და მითოლოგიურზე, რომელთაგან შესაძლებელია სამივეს ერთდროული არსებობა ან, გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციაში, შეიძლება ერთი რომელიმე იყოს უფრო მნიშვნელოვანი¹⁶⁰. საბჭოთა კულტურის საწყის ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი გახდა კულტურული ფაქტორი, რაზეც II თავის მეორე პარაგრაფში გვექონდა საუბარი

20-იან წლებში საბოლოოდ დამთავრდა პარტიულ-სახელმწიფო აპარატის მიერ სახელმწიფოს მართვის ძირითადი ფუნქციების ხელში ჩაგდება პროცესი, ახალი მმართველი ფენის – ნომენკლატურის ჩამოყალიბება, რომლის შექმნაც რთული სოციალური და პოლიტიკური პროცესების თანადროულად მიმდინარეობდა¹⁶¹, ძველი მმართველი კლასის ჩამოშორებით, რომლის განადგურება პერიოდულად ხორციელდებოდა. ფაბრიკელი ამ გზას სოციალური იერარქიის ჩამოყალიბებას და არნახული პრივილეგიების მინიჭებას უწოდებს. მაგრამ ეს იერარქია არ გაფორმებულა ოფიციალურ კლასად, არამედ სათავეში მოექცა და პროლეტარიატის წინამძღოლის სახელს ამოეფარა¹⁶².

¹⁶⁰ Ионин Л.Г Социология культуры: Путь в новое тысячелетие, М, 2000, გვ. 169
¹⁶¹ Werth Nicolas. Histoire de l'URSS, Caen, 1998, გვ 14, 15.
¹⁶² Braudel F. Gramaire des Civilisations Paris, 1993, გვ 600

ვერ შესრულებული დანაპირები მტრებს ბრალდებოდა, ხდებოდა მტრის ხატის მუდმივი ძიება. ხელისუფლება სისტემატურად მიმართავდა შიშის დათესვასა და ტერორს აბიტაცია-პროპაგანდის ყველა საშუალებით, რომ მსოფლიოში საუკეთესო სახელმწიფო მუდამ საფრთხეშია კლასობრივ მტრების მხრიდან, ამიტომ სჭირდება მას განსაკუთრებული დაცვა, ამისათვის აუცილებელია წითელი არმია, ანგარიში უნდა გაეწიოს სამხედრო თავდასხმის შესაძლებლობას კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ პროლეტარულ სახელმწიფოზე¹⁶³.

ძველი ინტელიგენცია უპირველეს მტრად და კაპიტალისტური სამყაროს ჯაშუშებად იყო შერაცხული. მათმა საწინააღმდეგო სასამართლო პროცესებმა შეაფასა სასამართლო და არასასამართლო ანგარიშსწორებები ოპოზიციური პარტიების, პარტიული და სამხედრო კადრების მიმართ. 1936-1938 წლების რეპრესიების მიზანი იყო სოციალური დასაბუღების მოხსნა «მტრის» გამოყენებისა და დასჯის გზით, ნებისმიერი ოპოზიციური განწყობის ჩანასახშივე ჩახშობა, პერიფერიებზე ხელისუფლებისათვის უპირობო მმართველობის გარანტირება¹⁶⁴.

ახალი საბჭოთა ხელისუფლება ისწრაფვოდა აბსოლუტურად ყველა სფეროს კონტროლისაკენ, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა - ეკონომიკური, კულტურული, სოციალური ურთიერთობის, სულიერი ცხოვრების სფეროში. ასეთი შემთხვევების დროს კი «ცივილიზაცია შეიძლება ვერცდღებოდეს, მაგრამ არ შეიძლება მნიშვნელოვნად წაიწიოს წინ ისეთი ხელისუფლების პირობებში, რომელიც მოქალაქეებს ყოველდღიური საქმეებით ხელმძღვანელობის უფლებას ჩამოართმევს და მას თავზე აიდებს», აღნიშნავს ფ. პაიეკი¹⁶⁵ საზოგადოებრივი ცხოვრების გასახელმწიფოებრიობა უმთავრესი ტენდენციაა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის განვითარებისა 20-30-იან წლებში, ასეთი სახელმწიფო ხასიათდება როგორც ტოტალიტარული.

¹⁶³ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-15 ყრილობა, დირექტივები სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის, გვ. 42 სტალინის მოხსენება პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებზე და ტროცკისტთა და სხვა თვითმარქვითაა დიკეიდაციის დონისიბებზე, სკპ (ბ) პლენუმზე 1937 წლის 3 მარტს, გაზ. ლიტერატურული საქართველო, №7 (29), 12.09.1937, გვ. 2

¹⁶⁴ René R. Le XXe siècle de 1914 à nos jours, v.3, Introduction À l'histoire de notre temps, Edition du Seuil გვ. 86. Werth N. Histoire de l'URSS, Caen, 1998, გვ.21.

¹⁶⁵ პაიეკი ფ. საბუღისწერო თავდაჯერებულობა, სოციალისმის შეცდომები თბ., 2000, გვ. 48.

წარმოების საშუალებების ცენტრალიზებული მართვა არც ხელს უწყობს უხეი კოლექტიური პროდუქციის წარმოებას, არც კეშმარტებას და არც ზნეობრიობას ექვემდებარება, და თანაც მის სამართლიანობაზე ლაპარაკიც ზედმეტია; მას შეუძლია მთელ სასოგადოებრივ ცხოვრებაზე, ანუ, როგორც ფ. პაიეკი უწოდებს, «ადამიანური თანამშრომლობის გაფართოებულ წესრიგზე», მის ჩამოყალიბებულ ტრადიციულ ნორმებზე იქონიოს გავლენა¹⁶⁶.

ნეპზე გადასვლამ დადებითი რეაქცია გამოიწვია სასოგადოების ფართო ფენებში: გლეხობამ მიწის მეპატრონედ იგრძნო თავი, ეაჭრობის და მრეწველობის განვითარება ახალ სამუშაო ადგილებს ქმნიდა, ინტელიგენციის ნაწილიც ემხრობოდა მას, რადგან ფიქრობდა, რომ ჩამოყალიბდებოდა და განმტკიცდებოდა მესაკუთრე-მწარმოებელთა ახალი კლასი, რომელიც ხელისუფლებას აიძულებდა, უარი ეთქვა ექსტრემისტულ პოლიტიკაზე¹⁶⁷ მაგრამ სასოგადოებაში არსებობდნენ ისეთი ძალებიც, რომელთაც ნებით არანაირი დაინტერესება არ ჰქონდათ. ბოლშევიკები, რომლებიც ისწრაფოდნენ დაეგრძობათ ძველი სასოგადოება და ასეთი სახით გაეთავისუფლებინათ ადგილი ახალი მშენებლობისათვის, მიმართდნენ ასეთ ძალებს – უღარიბეს ფენებს, მუშათა და გლეხთა კლასების უფრო ბნელ და გაუნათლებელ მასებს. რადგან ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ რაც ნაკლებად იყვნენ ისინი დაკავშირებული წარსულთან, მით უფრო გაუადვილებოდათ ახლის აშენება სოციალისტურმა რევოლუციამ დაანგრია სასოგადოების გენეტიკური განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების ცვლილებებმა, ეკონომიკურმა ცენტრალიზაციამ ჩამოაყალიბა პიპერტროფიებული და განშტოებული სახელმწიფო აპარატი, რომელმაც ყველაფრის ჩანაცვლება მოახდინა¹⁶⁸.

საბჭოთა ცივილიზაციაზე საუბრისას ფ. ბროდელი აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების სწრაფი ტემპების გამო მოხდა სასოგადოების უზარმაზარი სოციალური მუტაცია. ინდუსტრიალიზაციის მკვეთრი ზრდით საბჭოთა სასოგადოების თითოეული წევრი თავდაყირა იქნა დაყენებული, მათ კი, თავის მხრივ, მთლიანად დაანგრევს საბჭოური ცხოვრება.

¹⁶⁶ პაიეკი ფრიდრიხ ა. ფონ საბედისწერო თავჯერებულობა, სოციალისმის შეცდომები, თბ., 2000, გვ. 6,7,19.

¹⁶⁷ René R. Le XXe siècle de 1914 à nos jours, v.3, Introduction À l'histoire de notre temps. Edition du Seuil გვ. 92, 96.

¹⁶⁸ პაიეკი ფრიდრიხ ა. ფონ საბედისწერო თავჯერებულობა, სოციალისმის შეცდომები, თბ., 2000 გვ. 25,39,76, Nicolas Werth, Histoire de l'URSS, Caen, 1998, გვ.23.

ეს, პირველ რიგში, გლეხებს დაეტყობოთ, რომლებმაც ცხოვრების სტილის ტრადიციული გარემო-პირობები დაკარგეს, შემდეგ – ჩუშაია კლასს, რომელიც ვერ გებულობდა, რა უნდოდათ მისგან. საბჭოთა კავშირი «აწარმოებდა» ინტელექტუალებს იმდენს და იმ პროფესიისას, რაც მას სჭირდებოდა¹⁶⁹.

სტალინის და პარტიის მითითებით უნდა აღესარდათ არა უბრალოდ მუშა, არამედ დისციპლინისანი მებრძოლი, რომელსაც შეუძლებოდა გარკვევა თანამედროვე ვითარებაში და მონაწილეობის მიღება აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში. ასევე უნდა ებრძოლათ ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის, რომელიც შემოქმედებითი ინიციატივითა და კოლექტიური ცხოვრების ჩვევებით იქნებოდა შეიარაღებული¹⁷⁰ ცხადია, რომ პიროვნების საბჭოთა ტიპი ეყალიბებოდა სხვადასხვა ფაქტორის შეგავლენით გადატანილმა უცნაურმა გადატრიალებამ, დანიჭარბებულმა ინდუსტრიალიზაციამ და ურბანიზაციამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ქვეყანაში გამოჩნდა მისა ხალხისა, რომლებიც მოწყდა საკუთარ ბუნებრივ სოციალურ, დაკარგა ტრადიციულ კულტურასთან და ჩვეულებრივ ყოფასთან კავშირი და იძულებულნი გახდა, შეგუებოდა ახალ წესს.

ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი საბჭოთა ადამიანის პიროვნელობის ჩამოყალიბებისა არის ოფიციალური იდეოლოგია, რომელმაც საზოგადოებაში დამატკიცა ფასეულობათა ახალ სისტემა და ეთიკურ-ზნეობრივი ნორმები¹⁷¹. მას პრეტენზია აქონდა საყოველთაობაზე, ისტორიულ სამართლიანობაზე და ჰუმანიტარების განსახიერებად მოაქონდა თავი, ამიტომაც მის მიერ წამოყენებული იდეალები რწმენად უნდა მიეღოთ, ხოლო მათი განხორციელება მომავლის საქმე ხდებოდა მ ეპშტეინის თქმით, ოფიციალური კულტურისათვის უცხო იყო სხვა კულტურებზე დაკვირვება ან მასთან თავის შედარება, რადგან იგი თავს მიიჩნევდა ზე-ისტორიულ და ზე-კულტურულ მოვლენად¹⁷². გარდა

¹⁶⁹ Braudel F. Gramaire des Civilisations. 1993 Paris. გვ. 602, 605.

¹⁷⁰ სტალინის სიტყვა წითელი არმიის აკადემიკოსებთან შეხვედრაზე 1935 წლის მაისს. ურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, № 4-5, 1935, გვ. 11. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921-1937) დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ. 293.

¹⁷¹ კრებული დადგენილებებისა და ცირკულარებისა საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე. ტფ., 1926, გვ. 45. ნიკრაძე გ. ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური ბუნება, "ერი", 1991, №7.

¹⁷² ეპშტეინი მ. კულტურა-კულტუროლოგია-ტრანსკულტურა, კრებ. "ცივილიზაციური ძიებანი", №2, თბ., 2004, გვ. 84.

ამისა, აუცილებელი იყო ძალადობის გამოყენება, სოციალისტური იდეალებით ადამიანისა და საზოგადოების რადიკალური გარდაქმნა ფასეულობათა ახალ სისტემაში ადამიანის ინდივიდუალურობა ფასდებოდა დაბალი ნიშნით, პირველ რიგში, თითოეულ მათგანს თავი უნდა ეგრძნო ახალი საზოგადოების მშენებლად, მზად ყოფილიყო თავის გაწირვისთვისაც კი საერთო საქმის სასარგებლოდ¹⁷³. ყველა ღონისძიება და ქმედება, რომელსაც ხელისუფლება ატარებდა, მიმართული იყო ახალი ფსიქოლოგიის ადამიანის შექმნისაკენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა სკოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, აქტიური იარაღი და საშუალება იყო ამ მიზნის მისაღწევად. საბჭოთა სკოლაში უნდა აღზრდილიყო სოციალური ინსტინქტის, კოლექტიური შეგნების და განცდის უნარიანი ადამიანი, რომელიც ცხოვრებისეულ მოვლენებს კლასობრივად აღიქვამდა და აითვისებდა. მოზარდებში საზოგადოებრივი ნივთების შემუშავებისათვის საჭირო იყო მათში კოლექტივისტური დისციპლინის აღზრდა და შესაბამისი თვითგანსაზღვრულობა, უნდა ვსწავლავთ შრომის სწორი განაწილების მნიშვნელობა კოლექტივის მიერ საზოგადოებრივი სამუშაოს, მშრომელთა ქონებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის გამო¹⁷⁴

მაგრამ ძნელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ ოფიციალური იდეოლოგიის მნიშვნელობა იმდენად ძლიერია, იმდენად მკაცრდება ესა თუ ის მხარე იდეოლოგიისა, რამდენადაც ის შესაბამეობა მენტალურ თვისებებს, კულტურულ არქეტაიპებს, და შესაბამისადაც გადაიშუადდება¹⁷⁵. მასობრივმა რეპრესიებმა, მბრძანებლურმა სისტემამ ნამოყალიბა საზოგადოებრივი აზროვნების და ქცევის ისეთი თვისებები, როგორცაა. დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უუნარობა, ბრძანებების ბრმად მორწმუნება, პასუხისმგებლობის შიში, სახელმწიფო მექანიზმში «ადამიანი-ჭანჭიკის» ფსიქოლოგიის ნამოყალიბება, შემოქმედებითი ინიციატივის დაკემა, შიში და ეჭვი. ნამოყალიბდა ფუნქციონალური კარგული ხალხი, რომელიც მხოლოდ იარაღი იყო არსებული რეჟიმის ხელში, რაც კულტურული რევოლუციის ძირითადი მიზანი იყო. ბოლშევისში მოხპო საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების

¹⁷³ ბერდიაევი ნ. ადამიანის ბედი სამყაროში, თბ., 2002, გვ 13-14

¹⁷⁴ რეხვია შვილი ს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდა და საზოგადოებრივ-მეცნიერება, თურნ.: კულტურული აღმშენებლობა, №10-11, 1930, გვ. 1021. Культурное строительство в СССР (1917-1927) Документы и материалы, М., 1989 გვ 27.

¹⁷⁵ Rene R. Le XXe siecle de 1914 a nos jours. v.3. Introduction a l'histoire de notre temps. Edition du Seul, გვ 98.

საუკუნეების განმავლობაში გამოცდილი სისტემა. ადამიანი ტოტალურად ჩათრეული აღმოჩნდა საზოგადოებრივ სტრუქტურებში.

საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში მომხდარი ცვლილებების გავლენით, ჩამოყალიბება დაწყო პიროვნების ახალმა ტიპმა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს პროცესი განიხილებოდა, როგორც ადამიანის ბუნების გაკეთილშობილება, მასში ახალი თვისებების აღზრდა - კოლექტივიზმი, ამხანაგურობა, გაბედულება, სოციალისტური იდეალების ერთგულება, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი პირადის დაქვემდებარების უნარი. პოსტსაბჭოურ ხანაში კი შეფასებები შეიცვალა, საბჭოთა ადამიანი დაკარგა მიმზიდველი თვისებები და შეიძინა უარყოფითი¹⁷⁶.

საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობის არასტაბილურობამ, სოციალურ სტრუქტურებში მისმა შეუსაბამებლობამ ჩათრევამ ადამიანი იძულებული გახადა, უფრო მეტად გაფორმებულიყო თავის სოციალურ სტატუსს, თავის მდგომარეობას. მოთხოვნილება სხვა ადამიანებთან გაერთიანებისა, ურთიერთობისა - ნებისმიერი კულტურის ბუნებრივი მოვლენაა მაგრამ სხვა საქმეა, როდესაც მოველი საზოგადოებისათვის ეს მოთხოვნილება ხდება ერთაღერთი და დომინანტი. მაშინ, სოციალური უტოპიის ეს ძლიერი ფსიქოლოგიური ძირი სოციალური ზურგი ხდება იდეალური საზოგადოების პროექტირებისათვის ნებისმიერ ასეთ პროექტს მიეყვართ ტოტალიტარიზმისაკენ, რომელიც, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, საყოველთაო ბატონობაა ინდივიდუალიზმზე, საზოგადოისი - კერძოზე, ყველასი - ერთზე. ტოტალიტარიზმის ნამდვილი შემზღველავი არის კერძო საკუთრება, არამარტო როგორც ეკონომიკური კატეგორია, არამედ როგორც საყოველთაო ზოგადცივილიზებული ძირი პიროვნების თავისუფლების განვითარებისათვის¹⁷⁷

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოური კლასობრივი იდენტურობა ძნელად გამოსადეგი იყო კავკასიელი ხალხებისათვის, რომელთა ნაწილს წინაფეოდალური სოციალური სტრუქტურა ჰქონდა, მათ არ გააჩნდათ წარმოების ნამდვილი კაპიტალისტური წესი. ამიტომ კავკასიელებისათვის

¹⁷⁶ ნიჟარაძე გ. კომუნისტური რეჟიმი და ქართული შეგნება, "კრიტიკა", 1992, №1. Ионин Л.Г Социология культуры: Путь в новое тысячелетие, М., 2000, გვ. 132,135. Красная книга культуры, М., 1989, გვ. 387, 389.

¹⁷⁷ პაიექი ფ. საბჭოისწერო თავგებებულება, სოციალისტური შეცდომები, თბ., 2000, გვ. 18,76. Werth N. Histoire de l'URSS, Caen, 1998, გვ.25.

საბჭოთა იდეოლოგია და იდენტურობა უფრო ძნელად გასაგები იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის ევროპელი მოქალაქეებისათვის.

კავკასიელმა ხალხებმა, ძალზე განსხვავებული სოციალური ორგანიზაციისა და ძლიერი მუსლიმური იდენტურობის წყალობით, თითქმის სრულად შეინარჩუნეს საკუთარი იდენტურობა, მაგრამ დიდი რაოდენობით რუსების ცხოვრებამ ამ რეგიონში გააღწია იქონია მათზე ადგილობრივი მოსახლეობისათვის რუსული ენის დაუფლების აუცილებლობას განათლებისა და კარიერის მიზნები განაპირობებდა

აშკარად იკვეთებოდა პროცესები, რომლებიც დამახასიათებელი იყო საერთოდ ინდუსტრიალიზაციის ეპოქებისათვის, აგრეთვე განპირობებული იყო საბჭოთა საზოგადოების თავისებურებებით პირველს შეიძლება მივაკუთვნოთ, უპირველეს ყოვლისა, კულტურისა და განათლების დემოკრატიზაცია, აღმოცენება და გავრცელება ხელოვნების ახალი დარგებისა, რომლებიც დაფუძნებული იყო ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე (რადიო, კინო), რომელთა წყალობითაც კულტურის მიღწევები ხელმისაწვდომი გახდა ფართო მასებისათვის, რამაც მასობრივი კულტურის შექმნას შეუწყო ხელი ადამიანი ტოტალურად ნათრეული აღმოჩნდა საზოგადოებრივ სტრუქტურებში, პიროვნება და მასა განუყოფელ მთლიანობად იქცა. სკკპ მიერ განხორციელებულ ტერორს ერთი მიზანი და ამოცანა ჰქონდა – დაენერგა საყოველთაო შიში, საბოლოოდ დაეთრგუნა ყოველგვარი პროტესტის სურვილი, წაეშალა განსხვავება კავშირში მოსახლე სხვადასხე ეროვნებებს შორის, შეექმნა ტოტალიტარული მორჩილების ატმოსფერო.

§ 4. ქართული საბჭოთა კულტურის ძირითადი მახასიათებლების ჩამოყალიბება

XX საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კულტურას. საქართველო, როგორც დანარჩენი საბჭოთა კავშირი, ტოტალიტარული მექანიზმებით იმართებოდა. ქართული კულტურა განიცდიდა იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ზეწოლას ამ პერიოდში ქართული კულტურის განვითარებაში შეიმჩნევა ტენდენციები, რომლებიც ორ ეტაპად მისი დაყოფის საშუალებას იძლევა.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ლენინის იდეებმა პრაქტიკული ხორცშესხმა აპოეა. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი დეკრეტი იყო

დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, რომელმაც, ფაქტობრივად, აკრძალა ყველა ოპოზიციური პერიოდული გამოცემა, შემოღებულ იქნა პოლიტიკური ცენზურა¹⁷⁸. მოგვიანებით კი პრესა მთლიანად პარტიის სამსახურში ჩააქვნიეს 1936 წელს მიღებული კონსტიტუციით აღფრთოვანებული «პრესა» მოწინავეს პირთ აცხადებდა, რომ ბოლშევიკურ პრესას საპატიო მისია დაეკისრა – იყოს კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი, პარტიის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომ საბჭოთა კურნალისტის ვაღა აღზარდოს საბჭოთა სოციალისტური სასოგადოების «მკაცრი მაშენებელი»¹⁷⁹. ლენინის მიერ სამოქალაქო ომი გადატანილ იქნა კულტურისა და იდეოლოგიის სფეროში.

რევოლუციურ ქაოსს მაშინვე არ შეეძლო შემოქმედებითი ენერჯის ნახშობა. ზუსტად მისი იმპულსების შედეგად შეიძლება ჩაითვალოს 20-იან წლებში მრავალი ახალი მხატვრული მიმდინარეობის, სამეცნიერო სკოლის გაჩენა თუ აღორძინება. 20-იანი წლების კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა დისკუსიებს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ახალი კულტურა. მემარცხენე მიმდინარეობის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ უარი უნდა ეთქვათ ბურჟუაზიულ კულტურაზე, გაეწვიებინათ კავშირი წარსულთან, შეექმნათ რაღაც აბსოლუტურად ახალი, არაისტორიული და არა კულტურულ ტრადიციებთან დაკავშირებული. 1917 წელს შეიქმნა ახალი ორგანიზაცია «პროლეტარული კულტურა» (პროლეტკულტი)¹⁸⁰, რომლის წევრებიც ძველი კულტურის და ტრადიციების მოწინააღმდეგეები იყვნენ და გამოდიოდნენ ახლის შექმნის იდეით. მოითხოვდნენ, რომ იგი აბსოლუტურად პროლეტარული ყოფილიყო, უნდა შექმნილიყო მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარი მხატვრებისა და მწერლებისაგან და განკუთვნილი ყოფილიყო პროლეტარიატისათვის.

20-იან წლებში დაიწყო საბჭოთა კულტურის განსაკუთრებული პერიოდი, როდესაც დაიწვეს ბრძოლა “პროლეტკულტთან”. ეს იყო მძლავრი და განშტოებული ორგანიზაცია, რომელიც მოიცავდა მასების თვითმოქმედებას და ისინი კულტურულ პროცესში ჰყავდა ჩართული. ლენინისათვის მიუღებელი

¹⁷⁸ ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ თბ., 1957, გვ. 175

¹⁷⁹ გაზ. Правда, № 342 (6948), 1936, გვ. 1

¹⁸⁰ Rene R. Le XXe siècle de 1914 a nos jours, v 3, Introduction a l'histoire de notre temps. Edition du Seul, გვ. 607.

აღმოჩნდა მათი მუშაობა, ბოგდანიუვის "პროლეტარული კულტურის" თეორიის პრაქტიკაში განხორციელება, რადგანაც მასში ხედავდა კომუნისმის პოტენციურ მტრებს: ინტელიგენცია, რომელიც შენიღბული იყო და "ბურჟუაზიულ ფილოსოფიურ შეხედულებებს" ნერგავდა, რევიზიას უკეთებდა მარქსიზმს და ეწეოდა ფუტურისმის "გამრყენელი იდეების" პროპაგანდას. იგი მის პოპულარობაში ხედავდა საშიშროებას იმისა, რომ პარტია და სახელმწიფო დაკარგავდა კულტურული პროცესების კონტროლის უფლებას და საშუალებას. მისი დაჟინებული მოთხოვნით, 1920 წელს რკპ ცკ მიერ მიღებულ იქნა წერილი, სადაც განიხილული იყო საკითხი "პროლეტკულტის" შესახებ წერილში აღნიშნული იყო, რომ იქ შეაღწია "სოციალურად უცხო" "ინტელიგენტურმა ელემენტებმა"¹⁸¹. ეს წერილი მოასწავებდა არაკომუნისტური კულტურული გარემოს გაწმენდის გამოცხადებას და იდეოლოგიური და კულტურული პოლიტიკის გამკაცრებას.

20-იან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების საწყის ეტაპზე, ანუ, როგორც თვითონ უწოდებდნენ, "გარდამავალ პერიოდში" უკვე აშკარად ჩანს ის ძირითადი მიმართულებები და შორს გამოზნული ტემპები, რომელთა საშუალებით ცდილობდნენ, საბოლოოდ მოესპოთ ყოველგვარი ნიშანი ეროვნულობისა

რუსული შოუინისმის დანერგვის თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა აქონდა ლიტერატურის (საერთოდ კულტურის) პოლიტიკის სამსახურში ჩაყენებას. ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში მხატვრულ ლიტერატურას უდიდესი როლი დაეკისრა, სტალინმა საბჭოთა მწერლებს "ადამიანის სულის ინჟინრები" უწოდა. მხატვრული ლიტერატურის სწავლება ისე უნდა ეოფიდიყო დაყენებული, რომ ხელი შეეწყო ახალგაზრდობის აღზრდისათვის, მათში ემოციებისა და ნებისყოფის გაძლიერებისათვის, რათა მათ ეზრუნათ სოციალისტური სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისათვის¹⁸². ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი კი ამის საუკეთესო იარაღია. სკკპ არაფრად აგდებდა იმას, რომ პარტიულობის პრინციპმა დანიშნულება და შინაარსი წაართვა კულტურას, როგორც დამოუკიდებელ ფენომენს, -

¹⁸¹ ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ. თბ., 1957, გვ 175

¹⁸² გოგუაძე გ. მხატვრული ლიტერატურა აღზრდის უძლიერესი იარაღია. კურს-ლიტერატურული საქართველო, № 1 (3) 15.01.1937, გვ 4.

სამართლიანად შენიშნავს ა. ბაქრაძე¹⁸³. დადებით მოვლენად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ მწვერალთა კავშირში შეიქმნა პარტიული ორგანიზაცია, რომლის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა, სათავეში წადგომოდა მწვერალთა ორგანიზაციებში პოლიტიკურ-აღმსრდელით მუშაობას, ეხელმძღვანელა მწვერალთა კავშირისათვის, დაერასმა ისინი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გარშემო. ოფიციალური მიერ ასევე განსაზღვრული იყო საბჭოთა მწვერლის თვისებებიც: უწინარეს ყოვლისა, იგი უნდა ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანი, მას უნდა ყვარებოდა საბჭოთა ხალხი და თავისი საბჭოთა სამშობლო, უნდა ჰქონოდა მკიდრო კავშირ-ერთიერთობა მშრომელთა ფართო ფენებთან¹⁸⁴.

საბჭოთა და მათ შორის ქართული კულტურის უმთავრეს თავისებურებად იქცა მასზე ხელისუფლების და მმართველი პარტიის მხრიდან მკაცრი კონტროლი. უკვე 20-იან წლებში მოახდინეს კულტურული დაწესებულებების ნაციონალიზაცია, თავიდანვე ჩამოყალიბდა მათი მართვის ცენტრალიზებული სისტემა. საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლება პირველი დღეებიდანვე მიისწრაფოდა ცხოვრების ყველა სფეროში მონოპოლიური მდგომარეობის მოპოებისათვის. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 15 აპრილს № 21 დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ. ამ დეკრეტით აღიარებულია სინდისის თავისუფლება, გამოცხადდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა. უფრო მეტიც, 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს აეკრძალათ რელიგიური განათლების მიღება საეკლესიო და სარწმუნოებრივი საზოგადოებანი დაექვემდებარა იმ საერთო დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ საზოგადოებისა და კავშირების მოქმედების არეალს. მთელი რესპუბლიკის საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა ქონება გამოცხადდა სახალხო ქონებად. შეიზღუდა მორწმუნეთა უფლებები რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

¹⁸³ ბაქრაძე ა., მწვერლობის მოთქინიერება, თბ., 1996, გვ. 27

¹⁸⁴ გაზ. ლიტერატურული საქართველო, №10 (10), 1937, გვ. 2. ბერია ლ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცკ ანგარიში. ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, №5-6, 1937, გვ. 59.

ამ დეკრეტით ხელისუფლებამ რამდენიმე ფრონტზე – იდეოლოგიურზე, აღმზრდელი-საგანმანათლებლოსა და კულტურულზე – გზიდან ჩამოიშორა ძლიერი კონკურენტი ეკლესიის სახით და მას არსებობის ყველა შესაძლო საშუალების მოპოვების გზა გადაუკეტა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ პირველსავე დღეებში გამოაფინა თავისი მიზნები. მისი ტონი არცთუ ისე მკაცრი იყო, თუმცა იგრძნობოდა გადაწყვეტილების უდამიწვევით შესრულების ნება და სურვილი. ხელისუფლებას კონკურენტი არ სჭირდებოდა. სახელმწიფო ბოლშევიკური ხელისუფლების სახით მონოპოლისტი ხდებოდა მოღვაწეობის ყველა სფეროში¹⁸⁵

საქართველოს სსრ რევკომმა 1921 წლის 5 ივლისის № 49 და 1921 წლის 30 მარტის № 8 დეკრეტებით მოახდინა სტამბების, ასოთ-ჩამომსხმელი სახელოსნოებისა და ლითო-ტიპოგრაფიების ნაციონალიზაცია, გამოცხადდა ისინი სახელმწიფო საკუთრებად ზემოთ ნახსენები დეკრეტებით. ხელისუფლებამ აღნუსხა და მფლობელობა-გამგებლობაში მიიღო მნიშვნელოვანი ობიექტები, რომელთა მეშვეობით მის ხელში მთლიანად მოექცა საგამომცემლო საქმიანობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახკომსაბჭომ 1922 წლის 6 აპრილის №6 დადგენილებით და მოახდინა სახელმწიფო თეატრების შენობათა ნაციონალიზაცია, ისინი საგამგებლოდ და სარგებლობაში გადაეცა განათლების სახალხო კომისარიატს. საგამომცემლო საქმესთან ერთად, ხელისუფლებამ თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია აგიტაცია-პროპაგანდისა და იდეოლოგიური აღზრდის კიდევ ერთი საშუალება.

ოციანი წლები, შეძლება ითქვას, იყო ყველაზე მრავლის განმაპირობებელი შემდგომი პერიოდის ქართული საბჭოთა კულტურის ისტორიაში. ქრონოლოგიურად, თითქმის მთელი ათწლეული არსებითად განსხვავდებოდა როგორც წინა, ისე მომდევნო პერიოდებისგანაც. ოციანი წლების სპეციფიკა, პირველ რიგში, მდგომარეობდა იმაში, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო შემოქმედებითი პლურალიზმი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფორმათა მრავალფეროვნება. კულტურა ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად ანგაჟირებული პოლიტიკით.

¹⁸⁵ საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული (1921-1940 წწ.). ტ. I. თბ., 1959, გვ. 11.

პირველ რიგში, არ უნდა დავივიწყოთ, რომ კულტურის ძირების შინაარსი და სიღრმე ოცნან წლებში განპირობებული იყო წინა პერიოდით ბევრი ძველი მოღვაწე კიდევ აგრძელებდა მოღვაწეობას. საგანგაშო იყო ადმინისტრაციულ-ხელმძღვანელობითი მეთოდის დამანგრეველი შემოქმედება კულტურასა და ეკონომიკაზე, პარტია-სახელმწიფოს გაძლიერებული დიქტატურა შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ, პროლეტკულტის, რაპის და სხვა გაერთიანებების დამანგრეველი მოქმედებები, სკოლისა და მოქალაქეების გამოყოფა ეკლესიისაგან, როგორც მდიდარი ეროვნული ტრადიციების გამომხატველისაგან, ხელოვნების ნიმუშების გაყოფა.¹⁸⁶

მინეული იყო, რომ ხელოვნება წარმოადგენს ახალი ადამიანის აღზრდისა და სოციალური რეალობის გარდაქმნის საშუალებას მათ ესთეტიკურ სისტემაში უმთავრესია ხელოვნების მინევა არამარტო რეალობის აღქმის, არამედ მისი შეცვლისა და გადასხეაფერების საშუალებადაც. პროლეტკულტის თეალსაინხო მოღვაწის გასტევის მიერ შემოღებულ იქნა ტერმინი «სოციალური ინჟინერია». ხელოვნებასთან მიმართებაში იგი აღნიშნავდა საკუთარ საშუალებებით არამარტო სოციალური ცხოვრების, არამედ ადამიანის ფსიქიკის რადიკალურ გარდაქმნას

ავანგარდის მიერ წამოყენებული ფუნდამენტური კონცეფცია ახალი ადამიანის შექმნისა გახდა მთავარი ამოცანა საბჭოთა კულტურისათვის. 1932 წლის 23 აპრილს რკპ(ბ) ცკ დადგენილებით «ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების მოწყობის შესახებ»¹⁸⁷ მმართველმა პარტიამ არნეუანი გააკეთა ტრადიციონალიზმისა და რეალიზმის შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ და ამ სფეროში დირექტიული მეთოდით აკრძალა ყოველგვარი ექსპერიმენტები. სოციალისტური რეალიზმი ერთადერთ და აუცილებელ მხატვრულ მეთოდად გამოაცხადა მთელი საბჭოთა ხელოვნებისათვის.

სოციალისტური რეალიზმი – ეს ტერმინი საბჭოთა პრესაში პირველად იხმარეს 1932 წელს, მისი წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია სხვადასხვა ქვეყანაში სოციალისტური იდეების გაფრცვლებასა და მუშათა მიძრაობის განვითარებასთან. სოციალისტურ რეალიზმში მხატვრულ

¹⁸⁶ Rene R. Le XXe siecle de 1914 a nos jours, v 3. Introduction a l'histoire de notre temps, Edition du Seuil, გვ. 607. სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 2, თბ., 1955, გვ.229.

¹⁸⁷ Партийное строительство, М.1932, გვ. 62

განზოგადოებას არსებითად იგივე შინაარსი აქვს, რაც სხვა რევალისტური მიმდინარეობებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ აქ განზოგადოება სხვა სიხუსტით ხასიათდება, ეინაიდან იგი ემყარება ახახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიას. სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველია რევოლუციურ-ქმედითი სოციალისტური პუმიანიზმის კონცეფცია

სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკური არსის განმსაზღვრელია ხელოვნებისა და ლიტერატურის ლენინური პარტიულობის პრინციპი ლიტერატურისა და ხელოვნების უპირთადესი თავისებურებების შესახებ ლენინმა მოსაზრებები გამოთქვა ცნობილ სტატიაში “პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა,” სადაც აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატის ინტერესებთან დაკავშირებული მწერლობა მიზნად უნდა ისახავდეს მასებისათვის სოციალისტური იდეალის მთელი სიდიდით წვენებას.

ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრების პროცესი დაკავშირებულია ლიტერატურის შესახებ ლენინის ცნობილ ნაშრომებთან, “პროლეტარულ მწერლობასთან”, ეურნალ “მნთობის” შექმნასთან), საქართველოს მწერალთა I და II ყრილობებთან (1926, 1928 კბ) (კპ 1925 წლის რეზოლუციის – “პარტიული პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურის დარგში” მიღებასთან, საქეშირო კპ (ბ) (კპ 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებასთან “ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ,” სსრკ მწერალთა I ყრილობასთან (1934 წ.) და სხვა მოვლენებთან.

ზემოთდასახელებული დადგენილების მიღებას ბოლშევიკები იმით ხსნიდნენ, რომ ახალი კულტურა განკუთვნილი იყო არასაკმარისად განათლებული და კულტურული ფენებისათვის, ამიტომ კულტურა მათთვის მისაღებ და გასაგებ ენაზე უნდა შექმნილიყო. პარტია ძალ-ღონეს არ ზოგავდა პროლეტარული ორგანიზაციების შესაქმნელად და გასაძლიერებლად, პროლეტარული მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა კადრების გასაზრდელად. ისინი მოიხიდეს ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან, კოლმეურნეობებიდან. ხელოვნების ყველა წარმომადგენელი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე იდგა, უნდა გაერთიანებულიყო ერთიან პროფესიულ კავშირებში პარტიულობის პრინციპით¹⁸⁸.

¹⁸⁸ Партийное строительство, № 9, М., 1932, კმ 62.

“პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაცია და რიგების გამჭურვება ჩვენი გენერალური ღონისძიება, დამკვირვებელ მუშათა ბირთვის ზრდა – ამოცანათა ამოცანაა, ამ მიზნითაა წამოწვებული დამკვირვებელი მუშების გაწვევა პროლეტარულ ლიტერატურაში”¹⁸⁹, – ასეთი იყო მისიანი

1934 წელს შექმნილი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წესდებაში ჩამოყალიბებული ახალი მეთოდების ძირითადი პრინციპები მითითებდნენ, რომ იგი «შემოქმედისაგან მოთხოვდა უტყუარი, ისტორიულად კონკრეტული სინამდვილის რეველუციურ განვითარებაში გამოსახვას ამიტომ მხატვრული ნაწარმოების სინამდვილე და ისტორიული კონკრეტულობა უნდა ეხმარებოდეს, შეესაბამებოდეს სოციალისმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეურ აღზრდასა და გადაკეთებას».

საბჭოთა ხელნაწების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა გახდა დადებითი გმირის შექმნა; ეს უნდა ყოფილიყო ცხოვრების აქტიურად გარდამქმნელი, პარტიისა და სახელმწიფოს უპირობო ერთგული, სამაგალითო საბჭოთა ხალხისა და, განსაკუთრებით, საბჭოთა ახალგაზრდობისათვის ამასთან დაკავშირებით, 1925 წლის 18 ივლისს, ცენტრალურმა საკავშირო კომიტეტმა მიიღო საგანგებო რეზოლუცია¹⁹⁰

30-იან წლებში ჯერ კიდევ მოქმედებდნენ სხვადასხვა ლიტერატურული და მხატვრული კავშირები და ჯგუფები, თუმცა წამყვანი ტენდენცია იყო წარსულისაგან ტოტალური დაშორება, პიროვნების ჩახშობა და მასის და კოლექტივის განდიდება.

სახელმწიფო კონტროლი უფრო გამკაცრდა 30-იან წლებში, როდესაც შეიქმნა მთელი რიგი შემოქმედებითი ორგანიზაციებისა, სადაც შეუძლებელი იყო ოფიციალური იდეოლოგიისაგან თავისუფალი მუშაობა¹⁹¹, აგრეთვე მთელი რიგი სპეციალური ორგანიზაციებისა, რომლებიც ახორციელებდნენ კულტურის ცენტრალისებულ ხელმძღვანელობას: რადიომაუწყებლობის სრულიად საკავშირო კომიტეტი, ხელნაწების საქმეთა კომიტეტი, კინემატოგრაფიის

¹⁸⁹ ჟურნ.: პროლეტარული მწერლობა, № 1-2, 1931, გვ. 123.

¹⁹⁰ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 2, თბ., 1955, გვ.229. René R. Le XXe siècle de 1914 à nos jours, v.3, Introduction à l'histoire de notre temps, Edition du Seuil, 2001, გვ. 95

¹⁹¹ Braudel F. Gramaire des Civilisations, 1993, გვ. 599.

მთავარი სამმართველო, უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტი, მწერალთა კავშირი და ა.შ.¹⁹²

საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ, თურმე, ქრთველმა მწერლებმა, როგორც იქნა, შესძლეს და დასძლიეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ტენდენციები, მიმართავენ აქტუალურ საბჭოთა თემატიკას და სრულფასოვან მხატვრულ ნაწარმოებებს იძლევიან, «სოციალისტური რეალიზმის მეთოდებით ასახავენ დიდი ხტაღინის ცხოვრებას და მოღვაწეობას, სოციალისტური ინდუსტრიისა და საკულმეურნეო წყობილების გამარჯვებას, მუშათა და კულმეურნეთა ბედნიერ და საამურ ცხოვრებას»¹⁹³.

30-იან წლებში ქართული კულტურის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო. წინა პერიოდის შედარებითი პლურალიზმი დამთავრდა. კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი გააერთიანეს საერთო, უნიფიცირებულ კავშირებში: მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა და ა.შ. დამტკიცდა ერთადერთი მხატვრული – სოციალისტური რეალიზმის – მეთოდი. ნოვატორულ იდეებს ბოლო მოეღო რაღაც ფორმით, აღდგენილ იქნა ეროვნული კულტურული ტრადიციების ელემენტები იქმნებოდა ფოლკლორული ანსამბლები, გამოიკვიმოდა ქართველ კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებები, იხდიდნენ იუბილეებს და ა.შ.¹⁹⁴

უკვე 30-იან წლებში, მხატვრული კულტურა ხდება უფრო და უფრო კანონიკური, მასში დაიკვიდრდა მკაცრი ჟანრობრივი და თემატური იერარქია. იგი დაუფარავად იყო ორიენტირებული მმართველი ელიტის «სოციალურ შეკვეთაზე». მაგალითად, დიდ ყურადღებას უთმობდნენ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მოვლენების ნეწებას. მწერლები, კინორეჟისორები, მხატვრები გააზრებულად ქმნიდნენ ისეთ ნაწარმოებებს, რომელთაც ნაკლები საერთო აქონდათ სინამდვილესთან. ისტორია არსებითი ტრანსფორმაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა (1934 წელს მიღებული კანონი სამოქალაქო ისტორიის სწავლების შემოღების შესახებ). იდეოლოგიური შეხედულებებიდან

¹⁹² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ VII, თბ., 1976, გვ 881, 896, 846, 902, 924

¹⁹³ ბერია ლ., ხალხთა ბედნიერი ოჯახი, გახ. ლიტერატურული საქართველო, №7, 1937, გვ.3.

¹⁹⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები VII, თბ., 1976, გვ. 880 Bogdan H.Histoire des peuples de l'ex-URSS (Du IXe siecle a nos jours).Perrin, 2001, გვ. 223, Rene R. Le XXe siecle de 1914 a nos jours, v.3, Introduction a l'histoire de notre temps, Edition du Seul,2001, გვ 96

გამომდინარე, იცვლებოდა არამარტო წარსული, არამედ მომავალი ისტორიაც სოციალიზმის აქტიური და შეგნებელი მშენებლების მომზადებისათვის უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭეს «ახალთაობის მიერ, რომელსაც არ განუცდია კაპიტალიზმის ნაგვრა, ისტორიის შესწავლას ისტორია გამოუმუშავებს მას აქტიურ სიძულვილს ექსპლოატაციისადმი, რომელიც ჯერ კიდევ გაბატონებულია დედაშივის ხეთ მეექვსესწუთ ისტორიის და ისტორიული გმირებისკენ შემობრუნება დასჯირდათ სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების გასაღვივებლად. მიმდინარეობდა რუსი გმირების, მათ შორის მეფეებისა და იმპერატორების - ალექსანდრე ნეველის, პეტრე პირველის - განსაკუთრებული აგიტაცია-პროპაგანდა; ისინი დადებითი და პროგრესული იერით შემოსეს. სწორება საბჭოთა ხალხს მათზე უნდა მოეხდინა, როგორც რუსი ხალხის წინამძღოლზე თავისუფლებისათვის ბრძოლაში»¹⁹⁵.

ვიზუალური ეკრანული სახეები, როგორც დიტერატიული გმირი, ადვილად იმკვიდრებდა ადგილს ხალხის ცნობიერებაში, მათ დიდი ნდობით იღებდნენ. ხელოვნების საშუალებები აქტიურად გამოიყენებოდა მმართველი ელიტის მიერ, ხალხის ბედნიერი ცხოვრების მითის წამოსაყალიბებლად და მშენებარე სოციალიზმის იდეით საზოგადოებრივი აზროვნების მანიპულირებისათვის. VIII ყრილობის დადგენილებაში წერია, რომ «თეატრები, კონცერტები, კინემატოგრაფები, გამოყენები მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული კომუნისტურ პროპაგანდასთან»¹⁹⁶

30-იანი წლების მასობრივი აუდიტორიის სპეციფიკამ (უპირველეს ყოვლისა, მათი განათლებისა და კულტურის დაბალია დონემ) განაპირობა ინტერესი კულტურული ცხოვრების შედარებით დაბალი, გასაგები და მისაწვდომი ფორმებისადმი (განსაკუთრებით კინემატოგრაფიაში), რომლებიც წარმოსახებოდა ნამდვილად, სასურველად. ოფიციალური პოლიტიკა კინოწარმოების თავის სასარგებლოდ იყენებდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას, როგორც ხალხის ფართო მასების «გათვითცნობიერების მძლე იარაღს» და საუკეთესო სააგიტაციო საშუალებას, როგორც მუშათა კლასის და პარტიის

¹⁹⁵ Bogdan H. Histoire des peuples de l'ex-URSS (Du 1Xe siecle a nos jours), Perrin, 2001, გვ. 225. Красная книга культуры, М., 1989, გვ. 384-385. სკოლის მუშაობის ხარისხისათვის, კურს-კომუნისტური აღზრდისათვის, №6-8, 1934, გვ. 7

¹⁹⁶ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, თბ., 1954, გვ. 576.

დამხმარეს მასების სოციალისტურად აღზრდის საქმეში, მათი დარაზმისათვის სოციალიზმისათვის საბრძოლველად¹⁹⁷

30-იან წლებში კულტურული (მხატვრული) ნაწარმოების შეფასების მთავარი კრიტერიუმი იყო მათი შესაბამისობა ოფიციალურ იდეოლოგიასთან კულტურის მოღვაწეთა წინააღმდეგ, რომელთა ნაწარმოებები არ შეესაბამებოდა «სოციალისტური რეალიზმის» მკაცრ მოთხოვნებს, მიმდინარეობდა შეურთებელი ბრძოლა. ოცდაათიანი წლების მიწურულს ნატარდა მასობრივი კამპანიები ხელოვნებაში «ფორმალიზმის» და «ნატურალიზმის» წინააღმდეგ, მათი დაძლევის მიზნით¹⁹⁸.

კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით წამოყენებულ იქნა მისი «დაუფლების» ღოზუნგი. დაუფლებაში მოიაზრებოდა გადასინჯვა, გადაფასება სულიერი მემკვიდრეობისა პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების კუთხიდან. მთელი კულტურა დაეცეს პროგრესულად და რეაქციულად, რომელიც ან უნდა უარყოფოთ, ან მიეღოთ. შედეგად, მთელი საბჭოთა თაობებისათვის უცნობი იყო XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურა და ფილოსოფია.

საბჭოთა ეპოქის ისტორია და კულტურა აუცილებელია განვიხილოთ საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ წინააღმდეგობათა, მასის სოციალური ფსიქოლოგიის ფონზე და მანამდე არსებულ კულტურულ ტრადიციებთან მიმართებაში.

ქართული საბჭოთა კულტურის წამყვანი ტენდენცია იყო წარსულისაგან ტოტალური დაშორება, პიროვნების ჩახშობა, მასის და კოლექტივის განდიდება. საბჭოთა კულტურამ დაკარგა ჭეშმარიტი თვისებები, რომელთა არსებობას სჭირდება დისტანცირების ზონა და ალტერნატიული აზრი¹⁹⁹.

ლენინის “ორი კულტურის” კონცეფციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მომავალ “სელექციურ” კულტურულ პოლიტიკაში, რომლის წყალობითაც კულტურის აქტუალური ნორმატიული მოთხოვნებებით

¹⁹⁷ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების კრილობები (1921-37) დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ. 143. თვალსაჩინოება საზოგადოებრივი ცხოვრებაში, ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, № 4-5, 1935, გვ. 53

¹⁹⁸ Braudel F Gramaire des Civilisations, 1993, გვ. 607. Красная книга культуры, М., 1989, გვ. 38, 39.

¹⁹⁹ ეპისტემი მ კულტურა-კულტუროლოგიკატრანსკულტურა კრებ. “ცესულიზაციური ძიებანი”, № 2, თბ., 2004, გვ. 84.

შეეძლოთ აღებუჭდათ ინტერესები, გემოვნება და იდეური შეხედულებანი, არა ერის უმრავლესობისა ანდა კულტურის მოღვაწეთა, არამედ ბოლშევიკთა უმცირესობისა, რომელმაც მოახდინა შეფასების კრიტერიუმების, კულტურულ მოვლენათა და კულტურის მოღვაწეთა შერჩევის მონოპოლიზება, რომელნიც წართული იქნენ “სოციალისტურ კულტურაში”.

XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული საბჭოთა კულტურის სპეციფიკურობად იქცა მისი დრმა იდეოლოგიზება, კულტურის უნიფიცირება (დირექტული მეთოდით ერთიანი მხატვრული მეთოდის დამტკიცება), შემოქმედებითი თავისუფლების შესაღწევა, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განთავსება, დაკარგვა, ეროვნული კულტურული ტრადიციების მსხვერვა, მასობრივი კულტურის ოფიციალურის რანჟში აყვანა და მისადმი უტოლიტარული დამოკიდებულება, ქართული საზოგადოების იზოლაცია, მისი მსოფლიო კულტურის მიღწევებისაგან დაშორება.

საბჭოთა საზოგადოების “კრიტიკის და თვითკრიტიკის” მოსპობა-აკრძალვამ, საბჭოთა კულტურის დეპერსონალიზაციამ და პოლიტიკურმა იდეოლოგიზებამ გამოიწვია საზოგადო დონის დაცემა. ქართული საბჭოთა კულტურა ერთიანი «მონოსტილისტური» (დ. იონინი ასეთად მიიჩნევს მოვლ საზოგადოებაზე გაერცვლებულ ცხოვრების ნებისმიერი ფორმას, ნებისმიერ კულტურულ სტილს, რომლებიც გაიგებიან როგორც რეპრზენტატიული ჯგუფის კულტურა)²⁰⁰ საბჭოთა კულტურის შემადგენელ ნაწილად იქცა, რომლის ძირითად მახასიათებლად და განმსაზღვრებლად იქცა კულტურის შემქმნელთა სპეციალური ჯგუფები, ანდა კულტურის ექსპერტები, რომლებიც მაღალ სოციალურ იერარქიულ საფეხურზე იდგნენ, როგორც იყო პარტიული ნომენკლატურა. იგი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით არეგულირებდა და რეგლამენტაციას უწევდა საზოგადოების კულტურულ ცხოვრებას; მეორე სპეციფიკურ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ იმავე ნომენკლატურის მიერ დომინირებადი მსოფლალქმის მიხედვით მკაცრად განსაზღვრული კულტურული მოვლენების სიერცეში და დროში რეალიზაცია, ოფიციალურად განსაზღვრული იყო ახალი საბჭოური დღესასწაულების გამართვის დრო, ადგილი (მაგ: კულტსახლები, ქოხ-სამკითხველოები, ქუჩები, ბიბლიოთეკები და ა.შ.), მესამე – კულტურული

²⁰⁰ Ионин Л.Г Социология культуры: Путь в новое тысячелетие, М., 2000, с. 197, 198

მოდერნიზაციის დარგების და სტილების კანონიზაცია (მაგ.: აკრძალული და მისაღები თემები). საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა დროისა და სივრცის ჯერ დესაკრალიზაცია შემდეგ ხელახალი საკრალიზაცია. სივრცისა და დროის კატეგორიები მიეკუთვნებიან კულტურის ფუნდამენტურ კატეგორიათა რიცხვს და კაცობრიობის აზროვნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორების მოქმედების შედეგად ქართველი ხალხის მიერ გამოთქმული სამყაროს საკუთარი მოდელის ოპტიმალური სისტემა, რომლითაც და რომელშიც მას გააზრებული აქონდა თავისი ადგილი სამყაროში, თავისი მიზანი, დამოკიდებულება სხვებთან (იგულისხმება როგორც ცალკეული ინდივიდები, ასევე სოციალური თუ ეთნიკურ ჯგუფები), დაინგრა. ბოლშევიკებმა შეასრულეს უმნიშვნელოვანესი აქტი – ახალი კოსმოსის შექმნა²⁰¹, რომელიც ხელოვნური იყო და მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა დიდი მრავალფეროვნებით, რომელშიც უნდა ეცხოვრათ სხვადასხვა ტრადიციისა და მსოფლშეგრძნების ხალხებს.

²⁰¹ Эляде М. Космос и история. М., 1987, გვ. 18.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას შემდეგი:

XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ისევე როგორც წინა პერიოდში, შექმნილი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, კულტურა ერთგვარ იარაღად იქცა, ერთი მხრივ, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მებრძოლთა, მეორე მხრივ კი, მისი მოსახლის მსურველთა ხელში. ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობა დაკარგული ჰქონდა, კულტურა იყო ის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ორიენტირება და, რაც მთავარია, ქართული კულტურა იყო ერთ-ერთი ბურჯი ეროვნულობის შენარჩუნებისა

საბჭოთა საქართველო, როგორც ერთიანი საბჭოთა ოჯახის ერთ-ერთ წევრი, ტოტალიტარული სახელმწიფოს ნაწილად იქცა, რომელიც ტოტალიტარიზმის დამანგრეველი სისტემის წესებით ცხოვრობდა, რომლის კულტურაც ეყრდნობოდა მკაცრ მმართველობას ზემოდას და ეყრდნობოდა მასების აფექტურ ენთუსიაზმს, პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფორმების კლიშოებას და უმარტვესი არქეტიპების აქტუალიზაციას. ტოტალიტარულ კულტურას, ნებისმიერ ისტორიულ, პოლიტიკურ, ანდა ნაციონალურ ვარიანტში, ჩვენს შემთხვევაში კი კომუნისტურ რეჟიმში პერსონიფიცირებულს, თან სდევდა მთავარი მიზანი – ერის კონსოლიდაცია მმართველი სახელისუფლო სტრუქტურების გარშემო, მისი დაშტამპვა და მართვა დირექტული მეთოდით.

ჩვენს მიერ ნაშრომში წარმოდგენილი და გამოყენებული დოკუმენტები, პარტიულ ლიდერთა სიტყვები, ოფიციალურ პრესაში წარმოდგენილია სტატიები არ არის ცალკეული შემთხვევების გამოხატულება და არც ერთადერთ ნიმუშებს წარმოადგენენ. ხსენებული პერიოდის შესასწავლად და არსებული სურათის აღსადგენად ისინი საკმაოდ მასალას იძლევიან, რადგან მათში გადმოცემულია ის ოფიციალური მიმართულებები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა და იმართებოდა კულტურული ცხოვრება. აქ გადმოცემულია კომპარტიის მიერ შექმნილი მოდელი, რომლის მიხედვითაც უნდა ეცხოვრა ყოველ საბჭოთა ადამიანს

ახალი საზოგადოების და კულტურის შესაქმნელად საჭირო იყო მოელო რიგი ღონისძიებების გატარება, რომელიც კულტურული რეკონსტრუქციის საშუალებით განხორციელდა ხსენებულ პერიოდში იგი გაიანერგებოდა, როგორც ცნობილი ტრიადის – ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია და კულტურული

რევილუცია - ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი მასში მთავარი იყო არა კონკრეტული ღონისძიება რომელიმე სფეროში, არამედ პიროვნების ძირეული შეცვლა და გარდაქმნა. ქართული კულტურა, მისი ფუნქციონის მთავარი საშუალება - ქართული ენა (შესაბამისად, მასზე დაფუძნებული აღრხდა-განვითარება) - იყო საშუალება და ფორმა ეროვნულობის შენახუნებისა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საერთო საბჭოთა კულტურის არსს, რომლის შექმნასაც ითვალისწინებდა კულტურული რევილუცია.

ქვეყანაში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივისაციის პროცესების შესაბამისად მოხდა სასწავლო - დაწვებითი, საშუალო და უმაღლესი - დაწესებულებათა ქსელის მოწყობაც, რომელთა მიერ მომზადებულმა კადრებმა შეაყსო საბჭოთა ინტელიგენციის რიგები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. საქართველოში შექმნილმა მრავალრიცხოვანმა ინტელიგენციამ, განსაკუთრებით ტექნიკურმა, რესპუბლიკის გარეთ იწყო დენა დაუსაქმებლობის გამო, რაც კატასტროფული იყო ისედაც დემოგრაფიულად პრობლემური ქვეყნისათვის. გარდა ამისა, საბჭოთა ინტელიგენციის შექმნის სურვილს და საგაღმადლო სწავლის შემოდებას, დადებითი (ყართო მასებისათვის განათლების მიცემა, საერთოდ განათლების გასაყოფელთაობა) ერთად, უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა (ცოდნის დეველუაცია).

ადამიანის, პიროვნების საბჭოთა ტიპი ნამოყალიბდა სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით. ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი საბჭოთა ადამიანის პიროვნულობის ნამოყალიბებისა იყო ოფიციალური იდეოლოგია, რომელმაც საზოგადოებაში შემოიტანა და გარკვეული დოზით დაამკვიდრა კიდევაც ფასეულობათა ახალი სისტემა. საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში მომხდარი ცვლილებების გავლენით, ნამოყალიბდა პიროვნების ახალი საბჭოთა ტიპი, რომელსაც ახასიათებდა კოლექტივისმი, ამხანაგურობა, გაბედულება, სოციალისტური იდეალების ერთგულება, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი პირადის დაქვემდებარების უნარი. საბჭოთა და, მათ შორის, ქართული კულტურის უმთავრეს თაყისებურებად იქცა მასზე ხელისუფლების და მმართველი პარტიის მხრიდან მკაცრი კონტროლი. უკვე 20-იან წლებში მოახდინეს კულტურული დაწესებულებების ნაციონალიზაცია, ნამოყალიბეს მათი მართვის სისტემა.

30-იან წლებში ქართული კულტურის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო. წინა პერიოდის შედარებით პლურალიზმი დამთავრდა კულტურის,

ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი გააერთიანეს საერთო, უნიფიცირებულ კავშირებში: მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა და ა.შ. დამტკიცდა ერთადერთი მხატვრული - სოციალისტური რეალიზმის - მეთოდი. ნოვატორულ იდეებს ბოლო მოეღო. ამავე დროს, რაღაც ფორმით, აღდგენილ იქნა ეროვნული კულტურული ტრადიციების ელემენტები

მრავალსაუკუნოვანი ქვეყანა და მისი კულტურული ტრადიციები რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ეს საფრთხე მომდინარეობდა საბჭოთა სისტემის, მისი იდეოლოგიის და სახელმწიფოს ოფიციალური ქმედებებიდან, რომელიც მისწრაფებდა შეექმნა ერთიანი უკლასო, უნიფიცირებული საბჭოთა საზოგადოება, შესაბამისად - ფორმით ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალური საბჭოთა კულტურა, რომელიც ამ საზოგადოების ზედნაშენს წარმოადგენდა და რომელსაც ექნებოდა ყველასათვის საერთო, მისაღები, გასაგები ღირებულებები

სოციალკულტურული თვალსაზრისით, ქართული საბჭოთა კულტურა არის თავისებური მოვლენა, განსხვავებით რუსულისაგან, რომელიც ვეუქმება მასობრივ ფსიქოლოგიას, დაკავშირებულს რუსულ მენტალიტეტთან, უმაგალითო პოლიტიზაციის ტრადიციას და პიროვნების მოთხოვნების უგულვებელყოფას უნდა აღინიშნოს რომ ქართულმა კულტურულმა ტრადიციებმა და ეროვნულმა თვითშეგნებამ, მიუხედავად ტოტალიტარული რეჟიმისა, განაპირობა და შეაძლებინა ქართული კულტურის მესვეურთ გაეგრძელებინათ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული კულტურული ტრადიციები. თუკი სოციალისტური რეალიზმის პირობებში იქმნებოდა და შეიქმნა რაღაც განსაკუთრებული და თავისებური, რომელსაც პრეტენზია ქონდა და აქვს საკუთარ სტილსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებასზე, დამსახურებაა იმ ტრადიციებისა, რომელიც მემკვიდრეობით ერგო საზოგადოებას და რომელიც კვებავდა ქართულ საბჭოთა კულტურას წლების განმავლობაში კომუნისტების კეხნა იმის თაობაზე, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიქმნა ქართული საბჭოთა კულტურა, მართალია, მაგრამ სინამდვილეს არ შეესაბამება ის, რომ მხოლოდ მათი მეშვეობით და დამსახურებით მოხდა კულტურის სხვადასხვა სფეროს ჩამოყალიბება-აყვავება. კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებული რეფორმები თავისთავად პროგრესული ელემენტების შემცველი იყო, მაგრამ სუვერენიტეტდაკარგული ქვეყნის და თვითმოყოფად

განვითარებას მოკლებული ერის შემთხვევაში ვერ გაამართლებდა და ასეც მოხდა. რაიმე სახის ზოგადსაკაცობრიო მოვლენებზე საუბარი ზედმეტია.

ყველაზე უკეთეს და ზუსტ შეფასებას რუსული კომუნიზმის საჭიანობის შედეგების და იმდროინდელი ქართული რეალობის შესახებ წარმოადგენას იძლევა გერონტი ქიქოძის სიტყვა: “ვერ გადაღახა ევრაზიის საზღვრები, და დედამიწის ერთი მუქესედი ნაწილით შემოიფარგლა (საუბარია რევოლუციაზე – მ.კ). რა დაუპირისპირა მან ძველ კულტურას? ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია... ძველი ღმერთები მოკვდნენ, კრიტიკულმა აზროვნებამ ამოსწვა ძველი იდეოლოგიები, შეუძლებელია უკან დაბრუნება გულუბრყვილო ცრუმორწმუნეობისაკენ, მაგრამ სული დაცარიელდა და ელექტრონის ნაკადით არ შეიძლება მისი ავსება”²⁰².

²⁰² ტურნ.: არიფონი, №1, 1928.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ავერბახი ლეოპ., კულტურული რევოლუციის გზებზე. მე-XV პარტიული ყრილობა, ტფ. 1928.
2. ათანელიშვილი ა. საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის საკითხების ბურჟუაზიული ფაქტორების კრიტიკა, თბ., 1976
3. ბაბუნაშვილი ზ. განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების კულტურა, თბ., 1975
4. ბაბუნაშვილი ზ. საქართველოს კომპარტია ქართული საბჭოთა კულტურის შექმნაში (1921-1931) თბ., 1960
5. ბაბუნაშვილი ზ. ქართული საბჭოთა კულტურა ნახევარი საუკუნის მანძილზე, თბ., 1972.
6. ბარბიუსი ა. აი, რა უკვე საქართველოს, ტფ., 1930.
7. ბაქრაძე ა. მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1996.
8. ბაქრაძე ა. კინო და თეატრი, თბ., 1989.
9. ბაქრაძე ა. კინოკრიტიკული ეტიუდები, თბ., 1966.
10. ბერდიაევი ნ. ადამიანი ბედი თანამედროვე სამყაროში, თბ., 2000.
11. ბერკი პ. ისტორია და სოციალური თეორია, თბ., 2002.
12. დადგენილება სსრ კავშირის ცენტრალური აღმასკომის და კომისართა საბჭოსი, ტფ., 1926
13. დიასამიძე დ. აჭარის პარტიული ორგანიზაცია კულტურული რევოლუციის ლენინური იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში, თბ., 1974.
14. ეპშტეინი მ. კულტურა-კულტუროლოგია-ტრანსკულტურა. კრებ.: "ციფლიზაციური ძიებანი" № 2, თბ., 2004.
15. ზაქარიაძე გ. სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებათა პირველი ნაბიჯები საბჭოთა საქართველოში კრებ.: "საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები," თბ., 1967.
16. თანამგზავრი პოლიტგანათლების მუშაკისა, წიგნი №1, ტფ., 1924.
17. თანამგზავრი პოლიტგანათლების მუშაკისა, წიგნი №2, ტფ., 1924.
18. თოიძე ლ. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები) თბ., 1999.
19. ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, დოკუმენტები და მასალები XX საუკუნის 20-30-იანი წლები, თბ., 2002
20. კაჭარავა ი. კულტურის ეროვნული ფორმისა და ინტერნაციონალური შინაარსის სოციალური საკითხი, თბ., 1977.

21. კესევი დ. ლენინური მოძღვრება და კულტურული რევოლუცია, ტფ., 1932
22. კიკეიძე ა. საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეები, ნაწ. III, თბ., 1967.
23. კრებული დადგენილებებისა და ცირკულარებისა საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე, ტფ., 1926.
24. კომუნისტური განათლება, ტფ., 1923.
25. კულტუროლოგია, თბ., 2003.
26. კულტურული აღმშენებლობა, № 6, 1929-30.
27. კულტურული აღმშენებლობა, № 9, 1929-30.
28. კულტურული აღმშენებლობა, № 12, 1929-30.
29. კულტურული აღმშენებლობა, № 10-11, 1929-30.
30. კულტურული აღმშენებლობა, № 1-2, 1931.
31. კულტურული აღმშენებლობა, № 3, 1931.
32. კომუნისტური აღზრდისათვის, № 6-8, 1934.
33. კომუნისტური აღზრდისათვის, № 4-5, 1935.
34. კომუნისტური აღზრდისათვის, № 6-7, 1935.
35. კომუნისტური აღზრდისათვის, № 1-2, 1936.
36. კომუნისტური აღზრდისათვის, № 3, 1936.
37. კომუნისტური აღზრდისათვის, № 4, 1936.
38. კომუნისტური აღზრდისათვის, № 6-7, 1936.
39. კომუნისტური აღზრდისათვის, № 5-6, 1937.
40. კომუნისტი, № 11, 1923.
41. კომუნისტი, № 2, 1925.
42. კომუნისტი, № 7, 1925.
43. კომუნისტი, № 12, 1925.
44. კომუნისტი, № 34, 1927.
45. კომუნისტი, № 45, 1927.
46. კულტურული მუშაობა სოფლად, ტფ., 1924.
47. ლადარია ნ. სოციოლინგვისტიკა, თბ., 2002.
48. ლენინი ვ.ი. თხზულებანი, ტ., 31. თბ., 1952.
49. ლენინი ვ.ი. თხზულებანი, ტ., 32. თბ., 1952.
50. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1957.
51. ლიტერატურული საქართველო, № 2, 1937
52. ლიტერატურული საქართველო, № 7, 1937

53. ლიტერატურული საქართველო, № 10, 1937
54. ლიტერატურული საქართველო, №11 , 1937.
55. ლიტერატურული საქართველო, №27 , 1937.
56. მასალები ტფილისის საბჭოსი და აღმასკომის მოქმედების შესახებ, ტფ., 1926.
57. მასალები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-4 ყრილობისათვის, ტფ., 1924
58. მახარაძე ფ. თხზულებათა კრებული, ტ. III, ტფ., 1926.
59. მახარაძე ფ. თხზულებათა კრებული, ტ. IV, ტფ., 1926.
60. მახარაძე ფ. თხზულებათა კრებული, ტ. V, ტფ., 1927
61. მოზრდილთა დაწვებითი ზოგადგანათლების სკოლათა პროგრამა, ტფ., 1929.
62. ნიჭარაძე გ. ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური ბუნება, "ერი", 1991, № 5-8.
63. ნიჭარაძე გ. კომუნისტური რეჟიმი და ქართული შეგნება, "კრიტიკა", 1992, №1
64. ოზოლაძე ო. სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1971.
65. ორაგველიძე კ. საქართველოს ისტორიის საკითხისათვის, ტფ., 1926.
66. ორახელაშვილი მ. პარტიის იდეოლოგიური ფრონტის შესახებ საქართველოში, ტფ., 1927.
67. ორჯონიძე ს. სტატიები და სიტყვები 2 ტომად, ტ. II, თბ., 1957.
68. პროგრამები მოზრდილთა სკოლებში, ტფ., 1924.
69. ჟორდანიას ნ. თხზულებანი, ტ. 2, ტფ., 1920.
70. ჟორდანიას ნ. მისი ნაწერების კრებული ეროვნული საკითხის შესახებ, ტფ., 1922.
71. რეზოლუციები საკავშირო მე-XV ყრილობისა, ტფ., 1928.
72. რეზოლუციები საქართველოს სსრ რემედისის მე-6 ყრილობისა, ტფ., 1936.
73. რეზოლუციები და დადგენილებები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცკ და ცსკ გაერთიანებული პლენუმის, ტფ., 1926.
74. საბჭოთა ხელისუფლების კულტურული ამოცანები, ტფ., 1922.
75. საზოგადოება და პოლიტიკა (სოციალური და პოლიტიკური კვლევის აღმანახი), I, თბ., 1996.
76. საკავშირო კ(ბ) X ყრილობა. მოსკოვი, 1921.
77. საკავშირო კ(ბ) XI ყრილობა ტფ., 1922.
78. საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1974

79. საქართველოს ინტელიგენციისა და სოციალისტური კულტურის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1979.
80. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976
81. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921-37) დოკუმენტების კრებული, თბ., 1980.
82. საქართველოს პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობის ავტობიუსათა კრებული, ტფ, 1924.
83. საქართველოს ისტორია XX საუკუნე, თბ., 2003.
84. საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული (1921-1940 წწ.) ტ. I, თბ., 1959.
85. სკკ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, თბ., 1954
86. სკკ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 2, თბ., 1955.
87. სკკ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 3, თბ., 1956.
88. სკოლის გარეშე საკითხავი მხატვრული ლიტერატურის სარეკომენდაციო სახელმძღვანელო, ტფ, 1928.
89. სრულიად საქართველოს მწერალთა I ყრილობა, ტფ, 1926.
90. სრულიად საქართველოს მწერალთა II ყრილობა, ტფ, 1927.
91. სრულიად საქართველოს საბჭოთა არქიტექტორთა I ყრილობა, ტფ., 1936.
92. სრულიად საქართველოს საბჭოთა არქიტექტორთა II ყრილობა, ტფ., 1936
93. სტალინი ი. ბ. ღენინისმის საკითხები, თბ., 1952.
94. სტალინი ი.ბ. თხზულებანი, ტ. 11, 1952.
95. სურგულაძე ა., სურგულაძე პ. საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი 1783-1990 წლები, თბ., 1991.
96. ქიქოძე გ. თხზულებანი სამ ტომად, ტ. 2, თბ., 1965.
97. ქიქოძე გ. თხზულებანი სამ ტომად, ტ. 3, თბ., 1965
98. ჩაფიძე ნ ქართველი და მოძმე ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ისტორიის პრობლემები (1921-1958), თბ., 1982
99. წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირედმცოდნეობის საკვლიფიკაციო კლუბის გეგმები და პროგრამები, ტფ, 1933.

100. წერეთელი მ. ვრი და კაცობრიობა, თბ., 1990
101. ჭანტურია ი. სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში (1921-1956წწ), თბ., 1956
102. ჭინჭარაძე ნ. რევოლუციური კანონებების და სასოგადოებრივი საკუთრების განმტკიცების კრებული, ტფ., 1933.
103. ჭკუა ვაისაგან, ავტორთა ჯგუფი, თბ., 1994
104. ხოშტარია თ. საბჭოთა საქართველო 1921-1981 წლები, თბ., 1984.
105. ჯორჯაძე ა. თხზულებანი, წიგნი II. ტფ., 1911.
106. ჯორჯაძე ა. თხზულებანი, წიგნი III. ტფ., 1911.
107. ჯორჯაძე ა. თხზულებანი, წიგნი IV. ტფ., 1911.
108. ჯორჯაძე ა. თხზულებანი, წიგნი V ტფ., 1911.
109. ჯორჯაძე ა. სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990
110. ჰაიკი ფრიდრიხ ა. ფონ. საბედისწერო თავჯერებულობა, სოციალისმის შეცდომები, თბ., 2000
111. Арнольдов А.И Введение в культурологию, М., 1993.
112. Арнольдов А.И Социалистический образ жизни и культура, М., 1967
113. Белоус М Деятельность коммунистической партии по осуществлению культурной революции в СССР, М., 1969.
114. Бердяев Н.А Истоки и смысл русского коммунизма, М., 1990.
115. Богданов А. О пролетарской культуре 1904-1924, М.-Л., 1924
116. Богданов А. Вопросы социализма. М., 1918.
117. Богданов А. Всеобщая организационная наука ч. 1, Л.-М. 1925.
118. Бухарин Н пролетарская революция и культура, М., 1923.
119. Грузинская СССР за 20 лет, (стат. сб.), Тб., 1941.
120. Грузинская советская архитектура, Тб., 1976.
121. Добренков В.И. Радугин А.А. Христианская теология и революция, М., 1990
122. Иванова Л.В. Институт красной профессуры (1921-1936), т.4, М.
123. Интеллигенция и революция, XX век, М., 1985.
124. Интеллигенция и социалистическая культурная революция. Л., 1975.
125. Ионин Л.Г Социология культуры: Путь в новое тысячелетие. М., 2000.
126. История и культурология, М., 1999.
127. Каландадзе Ц. Культурная революция в Грузии, Тб., 1963.

128. Кара-Мурза С. Советская цивилизация Книга первая, М, 2001
129. Ким М.П. О некоторых аспектах культурной революции и особенностях советского опыта её осуществления. М, 1970.
130. Ким М. П Великий Октябрь и культурная революция в СССР, М, 1967
131. КПСС о культуре, просвещении и науке. сборник документов, М, 1963
132. КПСС во главе культурной революции в СССР, М, 1972
133. Красная книга культуры М., 1989
134. Критика фальсификации национальных отношений в СССР М, 1984
135. Коммунистическая партия Грузии в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК, 1920-1931гг, Т 1, Тб., 1976.
136. Культурное строительство в Грузинской ССР (1921-1937), Тб, 1986
137. Культурное строительство в СССР (1917-1927). Документы и материалы, М., 1989.
138. Культурное строительство в СССР, стат сб., М.-Л., 1940.
139. Культурология, Энциклопедия XX век, Т, 1, Санкт-Петербург, 1998
140. Культурология, Энциклопедия XX век, Т., 2, Санкт-Петербург, 1998
141. Куправа А Из истории культурного строительства Советской Абхазии, Сухуми, 1961
142. Ленин В.И. О культурной революций, М., 1967
143. Луначарский А.В. Десятилетие революции и культуры. М.-Л., 1927.
144. Луначарский А.В. О воспитании и образовании, М., 1976.
145. Майсурадзе Д. Культура Советской Грузии, Тб., 1965.
146. Материалы к отчету ЦК на VII съезде КП Грузии, Тб., 1930.
147. Новиков В. Движение истории-движение литературы, М., 1982
148. Партийное строительство, М.1932.
149. Пигалев А.И. Культурология Учебное пособие, Волгоград, 1998
150. Советская интеллигенция (история формирования и роста 1917-1965), М, 1965.
151. Советская Грузия за 40 лет, Тб., 1961
152. Стуруа Д. За грузинскую социалистическую культуру, Тб., 1970.
153. Aron R. Démocratie et Totalitarisme, Folio Essais, Caillimard, 1965.
154. Bogdan H.Histoire des peuples de l'ex-URSS (Du 1Xe siècle a nos jours), Perrin, 2001
155. Braudel F. Gramaire des Civilisations. 1993 Paris.

156. Bulletin de Liaison des professeurs d'Histoires-géographie de l'Académie de Reims, N° 25, 2001.
157. Cornell S. E.. Small Nations and Great Powers. A Study of Ethnopolitical Conflicts in the Caucasus. Curzon. 2001.
158. Febre L. Combat pour l'histoire, Une Histoire de la Russie moderne, Paris. 1977.
159. Mourre. Dictionnaire encyclopédique d'histoire. S.Z. Bordas. 1996.
160. Nicolas Werth, Histoire de l'URSS, Caen, 1998.
161. René R. Le XXe siècle de 1914 à nos jours, v.3, Introduction À l'histoire de notre temps, Edition du Seuil.
162. Deniz Kandiyoti, Modernisation without the market? The case of the "Soviet East", wignSi: Alberto Arce and Norman Long, Anthropology, Development and Modernities, Exploring discourses, counter-tendencies and violence.